




# საქართველოს ბიბლიოთეკა



ბიბლიოთეკა  
კანდეშიისას

№3 (80) 2020

# ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა



+ + +



საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: **sakartvelosbiblioteka@gmail.com**

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი:	<b>მაია მიქაბერიძე</b>
საპატიო რედაქტორი:	<b>ალექსანდრე ლორია</b>
სარედაქციო კოლეგია:	<b>გულნარა სტურუა რუსუდან ასათიანი დალი შაჩაიძე გიორგი ჩუბინიძე მირიან ხოსიტაშვილი</b>
ტექნიკური რედაქტორი:	<b>ლოლა სანაია</b>
დიზაინი:	<b>გიგი გელაშვილი</b>
დაკაბადონება:	<b>სოფო ტარყაშვილი</b>

საქართველოს ბიბლიოთეკა №3(80) – 2020; გამოიცემა 2000 წლიდან.  
© საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტოები აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელიდან“.

**გარეკანზე ფოტო: ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა**

ISSN 1512-0880  
www.nplg.gov.ge  
www.gela.org.ge



[www.fb.com/magazineLibraryofGeorgia](http://www.fb.com/magazineLibraryofGeorgia)



საქართველოს სიბიბლიოთეკის ასოციაციის  
რუსუდან ასათიანი  
მიმართვა მკითხველისადმი

3

ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“  
მაია მიქაბერიძე  
რედაქტორისაგან

4

საქართველოს ბიბლიოთეკები რა ბუნების რაგვა  
მირიან ხოსიტაშვილი  
ჟურნალი „ველური ბუნება“

5

რუსუდან ასათიანი  
მწვანე ბიბლიოთეკები ქათურის მუნიციპალიტეტში

6

მარინე დიდებულისძე  
ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანება და პროექტი „ქალები ჯანსაღი გარემოსათვის“

8

მაია მიქაბერიძე  
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა - ბუნების აქტიური დამცველი

10

ზინის ასე-ჩიას  
ლია რუსაძე  
ვენეციაში გამოცემული პირველნაბეჭდი წიგნი

11

სიბიბლიოთეკა საქმე: საქმიანობის შესახებ  
თინათინ ლომჯარია  
საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვა

13

ნათია სადლობელაშვილი  
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მენეჯმენტი

15

საქართველოს ბიბლიოთეკები პანდემიის პირობებში  
ინგა გოგიბერიძე  
აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მუშაობა პანდემიის პირობებში

17

მარინე დიდებულისძე  
ხაშურის ბიბლიოთეკები პანდემიის დროს

19

ირმა კვიციანი  
ზუგდიდის საბიბლიოთეკო ცხოვრება პანდემიის პერიოდში

21

ბიბლიოთეკა რა სწავლება  
ზურაბ ცხონდია  
განმანათლებელი კერის მისია

23

საქართველოს ბიბლიოლოგიები: რასხვების აღქმა ისა და რეკონსტრუქცია

რიტა წაქაძე  
ქუთაისის ილია ქავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

24

მორის დანდურიშვილი

მერი ხარაბაძის სახელობის ხაშურის N1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა

27

სამედიცინო ბიბლიოლოგიები  
ლოლა სანია

მოლდავეთის ეროვნული ბიბლიოთეკა და პანდემია

28

ლიტერატურის მკვლევარები  
ელბერდ ბატიაშვილი

ილია მართალი - საქართველოს მომავლის გზისგამკვლავი: ილია და ქართული კონსერვატიზმი

30

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

დავით სარაჯიშვილი და საზოგადოება „უღელი“

33

ნანა ფირცხალავა

გრიგოლ ტატიშვილი - პირველი ქართველი გრაფიკორ-ქსილოგრაფი

36

საქართველოს ისტორია  
ნუგზარ პაპუაშვილი.

ზაქარია ჭიჭინაძის პუბლიკაცია ევანგელურ-ლუთერანული  
ეკლესიის პირველ ნაბიჯებზე საქართველოში

41

ქართული მუსიკა  
ტერენტი გრანელი

სიკვდილის შემდეგ / ფრანგულად თარგმნა ეთერ გავაშელმა

46

ქართული ენის ისტორია  
მარიამ მარჯანიშვილი

ევროპელი ქალის კვალი კერესელიძეთა ეპისტოლეებში

49

ლიტერატურის ისტორია, მემორია, მემორიალიზაცია  
ქეთი გასოკია

მარნეულებში მოქცეული გონება

52

ლორია ალექსანდრე. „რანი ვართ ახლა“

55

საქართველოს  
ზაურ მირიანაშვილი

ლეგენდებს მიღმა ანუ ისტორიული კახური მამული, სადაც თავად ნატო ვაჩნაძე გიმასპინძლებს

56

ეკონომიკა

58

საქართველოს სტრუქტურული ცვლილებები  
მოვლენები, ფაქტები

59

2021 წლის ლიტერატურის რევიზია

63

**საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია**

*ძვირფასე შვიახველი,*



**რუსუდან ასათიანი**  
საქართველოს საბიბლიოთეკო  
ასოციაციის პრეზიდენტი

მოხარული ვარ რომ ჩვენი ჟურნალის, „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მესამე ნომრის ერთ-ერთი მთავარი თემაა ეკოლოგია, ვინაიდან გარემოს დაცვა და ეკოლოგიური საკითხები დღეს მსოფლიო მასშტაბით ბიბლიოთეკების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

მწვანე ბიბლიოთეკების კონცეფცია დაინერგა 2000 წელს, ეს არის საერთაშორისო ინიციატივა, რომელიც ხორციელდება საერთოფიკატო პროგრამის - „ლიდერობა ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროში“ (Leadership in Energy and Environmental Design (LEED)) და აშშ ეკოლოგიური საბჭოს (U.S. Green Building Council) ფარგლებში. კონცეფცია ორიენტირებულია ეკოლოგიისა და გარემოსდაცვითი სირთულეების დაძლევაზე.

„მწვანე“ საბიბლიოთეკო მომსახურება გულისხმობს ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის შესახებ მომხმარებლებისთვის საინფორმაციო სერვისების მიწოდებას, შეუზღუდავ წვდომას სანდო და განახლებულ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე. მწვანე ბიბლიოთეკები ხელს უწყობენ ამ ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში და ასევე უზრუნველყოფენ მომხმარებლების ჩართულობას პრაქტიკულ გარემოსდაცვით საქმიანობაში.

აღნიშნული ინიციატივის მხარდასაჭერად 2019 –2020 წლებში განვახორციელეთ საქართველოსთვის უნიკალური საპილოტე პროექტი - „მწვანე ბიბლიოთეკები ქიათურის მუნიციპალიტეტში“ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, გლობალურ გარემოსდაცვით ფონდთან, ჯორჯიან მანგანებთან და ქიათურის მუნიციპალიტეტთან ერთად. ჩვენი პროექტი გაგრძელდება ეტაპობრივად საქართველოს სხვა რეგიონებშიც. იმედი მაქვს სულ მალე, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით საქართველოს ბიბლიოთეკების ძირითადი ნაწილი შეუერთდება „მწვანე ბიბლიოთეკების“ მსოფლიო ინიციატივას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და მალე ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნებას.



## იუბილეუმ!

უცნაურ დროში ვცხოვრობთ. მსოფლიოს ვირუსი ებრძვის, რომელმაც გააანადგურა ბევრი ქვეყნის ეკონომიკა, შეინირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ჯერაც არ იხევს უკან. რეალური საფრთხე გვემუქრება ყველას, მაგრამ სიცოცხლისა და განვითარების წყურვილს რა ვირუსი დაუდგება წინ?! მსოფლიო გამოვიდა თავდაპირველი შოკიდან და ცხოვრების გადანყოფა დაიწყო ვითარების შესაბამისად. ასე მოხდა საბიბლიოთეკო სფეროშიც. რაკი მკითხველი ვეღარ მივიდა ბიბლიოთეკაში, თვითონ ბიბლიოთეკა მივიდა მკითხველთან. დიახ, საბიბლიოთეკო ცხოვრება შეფერხდა, მაგრამ არ გაჩერებულა და, მით უმეტეს, არ განადგურებულა. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების წყალობით ბიბლიოთეკამ შეიმუშავა მკითხველთა მომსახურების ახალი ფორმები და დღეს იგი საკმაოდ მოთხოვნადი გახდა.

პანდემიურ რეჟიმში მუშაობა ბიბლიოთეკებისთვის სერიოზული გამოწვევა იყო, მაგრამ მან, ამავე დროს, ერთგვარი აზარტულობის ელფერიც შეიძინა. პროფესიონალიზმისა და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის წყალობით ჩვენმა კოლეგებმა, ბიბლიოთეკარებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, აქტივობების ისეთი მრავალფეროვნება შესთავაზეს მკითხველებს, რომ ამ უკანასკნელთ კიდეც უფრო გაათვითცნობიერეს ბიბლიოთეკის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

საქართველოს ბიბლიოთეკების ამ საქმიანობას ჩვენ გამუდმებით ვაშუქებთ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ფურცლებზე. ასეა თქვენ წინაშე წარმოდგენილ მე-3 ნომერშიც. ჩვენი ჟურნალი კვლავაც იმუშავებს ამ მიმართულებით, ვიდრე საბოლოოდ არ დასრულდება პანდემიის რეჟიმი.

არავინ იცის ეს covi-19 საიდან ან რატომ გაჩნდა - სამყაროს გარდაუვალი განსაცდელი იყო თუ ბუნების მიმართ ადამიანების არასწორი ქმედებების უარყოფითი შედეგი?! ყველა შემთხვევაში, უნდა გვახსოვდეს, რომ „ბუნება მბრძანებელია“ და მასთან მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება წამგებიანია. ბუნებას დაცვა, მოფრთხილება სჭირდება და ეს საკითხი ყველა ქვეყნისთვის ერთნაირად ყურადსაღებია. გარემოსდაცვითი თემა ყოველთვის აქტუალური იყო და აქტუალურია იგი დღესაც. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჟურნალის N3-ის ერთ-ერთ მთავარ საკითხად ბუნების დაცვა გამოგვეტანა, მით უფრო, რომ ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების მრავალნაზნაგოვან სქემებში ბიბლიოთეკას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მკითხველი ჟურნალში გაეცნობა არა მარტო ეროვნული ბიბლიოთეკის, არამედ საქართველოს სხვა ბიბლიოთეკების აქტივობებს ამ თემაზე.

ვფიქრობთ, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მე-3 ნომერს, მთავარი თემებითა და ტრადიციულ რუბრიკებში წარმოდგენილი სტატიებით, ინტერესით გაეცნობა ჩვენი მკითხველი.

მაია მიქაბერიძე



**საქართველოს ბიბლიოთეკები  
და ბუნების დაცვა**



**მირიან ხოსიტაშვილი**

ეთნოლოგიის დოქტორი,  
საქართველოს პარლამენტის ეროვნული  
ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე

ჟურნალ „ველური ბუნების“ ფურცლებზე თქვენ შეხვდებით როგორც ძველ ავტორებს, ასევე განახლებული გუნდის იმ წევრებს, რომლებმაც გადანიშნეს თავიანთი სათქმელი საჯარო გახადონ და მოკრძალებული წვლილი შეიტანონ საქართველოს ფლორისა და ფაუნის გადარჩენის საქმეში. დიახ, სწორედაც რომ გადარჩენის, რადგან გარემოს დაცვაზე ზრუნვა მთელს მსოფლიოში დღითიდღე მატულობს, მათ შორის, საქართველოშიც. დაგეგმილია არაერთი მასშტაბური პროექტი ბუნების წიაღში. ეკოლოგიის და გარემოს დაცვის პრობლემები ხომ უმწვავესად დგას როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მთელს მსოფლიოში. გლობალიზაციის პროცესში ადამიანი ყოვედღიურად უდიდეს ზიანს აყენებს გარემოს.

ჟურნალ „ველური ბუნების“ შექმნა დამფუძნებლებთან ერთად, დიდწილად განაპირობა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერამ. ამ ჟურნალის უმთავრესი მისიაა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბუნების დაცვის კუთხით, რაც აუცილებლად გამოიწვევს ველური ბუნებისადმი სათანადო დამოკიდებულებასა და ზრუნვას.

სახელწოდება ჟურნალისა, ვფიქრობ, საინტერესოა და კარგად ასახავს იმ საგანს, რაზე ზრუნვაცაა მისი მთავარი დანიშნულება. იგი მაღალპოლიგრაფიულ დონეზე იბეჭდება, 100 გვერდამდეა და შედგება მრავალი საინტერესო რუბრიკისაგან, რაც საშუალებას გვაძლევს, ყველა ის მნიშვნელოვანი ასპექტი განვიხილოთ, რომლებიც ბუნებასთან კავშირშია. ჟურნალის გვერდებზე შეხვდებით ეროვნული ბიბლიოთეკის რუბრიკას, სადაც გაეცნობით რარიტეტულ გამოცემებს, რომლებიც ეძღვნება გარემოს დაცვას, ბუნების საკითხებს და ეკოლოგიას. ეს რუბრიკა განსაკუთრებით მათთვის

**ჟურნალი**

„ველური ბუნება“

საა საინტერესო, ვინც ეძებს იშვიათ, ძველნაბეჭდ გამოცემებში დაცულ საინტერესო ცნობებს.

ჟურნალში საკუთარ ნააზრევს, უპირველეს ყოვლისა, ის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებიც ბუნების სიყვარულით გამოირჩევიან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში აქ წარმოდგენილი შეხედულებები არ ემთხვევა ერთმანეთს, სწორედ ესაა მნიშვნელოვანი, რომ შესაძლებელი იყოს ერთმანეთის აზრის პატივისცემა, არგუმენტირებული კამათი და სწორი დასკვნების გამოტანა.

ჟურნალი „ველური ბუნება“ გამოიცემა სამ თვეში ერთხელ და უფასოდ რიგდება სხვადასხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებში, ასევე მუნიციპალურ ბიბლიოთეკებში. ყოველ სტატიას ახლავს ანოტაცია ინგლისურ ენაზე, რაც საშუალებას გვაძლევს ჟურნალი გავავრცელოთ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში. ერთგულ მკითხველს საშუალება აქვს, მივიღოს ეროვნული ბიბლიოთეკისა და რეგიონალური ბიბლიოთეკების ნებისმიერ ფილიალში და ადგილზე გაეცნოს ჟურნალს. იგი ხელმისაწვდომია ელექტრონულადაც. ჟურნალის მთავარი რედაქტორია გოჩა კობერიძე, ხოლო სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: თემურ ტყემალაძე, მირიან ხოსიტაშვილი, არჩილ ტყემალაძე. ჟურნალის მესვეურნი მომავალშიც აქტიურად გააგრძელებენ მუშაობას და ველურ ბუნებაზე ზრუნვას.







### რუსუდან ასათიანი

საქართველოსთვის უნიკალური საპილოტე პროექტი - „მწვანე ბიბლიოთეკები ქიათურის მუნიციპალიტეტში“, 2019 წლიდან ხორციელდება და უკვე დასასრულს მიუახლოვდა. პროექტის მთავარი განმახორციელებელია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია პარტნიორ ორგანიზაციებთან: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, გლობალურ გარემოსდაცვით ფონდთან, ჯორჯიან მანგანებთან და ქიათურის მუნიციპალიტეტთან ერთად.

მწვანე ბიბლიოთეკების კონცეფცია არის საერთაშორისო ინიციატივა, რომელიც ხორციელდება სასერთიფიკატო პროგრამის - „ლიდერობა ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროში“ (Leadership in Energy and Environmental Design (LEED)) და აშშ ეკოლოგიური საბჭოს (U.S. Green Building Council) ფარგლებში. კონცეფცია ორიენტირებულია გარემოსდაცვით პრობლემებზე და საქართველოში მსგავსი ინიციატივა ჯერ არ განხორციელებულა.

ქიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობისთვის შემოსავლის ერთადერთ წყაროდ წიაღის მოპოვება აღიქმება, რის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანი სახეზეა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობისთვის პრიორიტეტს შემოსავლის წყაროს ძიება წარმოადგენს, თუნდაც ეს შემოსავალი იყოს ერთჯერადი და თანაც გარემოს განადგურების ხარჯზე, ადგილობრივ მოსახლეობას მაინც გული შესტკივა წიაღის მოპოვებით გავრანებულ გარემოზე. ისინი იძულებულნი არიან ანაზღაურების სანაცვლოდ დათანხმდნენ გარემოსთვის ზიანის მომტან სამუშაოებზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე,

## მწვანე ბიბლიოთეკები ქიათურის მუნიციპალიტეტში

მდინარე, აღნიშნულ რეგიონში აუცილებელი იყო გარემოსდაცვითი მიმართულებით, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარებისთვის გარკვეული სამუშაოების ჩატარება. სწორედ ამიტომ მივიჩნიეთ, რომ მწვანე ბიბლიოთეკების კონცეფციის გატარება პირველად ქიათურაში იქნებოდა სასარგებლო, როგორც მუნიციპალიტეტისთვის, ასევე კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად და საპილოტე პროექტის განსახორციელებლად.

წინამდებარე პროექტის ძირითადი მიზანი იყო ქიათურის მუნიციპალიტეტში 5 ბიბლიოთეკის „მწვანე ბიბლიოთეკებად“ ტრანსფორმაცია, რომელთაც, გარდა ტრადიციული საქმიანობისა, ექნებოდათ ვალდებულება, სოფლის მოსახლეობას დახმარებოდნენ პრაქტიკული გარემოსდაცვითი ცოდნის მიღებაში. პროექტის მიწურულს, ბიბლიოთეკები უკვე ხელს უწყობენ სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას შორის დიალოგს გარემოსდაცვითი მმართველობის გასაუმჯობესებლად, ეხმარებიან ქალებსა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, აქტიურად ჩაერთონ გარემოსდაცვით საქმიანობაში.





**მ**წვანე ბიბლიოთეკები წიათურაში დღეს უკვე არის ადგილი, სადაც შესაძლებელია სოფლის მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება გარემოს არსებული დაზიანებების აღმოფხვრის, ადამიანის მიერ გამოწვეული ზიანის შეზღუდვისა და გარემოზე ზემოქმედების, ეკოლოგიის დარღვევის გარეშე ბუნებრივად მოცემული საცხოვრებელი პირობების შეცვლის შესახებ.

ამასთანავე მოხერხდა ბიბლიოთეკარების გარდაქმნა თემის მობილიზატორებად, რომელთაც შეუძლიათ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა, პრიორიტეტული სირთულეების გამოკვეთა და ამ საჭიროებებზე დაყრდნობით მცირე სათემო პროექტების შექმნა. ამის ნათელი მაგალითია პროექტის ფარგლებში შექმნილი ხუთი მცირე სათემო პროექტი, რომლის განხორციელებაშიც თანაბრად არიან ჩართული ბიბლიოთეკარები, ადგილობრივი მოსახლეობა და მთავრობა.


პროექტის ფარგლებში ასევე შეიქმნა საინფორმაციო მასალა მწვანე ბიბლიოთეკის მნიშვნელობისა და ეკოლოგიის შესახებ. ციფრული „ეკო-ბიბლიოთეკა“ ხელმისაწვდომია ელექტრონულად განურჩევლად ყველა მომხმარებლისთვის.

გარემოსდაცვით აქტივობებთან ერთად აუცილებელი იყო ბიბლიოთეკების მოდერნიზება და თანამედროვე საინფორმაციო და სატრენინგო

ცენტრებად გადაქცევა, რაც გულისხმობს მათ კომპიუტერული ტექნოლოგიებითა და ინტერნეტით აღჭურვას. ბიბლიოთეკარებს ჩაუტარდათ კომპიუტერული უნარჩვევების ტრენინგები და ახლა მათ უკვე შეუძლიათ ადგილობრივ მოსახლეობას ასწავლონ კომპიუტერის მოხმარება, რაც დღეს ყოველი მოქალაქისათვის საკვანძოდ მნიშვნელოვანია.

**ბ**იბლიოთეკა ერთადერთი ადგილია, სადაც შესაძლებელია მოსახლეობისთვის არაფორმალური განათლების შესაძლებლობების მიცემა, სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოსდაცვითი მმართველობის გასაუმჯობესებლად, ახალგაზრდების, ქალებისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების აქტიური ჩართვა გარემოსდაცვით საქმიანობაში და მოქალაქეთათვის პრაქტიკული გარემოსდაცვითი ცოდნის მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ამიტომ, ვფიქრობთ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეტაპობრივად ყველა საჯარო ბიბლიოთეკა ტრანსფორმირდეს „მწვანე ბიბლიოთეკად“, რადგან მხოლოდ გარემოსდაცვითი მიმართულებით განათლებული ადამიანი ქმნის მდგრად საზოგადოებას, რომელიც არ ანადგურებს ბუნებრივ გარემოს, რომელზედაც, უპირველეს ყოვლისა, თავადვეა დამოკიდებული.





**მარინე დიდბელიძე**

ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

## ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანება და პროექტი „ქალები ჯანსაღი გარემოსათვის“

ექიმმა - პედიატრმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა ლია მათიაშვილმა. მან ისაუბრა: ხაშურის მუნიციპალიტეტის, განსაკუთრებით კი სურამის კლიმატის გამაჯანსაღებელ თვისებებზე; ეკოლოგიურ პრობლემებზე, დაავადებების გამომწვევ მიზეზებსა და პრევენციის აუცილებლობაზე, ყოველივე იმაზე, რაც გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას უკავშირდება. მოხსენებები გააკეთეს ნორჩმა ეკოლოგებმა, ეკოკლუბების წარმომადგენლებმა - ხაშურის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის მეტად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი იყო მონაწილეობა პროექტში „ქალები ჯანსაღი გარემოსათვის“, რომელიც დააფინანსა ფონდმა - „ქალთა ფონდი საქართველოში“. ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან ერთად პროექტის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, ხაშურის ამერიკის კუთხე და ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

პროექტის მიმდინარეობა დაემთხვა საკარანტინო რეჟიმს, ამიტომ თეორიული სატრენინგო კურსი წარიმართა დისტანციურ ონლაინრეჟიმში. საპროექტო გუნდმა შეძლო ეკოლოგიური თემის პროექტის ბენეფიციარებისათვის დისტანციური რეჟიმის პირობებში ჩაეტარებინა საინტერესო ტრენინგები, სემინარები, დისკუსიები; ესაუბრა ქალის როლზე საზოგადოების განვითარებაში; სამოქალაქო აქტივობაზე, ასევე განეხილათ ეკოლოგიური პრობლემები, როგორც მსოფლიოს მასშტაბით, ასევე საკუთარ თემში, საცხოვრებელ გარემოში. ამავე კონტექსტში აღინიშნა ბიბლიოთეკების განსაკუთრებული როლი ეკოპრობლემების საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საბიბლიოთეკო გაერთიანების ინიციატივით 29 სექტემბერს, სამშაბათს, ხაშურში გაიმართა შემაჯამებელი კონფერენცია. კონფერენციის თემა იყო „გლობალური და ლოკალური ეკოლოგიური პრობლემები და ქალის როლი მათი პრევენციისათვის“. კონფერენცია ჩატარდა ღია ცის ქვეშ, ახალი ბანას სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე, არსებული რეგულაციების გათვალისწინებით და დაცვით.

შემაჯამებელი კონფერენციაზე გარემოს დასუფთავების თანამედროვე სტრატეგიების დაწერვის აუცილებლობაზე ისაუბრა საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელმა ქალბატონმა მანანა აბაზაძემ. საინტერესო თემა წარმოადგინა

პროექტის მუშაობის, ეკოლოგიური თემების განხილვის, გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე ისაუბრა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ. განეული მუშაობა შეაჯამა ამერიკის კუთხის კოორდინატორმა, პროექტის თანაავტორმა ქალბატონმა ქეთევან მეტრეველმა, რომელმაც სახელდახელო ვიქტორინა ჩაატარა ეკოლოგიურ საკითხზე და გამარჯვებულებიც გამოავლინა; პროექტის კოორდინატორმა ქალბატონმა ინეზა ელისაშვილმა ასევე შეაჯამა პროექტი და ისაუბრა მის უდიდეს მნიშვნელობაზე. პროექტის ბენეფიციარებმა მიიღეს გადამწყვეტილება, რომ ქალთა გასაძლიერებლად, საჭიროა უწყვეტი მუშაობა ცნობიერების ამაღლების კუთხით, მათი აქტიური ჩართვა სხვადასხვა სამოქალაქო და ეკოლოგიურ ღონისძიებაში. საჭიროა აგრეთვე, რომ მომავალი თაობა პატარაობიდანვე მიეჩვიოს გარემოზე ზრუნვას.


**ბიბლიოთეკებს, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან ერთად, შეუძლიათ კიდევ უფრო გაამრავალფეროვანონ ღონისძიებათა სპექტრი მოსახლეობისთვის სწორი ინფორმაციის მოწოდებისა და მათი ეკოცნობიერების ამაღლების მიზნით.**




# ახალი წიგნები



**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება:** 100 ამბავი / შემდგენელი: თამაზ ჯოლოგუა; სერიის რედაქტორი: ბუბა კუდავა. - თბ.: არტანუჯი, 2019. - 169 გვ. - (სერია „თან საკითხავი“; 40)




**გალაკტიონი:** 200 ამბავი / შემდგენელი: ნათია სიხარულიძე; რედაქტორი: ნატო გორდელაძე; სერიის რედაქტორი: ბუბა კუდავა. - თბ.: არტანუჯი, 2019. - 310 გვ. - (სერია „თან საკითხავი“; 37).



**სულიკო მსოფლიოს ხალხთა ენებზე** / შემდგენელი და მთავარი რედაქტორი: ნინო ჰოპიაშვილი. - თბ.: თსუ-ს გამ-ბა, 2017. - 165 გვ.



**პატარიძე, რამაზ. ქართული ასომთავრული** / შემდგენელ-რედაქტორი: დავით გალეგაშვილი. - თბ.: პალიტრა L, 2018. - 339 გვ.



**გიგაშვილი, ქეთევან; ნინიძე, მაია. გამოცემათმცოდნეობა:** სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის / რედაქტორი: ლელა შათირიშვილი. - თბ.: ძავაპოლიგრაფი, 2020. -436 გვ.



**მელია, სალომე; ჯოჯუა, დავით. ქადრაკი ყველასთვის.** სახელმძღვანელო ბრაილის შრიფტით / პროექტის ავტორი: სალომე მელია; რედაქტორები: აკაკი იაშვილი, ვაჟა დანელია, გია ბეგიაშვილი. - თბ.: ტიფლოპოლიგრაფია, 2020



მაია მიქაბერიძე

## საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა -

# ბუნების აქტიური გამოყვანი

ბაში მოიზრება მნიშვნელოვანი ერთობლივი ინიციატივების დაგეგმვა და მათი ეტაპობრივად განხორციელება. რაც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი თემების ირგვლივ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ეკოაქტივიზმის წახალისებას.

ამ შეთანხმების მთავარი მიმართულება არის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული პლატფორმის ბაზაზე ეკოთეკის შექმნა. რაც ერთ სივრცეში გააერთიანებს ყველა იმ ორგანიზაციის, კომპანიისა თუ კერძო პირის თვალსაჩინო მასალას, რაც მათ გარემოსდაცვით ღონისძიებებს ასახავს. დღეისათვის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში არსებობს სხვადასხვა დროის ფოტოები, პლაკატები, ნაშრომები, რომლებიც გარემოსდაცვითი თემების ირგვლივ ფრაგმენტულ ინფორმაციას გვადლევს და საჭიროებს როგორც ძველი, ასევე უახლესი პერიოდის მასალებით შევსებას. მემორანდუმი, ციფრული ეკოთეკის შექმნის გარდა, ითვალისწინებს აგრეთვე ქალაქ ქუთაისის ახალ სივრცეში ეკობიბლიოთეკის მოწყობას.

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ასევე აიღო ვალდებულება, პერიოდულად დაუთმოს სივრცე გარემოსდაცვისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ კი საერთაშორისო პროექტ „ეკოსკოლის“ ფარგლებში საგანმანათლებლო მასალებს სოფლის ბიბლიოთეკებშიც გაავრცელებს და შემეცნებით გარემოსდაცვით აქტივობებს განახორციელებს.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება იმ ურთულეს საკითხთან რიგს განეკუთვნება, რომელთა მოგვარება შეუძლებელია პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ბერკეტების ერთობლივი და შეთანხმებული ამოქმედების გარეშე. ამ ერთობლიობაში მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა, ეს კი, თავის მხრივ, დიდწილად დამოკიდებულია მოსახლეობის ინფორმირებულობის მოცულობასა და ხარისხზე.

ბიბლიოთეკას, როგორც საზოგადოების ინფორმაციული მომსახურების საშუალებას, შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ეკოლოგიური განათლების გავრცელების საქმეში. საქართველოს ბიბლიოთეკებს ამ მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ.

რაც დრო გადის, გარემოს დაცვის პრობლემები არათუ იკლებს, არამედ იმატებს და ღრმავდება კიდევ. თუმცა ამ საკითხისადმი მიდგომებიც და ხერხებიც მნიშვნელოვნად შეიცვალა და განვითარდა. სამთავრობო სტრუქტურების პარალელურად არასამთავრობო ორგანიზაციები გააქტიურდნენ გარემოსდაცვითი მუშაობის მიმართულებით და ამ საქმეში მათი ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი გახდა ბიბლიოთეკა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ბუნების დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. ამის ნათელი მაგალითია 2020 წლის 2 ივლისს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და გარემოსდაცვით ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავეს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე, მარო მაცაშვილის ბაღში, დოკუმენტს ხელი მოაწერეს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კვეციანიძემ და ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავეს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ელენე ლოლაძემ.

მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლო-



ელენე ლოლაძე, გიორგი კვეციანიძე



**წიგნის ისტორია**



**ლია რუსადე**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საჯარო ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკარი


ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში ყოველთვის უხვად მოიპოვებოდა უნიკალური გამოცემები. ეს ლიტერატურა გაბნეული იყო ძირითად საცავში. 2007 წელს ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილის, რიტა წაქაძის, ინიციატივითა და იმდროინდელი დირექტორის, ბატონი მერაბ გვაზავას, მხარდაჭერით შეიქმნა იშვიათი გამოცემების განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, წყაროთმცოდნე რუსუდან კაშია. დაიწყო იშვიათი წიგნების გამოყოფის, მეცნიერული შესწავლისა და რესტავრაციის პროცესი. ამჟამად იშვიათი გამოცემების ფონდი სამი ათასზე მეტ ბეჭდურ ერთეულს მოიცავს - როგორც ქართულ, ისე უცხოენოვანს.

ქვეყნის, ქალაქის, ბიბლიოთეკისა და განყოფილების სიამაყეს წარმოადგენს ინკუნაბულა - პირველნაბეჭდი წიგნი.

„ინკუნაბულა“ ლათინურად „აკვანს“, „სანყის“ აღნიშნავს. ასე მოიხსენიებდნენ გამომცემლობას ევროპაში, დაწყებულს პირველი წიგნის ბეჭდვიდან 1501 წლის 1 იანვრამდე. ასეთი გამოცემები არამარტო დღეისათვის, იმ პერიოდისთვისაც კი ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენდა, რადგან თოთოეული წიგნის ტირაჟი მხოლოდ 100-დან 300 ეგზემპლარს შეიცავდა. თავდაპირველად ტერმინი „ინკუნაბულა“ ბერნარდ ფონ მალინკროდმა

# ვენეციაში გამოცემული პირველნაბეჭდი წიგნი

გამოიყენა 1639 წელს თავის პამფლეტში „De ortu et progressu artis bipographycae“. აღნიშნული ტერმინი ფართოდ გავრცელდა მე-18 საუკუნიდან. ინკუნაბულას ორ ტიპად - „ქრისოგრაფიულად“ და „ტიპოგრაფიულად“ ყოფენ. ტიპოგრაფიული მეთოდით დაიბეჭდა მსოფლიოში ცნობილი „გუტენბერგის ბიბლია“. რამდენიმე მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ინკუნაბულურ გამოცემას მხოლოდ ტიპოგრაფიულად დაბეჭდილი წარმოადგენდა. ძირითადად, ასეთი გამოცემები ლათინურ ენაზე იბეჭდებოდა და მისი მომხმარებლები იყვნენ სწავლულები, ადვოკატები, ღვთისმსახურები. ინკუნაბულას ცნობილი გამომცემლები იყვნენ: გერმანელი გუნტერ ცაინერი, ასევე გერმანელი წიგნის გამომცემელი და წიგნებით მოვაჭრე იოჰან მეტელინი (1410-1478) და ინგლისელი უილიამ კეკსტონი (1422-1491).





ინკუნაბულას საუკეთესო ნიმუშად მიჩნეულია გერმანელი ექიმის, ჰუმანისტის, ისტორიკოსისა და კარტოგრაფის - ჰარტმან შედელის (1440-1514) „ნიურნბერგის ქრონიკა“ (1493 წ.). პირველი კატალოგები ინკუნაბულისა ფართოდ გავრცელდა მე-19 საუკუნეში. 27.500 გამოცემის 550.000 ინკუნაბულაა დაცული მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა თუ ბიბლიოთეკაში და, რაოდენ სასიხარულო იყო, რომ, უამრავ წიგნს შორის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში ინკუნაბულა „აღმოვაჩინეთ“...


ძველ საინვენტარო წიგნში ეს ეგზემპლარი დათარიღებული არ იყო. ინკუნაბულას ბოლო გვერდზე და თან რომაული ციფრებით ეწერებოდა დაბეჭდვის წელი და იგი, ალბათ, ყურადღების მიღმა დარჩა გასული საუკუნის ბიბლიოთეკარს... დასახელებული გამოცემა არის „Martialis cum duobus commentis“ - მარციალისის ორიოდე კომენტარი, ვენეცია, 1498 წ. წიგნის ავტორები არიან დომიციუს კალდერინი და გეორგ მერულა.

მარკუს ვალერიუს მარციალისი პირველი საუკუნის რომაელი (წარმოშობით ესპანელი, ბილბილი-სიდან) ავტორი გახლდათ, „ეპიგრამების პატრიარქად“ წოდებული. იგი ხშირად და სიყვარულით იხსენებდა სამშობლოს საკუთარ ლექსებში... მარციალისის დაბადების თარიღი უცნობია, მხოლოდ მათე წიგნის 24-ე ეპიგრამის კომბინაციაზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ იგი ქრისტეშობიდან 40 წელს დაიბადა. ლიტერატურულ-რიტორიკული განათლება მას სამშობლოში მიუღია, 25 წლისა გადასულა რომში (ნერონის მმართველობის ბოლო წლები) და იმდროინდელი ლიტერატორების წრეში უმოღვანია, რასაც ხშირად იხსენებს ლექსებში. ჩვ. წ.აღ-ით 98 წელს, ტროიანეს მმართველობისას, როცა მისმა მფარველებმა სამეფო კარზე უფლებრივი მდგომარეობა დაკარგეს, მარციალისმა ამჯობინა რომის დატოვება, დაბრუნდა ესპანეთში, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ (მიახლოებით 104 წ.) რომის ნოსტალგიით გარდაიცვალა...

რაც შეეხება შემოქმედებას, მარციალისი არჩეულ ჟანრში ძალიან ნაყოფიერი იყო, მან ეპიგრამების 15 წიგნი შექმნა (1561 ეპიგრამა), რომელთა ლიტერატურული ღირებულება ძალიან დიდია. ეპიგრამული ჟანრი, რომელიც ციცერონის (ძვ.წ.-აღ.106 წ.) ხანაში გამოჩნდა და მხოლოდ

პოლიტიკური და ლიტერატურული მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენებოდა, მარციალისმა ფართომასშტაბიანი გახადა. იგი საიმპერატორო რომის ისტორიის ძვირფასი წყაროა... მარციალისის ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ ეპიგრამულ პოეზიაზე. საგულისხმოა, რომ მარციალისი ეპიგრამებში ვრცელ ადგილს უთმობს ფაზისს, მედეასა და კოლხეთს...

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ინკუნაბულა ტიპოგრაფიულის რიგს განეკუთვნება. ავტორები კრიტიკულად იკვლევენ, ამუშავებენ და განიხილავენ ეპიგრამებს. ჯერ უცნობია, თუ როგორ მოხვდა აღნიშნული წიგნი ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში. ასევე უცნობია არეებზე შესრულებული მინაწერების შინაარსიც, რომელიც მკვლევრებს, მეცნიერებსა და დაინტერესებულ პირებს შესასწავლად ელოდება...





**საბიბლიოთეკო საქმე: საქმისწარმოება. მართვა**



**თინათინ ლომჯარი**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის  
საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის  
დირექტორის მოადგილე

**რა უნდა ვიცოდეთ საბიბლიოთეკო  
ფონდების აღრიცხვის შესახებ:**

საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვა წარმოადგენს ბიბლიოთეკის საქმიანობის დაგეგმვისა და ანგარიშების საფუძველს და უზრუნველყოფს მის დაცვასა და შენახვას.

ბიბლიოთეკის ფონდებში ჩასარიცხი დოკუმენტების აღრიცხვა ხორციელდება იმ თვალსაზრისით, რომ ზუსტი და საიმედო მონაცემები დადგინდეს ფონდის შემადგენლობის, მოცულობის, ღირებულების შესახებ, ფონდში არსებული დოკუმენტების კონტროლისა და მათი ფონდში მოძრაობის მიზნით.

ამ მიზნის მისაღწევად, უნდა გამოვყოთ აღრიცხვის 3 სახეობა: სტატისტიკური აღრიცხვა, საბიბლიოთეკო აღრიცხვა და საბუღალტრო აღრიცხვა. სტატისტიკური აღრიცხვა გვჭირდება იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რა მოცულობისა და რა შინაარსისაა ფონდი. სტატისტიკური აღრიცხვა ადგენს წლის ბოლოს ფონდის ეგზემპლარების რაოდენობას, სათაურების რაოდენობას, ფონდში ჩარიცხული ეგზემპლარების დარგობრივი მაჩვენებლების რაოდენობას ანუ წარმოაჩენს რა თემატიკაა უპირატესი კონკრეტული ფონდისთვის. მაგალითად: მხატვრული ლიტერატურა არის X რაოდენობა, სოფლის მეურნეობა - X რაოდენობა, ხელოვნება - X რაოდენობა და ა.შ.

**აღრიცხვის ეს 3 სახეობა შეიძლება  
ასე ჩამოვაყალიბოთ:**

- სტატისტიკური აღრიცხვა ითვალისწინებს წლიურ მონაცემებს ფონდში მომხდარი ცვლილებებისა და მოცულობის შესახებ ყოველი წლის ბოლოსათვის, მაგრამ მისი დათვლა წარმოებს შემდეგი წლის მარტის ბოლომდე;
- საბიბლიოთეკო აღრიცხვა წარმოადგენს ბიბლიოთეკის ფონდში ჩარიცხული და ფონდი-

**საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვა**

მოგესალმებით კოლეგებო! ვაგრძელებთ საუბრებს საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის შესახებ. დღევანდელი ჩვენი თემა გახლავთ საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის მიზანი და სააღრიცხვო ერთეულები. ამ სტატიაში ზოგადად განვიხილავთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო მათი პრაქტიკული გამოყენების თაობაზე მოგახსენებთ ჟურნალის შემდეგ ნომრებში.

დან გარიცხული დოკუმენტების რეგისტრაციას, ფონდის შემადგენლობისა და მოცულობის ცვლილებების დაფიქსირებას;

- საბუღალტრო აღრიცხვა ადგენს საბიბლიოთეკო ფონდის საბალანსო ღირებულების აღრიცხვას ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი წესების შესაბამისად. საბიბლიოთეკო ფონდის ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ბიბლიოთეკის ბუღალტერია.

აქედან გამომდინარე:

საბიბლიოთეკო აღრიცხვას აწარმოებს ბიბლიოთეკა, რომლის ამოცანაა: თავისი ფონდების ფორმირება და დაკომპლექტება, ბიბლიოთეკის ფონდების ორგანიზება, მართვა და დაცვა, ფონდების კატალოგიზაცია.

ფონდის საბიბლიოთეკო აღრიცხვა წარმოადგენს **საბუღალტრო** და **სტატისტიკური** აღრიცხვის საფუძველს და იწარმოება ფონდის ინდივიდუალური და ჯამური აღრიცხვის რეგისტრებში.

**საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვის  
ერთეულების განმარტება**

**ეგზემპლარი** – დოკუმენტის ცალკეული ერთეული, რომელიც ფონდშია ჩარიცხული ან ფონდიდან გარიცხულია.

**სახელწოდება** – თითოეული ახალი, ან განმეორებითი გამოცემა, ან სხვა დოკუმენტი სხვებისაგან განსხვავებული: ავტორის სახელით, სათაურით, სარედაქციო ცნობებით ან გაფორმების სხვა ელემენტებით;

**სათაური** – დოკუმენტზე წარმოდგენილი სიტყვა ან ფრაზა, რომლის მეშვეობითაც ხდება დოკუმენტის იდენტიფიკაცია, რაც გამოარჩევს მას სხვა ნებისმიერი დოკუმენტისაგან;

**ეგზემპლარი და სახელწოდება** - ბეჭდური გამოცემების, გამოუქვეყნებელი, აუდიოვიზუალური და ელექტრონული დოკუმენტების (CD) აღრიცხვის ძირითადი ერთეულებია;

**წლიური კომპლექტი და სახელწოდება** - ჟურნალებისა და გაზეთებისთვის;

**აკინძვის ერთეული:** ფონდის დამატებითი აღრიცხვის ერთეული - ერთი დასახელების ერთად შეკერილი, აკინძული ან სხვა ხერხებით ერთ





მთლიანობად შეკრული პერიოდული გამოცემების ნომრების ერთობლიობა;

**თარომეტრი:** ფონდის დამატებითი აღრიცხვის ერთეული – ფონდის მოცულობის საერთაშორისო საზომი, რომლითაც განისაზღვრება ბეჭდური პროდუქციის შენახვის ერთეულების რაოდენობა ერთ მეტრ სტელაჟზე განლაგებული წიგნებისა და სხვა დოკუმენტების რაოდენობის მიხედვით (ერთ მეტრ სტელაჟზე იანგარიშება საშუალოდ 50 წიგნი. ISO 2789:91);

**რას წარმოადგენს ინდივიდუალური აღრიცხვა ინდივიდუალური აღრიცხვის დანიშნულებაა,**

ვიცოდეთ საბიბლიოთეკო ფონდებში არსებული თითოეული დოკუმენტის საიდენტიფიკაციო მახასიათებლები, როგორც არის სახელწოდება, ავტორი, გამოცემის წელი, მდებარეობა ფონდში ანუ ინვენტარის ნომერი ან შენახვის შიფრი. ასევე უნდა ვიცოდეთ ინფორმაცია გასარიცხი ან უკვე გარიცხული დოკუმენტების შესახებ. ინდივიდუალური აღრიცხვის ფორმებია: მიღება-ჩაბარების აქტები, საინვენტარო წიგნები, სარეგისტრაციო და საკატალოგო ბარათები, ფონდებს შორის დოკუმენტების მოძრაობისა და ფონდიდან გარიცხვის აქტები და სხვ.

დოკუმენტების აღრიცხვა იწარმოება ინდივიდუალური და ჯამური აღრიცხვის რეგისტრებში.

საბიბლიოთეკო ფონდის ინდივიდუალური აღრიცხვის რეგისტრები მოიცავს ყოველი დოკუმენტის საიდენტიფიკაციო რეკვიზიტებს მისი შემოსვლისა და ფონდიდან გარიცხვის შესახებ მონაცემების მითითებით.

**ფონდის ინდივიდუალური აღრიცხვის რეგისტრებია:**

საინვენტარო წიგნები

- ტოპოგრაფიული კატალოგები - სისტემატური განლაგების ფონდებისთვის
  - ტოპოგრაფიული აღწერილობები - ფორმალური განლაგების (ენობრივი, ქრონოლოგიური) პერიოდული გამოცემების განლაგებისთვის
- ინდივიდუალური აღრიცხვის რეგისტრები გამოიყენება აგრეთვე ფონდის შემონმების დროს.

**როგორ ვანარმოთ ინდივიდუალური აღრიცხვა**

საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვის ძირითადი ერთეულებია **ეგზემპლარი და სახელწოდება.** ეს კრიტერიუმები იმ თითოეული დოკუმენტის აღრიცხვის პირობითი ერთეულებია, რომლებიც ჩარიცხულია ფონდში ან გარიცხულია ფონდიდან.

- დოკუმენტის თითოეული ეგზემპლარის ინდივიდუალური აღრიცხვა ხორციელდება დოკუმენტისთვის საინვენტარო ნომრის მინიჭების გზით ან დოკუმენტის რეგისტრაციის საშუალებით საინვენტარო ნომრის მინიჭების გარეშე.
- მუდმივ შენახვას დაქვემდებარებულ დოკუმენტებს ენიჭებათ საინვენტარო ნომრები. დროებითი შენახვის დოკუმენტებს საინვენტარო ნომერი არ ენიჭებათ. პირველად საბუთებში რეგისტრაციის შემდეგ ისინი რეგისტრირდებიან ბიბლიოთეკის მიერ შემოღებულ ინდივიდუალური აღრიცხვის რეგისტრებში.

საინვენტარო (ინდივიდუალური) ნომერი დოკუმენტს გასდევს საბიბლიოთეკო ფონდში მისი არსებობის მანძილზე.

- ფონდიდან გარიცხული დოკუმენტების საინვენტარო ნომრები ახალმიღებულ დოკუმენტებს არ ენიჭებათ.

ინდივიდუალური აღრიცხვის რეგისტრებს წარმოადგენს: საინვენტარო წიგნი, ბარათული კატალოგები (სააღრიცხვო კატალოგის ბარათი, სარეგისტრაციო ბარათი დოკუმენტის განსაზღვრული სახეობისთვის - გაზეთებისთვის, ჟურნალებისთვის, ელექტრონული, აუდიოვიზუალური და სხვა სახეობის დოკუმენტებისთვის).

ინდივიდუალური აღრიცხვის რეგისტრები (საინვენტარო წიგნები და სხვა) სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ჩანაწერის თარიღი;
- საინვენტარო ნომერი;
- ავტორი;
- სათაური / გამოცემის სახელწოდება, ტომის ნომერი;
- გამოცემა (მერამდენე);
- გამოცემის ადგილი;
- გამოცემის წელი;
- ფასი;
- მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი;
- გვერდების რაოდენობა;
- გარიცხვის აქტის ნომერი;
- აღნიშვნა შემონმების შესახებ;

**ჯამური აღრიცხვის რეგისტრები**

ჯამური (ინტეგრირებული, რაოდენობრივი) აღრიცხვის დანიშნულებაა, მოგვცეს წარმოდგენა საბიბლიოთეკო ფონდის რაოდენობის, სტრუქტურის, მოცულობისა და განახლების შესახებ.

ჯამური აღრიცხვის რეგისტრებია: საბიბლიოთეკო ფონდის ჯამური აღრიცხვის წიგნები, რომლებიც შედგება სამი ურთიერთკავშირში მყოფი ნაწილისაგან:

- საბიბლიოთეკო ფონდში დოკუმენტების შემოსვლა (რამდენი ერთეული ჩაირიცხა ფონდში)
- საბიბლიოთეკო ფონდიდან დოკუმენტების გარიცხვა (რამდენი ერთეული გაირიცხა ფონდიდან)
- საბიბლიოთეკო ფონდის მოძრაობა ანუ საანგარიშო პერიოდის წლიური შედეგები.

სტატისტიკური ინფორმაცია ფონდის ფორმირების შესახებ ზემოთ აღნიშნული მონაცემების მიხედვით გადაეცემა ბიბლიოთეკის დირექციას ან ზემდგომ ორგანოს.



**ნათია სადლოველაშვილი**

ამ სტატიაში ვისაუბრებთ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მენეჯმენტის ზოგიერთ საკითხზე. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სა-უნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მუშაობის სტილს განსაზღვრავს ამ უნივერსიტეტის მისია, შესაძლებლობები და მკითხველთა მოთხოვნები, რომელთა გამოც გვიჩირს ვისაუბროთ უნივერსალურ სტანდარტებზე. ქვემოთ განხილულია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მართვის ზოგიერთი საკითხი, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკის გათვალისწინებით.

**მენეჯმენტი (MANAGEMENT. MANAGE) ქართულად განიშარტება, როგორც მართვა, ყველაფერი ის, რაც უკავშირდება სამუშაოების დაგეგმვას, განხორციელებას, უფლება-მოვალეობების გადანაწილებას, შესასრულებელი საქმის ზედამხედველობას, რისკებისა და შედეგების გათვლას და ა.შ. ყველა წარმატებული კომპანიისა თუ დაწესებულების მიღმა სწორი მართვა დგას. მათ შორისაა ბიბლიოთეკაც.**

მოგესხენებათ, ბიბლიოთეკა ყველა სასწავლო დაწესებულების განუყოფელი და მნიშვნელოვანი რგოლია, განსაკუთრებით კი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის, რაც ბუნებრივია, რადგან სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შესაქმნელად სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით სტუდენტების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის წინაშე მრავალფეროვანი გამოწვევები დგას, რომელთა გადანყვება სწორი მართვითაა შესაძლებელი. პირველ რიგში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ითვალისწინებს იმ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რათა უნივერსიტეტმა მიიღოს სახელ-

## საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის

# მენეჯმენტი

მნიფოსგან აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტატუსი. ამაში კი ბიბლიოთეკის წილი მნიშვნელოვანი და საგულისხმოა.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მენეჯმენტი შეგვიძლია განვიხილოთ ორი თვალსაზრისით - საბიბლიოთეკო საქმიანობის პროფესიული ნაწილი და ის, რაც მიდის მკითხველამდე ანუ სტუდენტამდე. ეს ორი კომპონენტი თანაბარმნიშვნელოვანია და მათზე დამოკიდებული ბიბლიოთეკის მუშაობის ხარისხი, რამდენად ეყოლება მას კმაყოფილი მკითხველი, უნივერსიტეტს კი - კმაყოფილი სტუდენტი.

**თუ ჩვეულებრივი ბიბლიოთეკის წინაშე არ დგას განსაკუთრებული მოვალეობა კონკრეტული სახეობების ლიტერატურის ფლობასთან დაკავშირებით, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა ვალდებულია წიგნადი ფონდი შეავსოს სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურითა და სალექციოდ საკითხავი მასალით, ე.წ. „რიდერებიტ“. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამებით (Syllabus) გათვალისწინებული ლიტერატურის მოძიება რიგ შემთხვევებში არც ისე მარტივია, განსაკუთრებით კი ჰუმანიტარული დარგებისათვის, რომლებიც ეფუძნებიან კლასიკად ქცეულ სამეცნიერო ნაშრომებს.**

ხშირად, მათი ხელახალი გამოცემების არარსებობის შემთხვევაში, შეუძლებელი ხდება ამ წიგნთა შეძენა მაღაზიებსა თუ გამომცემლობებში. ამიტომ ბიბლიოთეკას უნევს ლიტერატურის მოძიება ბუკინისტებთანაც და წიგნის ბაზრობებზეც. იქ კი, რიგი მიზეზების გამო, შეუძლებელია შენაძენის საქირო ანგარიშ-ფაქტურების წარმოება, რაც დამატებით სირთულეებს უქმნის ბიბლიოთეკას.

უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკის ჩართულობა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში. ეს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტსა და ლექტორს შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლონ სამეცნიერო ბაზებით, სადაც ქვეყნდება უახლესი კვლევები, ახალი მიგნებები, საკვლევო სიახლეები და ყველაფერი ის, რაც მეცნიერებას უკავშირდება. ბიბლიოთეკამ უნდა



განსაზღვროს, რომელი სამეცნიერო ბაზა შეესაბამება უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებს, რათა ამ ბაზებს ჰყავდეს მკითხველი. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რამდენად იძლევა ესა თუ ის ბაზა ენის არჩევის შესაძლებლობას. გარდა ინგლისურენოვანი სტატიებისა, ხელმისაწვდომი უნდა იყოს გერმანული და ფრანგული ლიტერატურა, რაც გააფართოებს სამომხმარებლო არეალს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკაში დასაქმებული ადამიანების პროფესიული გამოცდილება. გასათვალისწინებელია, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები არ ამზადებენ კადრებს ამ კვალიფიკაციით და ამ პროფესიისადმი დიდ ინტერესს, სამუხაროდ, არც ახალგაზრდები იჩენენ. მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკაში დასაქმებულ ადამიანს ჰქონდეს რომელიმე კონკრეტულ დარგში პროფესიული ცოდნა, რათა შეძლოს რეკომენდაციების გაცემა. ეს უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში, რადგან სტუდენტს, რომელიც ინყებს არჩეული პროფესიის შესწავლას, სჭირდება სწორედ პროფესიული ლიტერატურა. აქ კი, ლექტორის რეკომენდაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკარმა შეძლოს ალტერნატიული სახელმძღვანელოს შეთავაზება ან დახმარება საჭიროს ლიტერატურის შერჩევაში. მაგალითად, ბევრი უცხოელი კოლეგა ფლობს სამეცნიერო ხარისხს და მუშაობას აგრძელებს ბიბლიოთეკაში, როგორც სამეცნიერო ცენტრში. ასევე მნიშვნელოვანია პროფესიული გადამზადებები, ურთიერთობები ადგილობრივ და უცხოურ ბიბლიოთეკებთან გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის გამართული მუშაობისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტების ინტერესების კვლევა, რისთვისაც უნდა ჩატარდეს გამოკითხვები, მაგალითად, ელექტრონული ფორმატით, სადაც სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, დააფიქსირონ, რა ჟანრის ლიტერატურა, რომელი ავტორები აინტერესებთ და მათი მოთხოვნისამებრ მოხდეს წიგნადი ფონდის შევსება. გარდა ამისა, ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო, დარგობრივი ჟურნალების მოძიება და ხელმისაწვდომობა, რათა ბიბლიოთეკაში შესაძლებელი იყოს თანამედროვე სამეცნიერო კვლევების გაცნობა.

თანამედროვე ბიბლიოთეკა წარმოუდგენელია ციფრული მხარდაჭერის გარეშე. ბიბლიოთეკა წინად ფონდთან ერთად უნდა მოიცავდეს ელექტრონულ ლიტერატურასაც. რაც დრო გადის, ელექტრონული წიგნების მომხმარებელთა რაოდენობა იზრდება, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. ბევრისთვის მოსახერხებელია საკუთარ კომპიუტერთან მუშაობა, რისთვისაც ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს ინტერნეტის უწყვეტი მიწოდება. ზოგიერთი ტიპის ბიბლიოთეკაში შეიძლება განვიხილოთ წიგნების გვერდით კომპიუტერების არსებობაც.

როგორც უკვე ვთქვით, უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებთან ბიბლიოთეკის რესურსები უნდა იყოს თანხვედრაში. თუ, მაგალითად, უნივერსიტეტში ისწავლება ფიზიკა, ისტორია, ანგლისტიკა და სხვა, სასურველია, თითოეულ დარგს შესაძლებლობის ფარგლებში გამოეყოს ცალკე დარბაზები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ბიბლიოთეკის თანამშრომლები. გარდა ამისა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს სივრცეები ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის. ეს საჭიროა, რათა, ფონდის ის ნაწილი, რომელიც არ გაიცემა სამკითხველო დარბაზის გარეთ, ამ სივრცეში ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისათვის.

**რანაკლებ მნიშვნელოვანია ელექტრონული კატალოგი, რომელიც ბიბლიოთეკარის სამუშაოს გაიოლებასთან ერთად, უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას. სტუდენტი, რომელიც დაინტერესებულია კონკრეტული ავტორით, თავადვე მოიძიებს ინფორმაციას, თუ ამ ავტორის რა სახელმძღვანელოებს ინახავს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა.**

და ბოლოს, ყოველივე ზემოაღნიშნულის გამართულად ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტების ინფორმირებულობა. ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს, რომ საკუთარი სერვისების შესახებ ინფორმაცია ღიად და გამჭვირვალედ მიანოდოს თითოეულ სტუდენტს. მომსახურება უნდა იყოს ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი, დამოკიდებულება - კეთილგანწყობილი, რათა ბიბლიოთეკას ჰყავდეს მადლიერი მკითხველი, უნივერსიტეტს კი - კმაყოფილი სტუდენტი.



**საქართველოს ბიბლიოთეკები  
პანდემიის პირობებში**



**ინგა გოგიბერიძე**

აკაკი წერეთლის სახელობის  
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი

ო, რანაირი ჩუმია მარტი, როცა ბავშვები აღარ  
ჰყავს ქუჩას და რანაირი სევდისფერი მოჩანს  
ტყემლის ხე, აფეთქებული მზის ყვავილებით. ო,  
რანაირი ჩუმია მარტი, როცა ქუჩაზე სამარე გიდევს,  
ფეხაკრეფით გასავლელი, უხმოდ მოსავლელი და  
სახლში მშვიდობით დამბრუნებელი. ოჰო, რანა-  
ირი ჩუმია მარტი, ელდანაკრავი გულის ფეთქვის  
მომლოდინე და მაინც ხარბი, რომ სიცოცხლის და-  
ბადებას ხელი უშნოდ წამოკრას და დაასამაროს.  
მზე, მთვარე და ვარსკვლავებიც კი გადაყლაპოს. ო,  
რანაირი ჩუმია მარტი, როცა შიში ზრდის ამ ყვავი-  
ლებს და თვალეებში გაყრის მტვერს, ნაცარს და სა-  
სიკვდილოდ გამზადებულ წყლის უცნობ წვეთებს.  
რანაირი ჩუმია მარტი, როცა ბავშვები აღარ ჰყავს  
ქუჩას და რანაირი სევდისფერი მოჩანს ტყემლის  
ხე, აფეთქებული მზის ყვავილებით. ჰეი, შენ, მარ-  
ტო, მე გიბრძანებ - გამოაცოცხლე არემარე, მზით  
შემოსე ყველა ყვავილი, ააჯეჯილე ველ-მინდვ-  
რები, აჟრიაშულე ქუჩა, ეზო და ყველა კართან მი-  
იტანე შენი მზის სითბო, დატოვე და გამოიქეცი.  
ჩემთან მოდი, გულში ჩაგიკრა, რომ ნაზად, ნაზად  
გეამბოროო მაგ ფერად სულში. რანაირი ჩუმია მარ-  
ტი, როცა ბავშვები აღარ ჰყავს ქუჩას და რანაირი  
სევდისფერი მოჩანს ტყემლის ხე, აფეთქებული  
მზის ყვავილებით.“

ეს მინიატურა 2020 წლის 11 მარტის დილით დავ-  
წერე და გარინდებულ ბიბლიოთეკაში შემოვდგი  
ფეხი. ბიბლიოთეკას სიჩუმე უხდება, მაგრამ ეს უც-  
ნაური სიჩუმე არ მომეწონა და გადავწყვიტე მაინც  
ამეხმაურებინა აქაურობა – ისე, როგორც შეგვეძ-  
ლო. ჯერ ვიდეო ზღაპრების ჩანერა დავინწყეთ და

**აკაკი წერეთლის სახელობის  
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა**

ქ ან ქე ში ა

ჩვენს ვებ გვერდზე გამოვაქვეყნეთ, მერე საბიბ-  
ლიოთეკო გაკვეთილების ჩანერა გადავწყვიტეთ  
- წიგნების განხილვა ხომ მუდმივად ჩვენი პირ-  
ველი საქმე იყო. ესეც ვიდეო ფორმატში გადა-  
ვიყვანეთ და მალე მივხვდით, რომ, რაც ხდება,  
ყველაფერი სასიკეთოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ  
და დავინწყეთ აქტიური დისტანციური მუშაობა  
მკითხველებთან ჩვენი სოციალური გვერდების  
მეშვეობით. მინდა კონკრეტული მაგალითებით გე-  
საუბროთ და გითხარათ, რომ

**სასიკეთო გამოსავალი ყველა საქმიდან არის!**

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარებული  
საქმიანობა შეიძლება პირობითად ორ ნაწილად  
გაიყოს: პანდემიის გამოცხადებამდე და საგანგე-  
ბო მდგომარეობის პირობებში. აღსანიშნავია, რომ  
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა არა მხოლოდ უნი-  
კალურ წიგნად ფონდს უვლის, არამედ დიდ კულ-  
ტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა.  
საგანგებო მდგომარეობის დროს ბიბლიოთეკის  
კარი მკითხველებისთვის დაიხურა (რა თქმა უნდა,  
დროებით), მაგრამ ბიბლიოთეკას არ შეუწყვეტია  
მუშაობა.

ბიბლიოთეკის დანიშნულება ყოველთვის იყო  
და იქნება წიგნის პოპულარიზაცია, მკითხველის  
დაკმაყოფილება საჭირო ლიტერატურითა და ინ-  
ფორმაციით. ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომე-  
ლი ზრუნავდა იმაზე, რომ მკითხველებისათვის  
დისტანციურად მიეწოდებინათ ახალი ინფორმა-  
ციები, დისტანციური კითხვის სხვადასხვა ჩანა-  
წერი. ონლაინ რეჟიმში ვმუშაობდით პირდაპირი  
ჩართვებითა და ვიდეორუბრიკებით. განსაკუთ-  
რებული მნიშვნელობა მივანიჭეთ საჯარო ვიდე-  
ოლექციებს, ვიდეო-ინტერვიუებს ცნობილ ადამი-  
ანებთან.





ბიბლიოთეკის გვერდზე შევქმენით „ბათუმის ტვ ბიბლიოთეკა“, ავამუშავეთ პერიოდული ელექტრონული ჟურნალი – „ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა: გუშინ, დღეს, ხვალ“. ბიბლიოთეკის აივნიდან აუდიოაპარატურით წარმატებით ხორციელდება აჭარის მწერალთა სახლის პროექტი – „პოეზიის დრო“, საიდანაც ისმის ქართველი ხელოვანების, მწერლებისა და პოეტების საუკეთესო ნაწარმოებების აუდიოჩანაწერები, რომელთა მოსმენა არა მხოლოდ ბიბლიოთეკის მკითხველს, არამედ ქალაქის ყველა მცხოვრებს და სტუმარს შეუძლია. ბიბლიოთეკის სოციალურ გვერდზე პროექტის – „დისტანციურად კითხვის დრო ინგასთან ერთად“ ფარგლებში, პირდაპირ ვიდეოჩართვებში ბიბლიოთეკარები კითხულობენ წიგნებს, მკითხველს ყოველდღიურად აწვდიან ინფორმაციას ღირსშესანიშნავი თარიღებისა და მსოფლიო ბიბლიოთეკების ისტორიების შესახებ.

დისტანციურად მუშაობს კლუბები: „შენი სივრცე“, „საბლაპრეთი“, „ფილმების საღამოები“. ქვეყნდება მასალები რელიგიური დღესასწაულების შესახებ. პროექტის - „დრო ძვირფასია“ ფარგლებში ბიბლიოთეკის სოციალური გვერდის ეთერში ვიდეო და აუდიორგოლები ტრიალებს. ქვეყნდება ბიბლიოგრაფიული ცნობები და სარეკომენდაციო სიები. მკითხველი ონლაინ-რეჟიმში ეცნობა ქართულ ჟურნალებს, მათ შორის, საბავშვო ჟურნალებს. მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ინტერვიუები მხატვრებთან,

ხელოვანებთან, მუსიკოსებთან, პოეტებთან და მწერლებთან, რომლებსაც ბიბლიოთეკის თანამშრომლები აშუქებენ. პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდა მხატვრების ვირტუალური გამოფენები.

პანდემიის პირობებში ბიბლიოთეკის დირექციამ და თანამშრომლებმა მუშაობა გააორმაგეს. მათ გვერდზე წაიკითხავთ ახალ კორონავირუსთან დაკავშირებულ მასალებსაც. საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების თანამშრომლები ყველა ასაკის მკითხველებთან მუშაობენ. ვიდეოჩართვებით პატარებისთვის განკუთვნილი ლიტერატურის კითხვასთან ერთად, ბავშვები ონლაინრეჟიმში მულტფილმებს და მხატვრულ ფილმებსაც ნახულობენ.

აღსანიშნავია, რომ ამერიკული კუთხის თანამშრომლები პანდემიის დროსაც საინტერესოდ მუშაობდნენ დისტანციურ რეჟიმში, სკაიპის მეშვეობით უკავშირდებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებს და ახორციელებდნენ ჩართვებს მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ლექტორებთან. მარტსა და აპრილში ასეთი ჩართვები გახშირდა და ყველა ღონისძიება ამ ფორმატით მიმდინარეობდა. საინტერესო ჩართვა ჰქონდათ ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტ ლუკა გოცირიძეს და აბუ-დაბიში ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სტუდენტ დავით ჯინჭარაძეს. მათ ისაუბრეს უცხოეთში სტუდენტური ცხოვრების შესახებ. ჩატარდა, ასევე, რამდენიმე ონლაინლექცია ამერიკული ჯაზისა და დედამიწის დღის აღსანიშნავად. რა თქმა უნდა, მკითხველთა რაოდენობა არ გაზრდილა, მაგრამ გაიზარდა ბიბლიოთეკის სოციალური გვერდების მომხმარებელთა რიცხვი, რომელმაც 2020 წლის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში 5713 ადამიანს მიაღწია.

როცა საქართველოს მთავრობის განკარგულებით დაიშვა აქტივობის ნებართვა ღია სივრცეში, ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ ამერიკის ელჩი, ამერიკის საელჩოს თავდაცვის ატაშე, ევროკავშირის საქართველოს ბიზნეს-საბჭოს გენერალური მდივანი, საზაფხულო სკოლის ბავშვები, მწერლები და პოეტები. ამასთან ერთად მე, როგორც „მებლაპრე“, პანდემიის პერიოდში ვსტუმრობდი მაღალმთიანი აჭარის ათამდე სოფელს, ბავშვებს ვუკითხავდი და სოფლის ბიბლიოთეკებს ვამარაგებდი ახალი წიგნებით.

**ენციეთ ჩვენს გვერდებს:**

<https://www.facebook.com/biblioteka.batumis.3>

<https://www.facebook.com/elene.garibashvili.58>

<http://bpl.ge/>

[https://www.facebook.com/American.Corner.Batumi/?\\_\\_tn\\_\\_=%2Cd%2CP-R&eid=ARBSnI0JuqZUIEF](https://www.facebook.com/American.Corner.Batumi/?__tn__=%2Cd%2CP-R&eid=ARBSnI0JuqZUIEF)

[AQ\\_tl4zjekZKi3Hhg3cbRVodHNvLmiTzqbUpHzKU5MpZ2lyZupRifeJx-MzAA5UDB](https://www.facebook.com/American.Corner.Batumi/?__tn__=%2Cd%2CP-R&eid=ARBSnI0JuqZUIEF)



**მარინე დიდებულიძე**

მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ, პანდემიით გამოწვეულმა მდგომარეობამ ახალი გამოწვევების წინაშე დაგვადგინა - აღმოვჩინდით სრულიად განსხვავებულ რეალობაში და პირველი სტრესის გავლისთანავე დავინწყეთ ფიქრი, როგორ გაგვეგრძელებინა მუშაობა. კოლეგებთან ერთად დავინწყეთ ახალი მოცემულობის შესაბამისად სამუშაო გეგმის შედგენა.

საბედნიეროდ, თანამდგომარეობა და ადამიანურმა რესურსებმა საშუალება მოგვცეს, არ გაგვეწყვიტა კავშირი არც კოლეგებთან და მუდმივი, ონლაინ კომუნიკაცია გვქონოდა მკითხველებთანაც. ჩვენ ყველა რესურსი მოვამზადეთ, რათა ონლაინ რეჟიმში გადასულიყო გაერთიანების თითქმის ყველა განყოფილების საქმიანობა. ამას ხელი შეუწყო ჩვენი ბიბლიოთეკების ტექნიკურმა აღჭურვილობამ, თანამშრომლების პროფესიონალიზმმა, რაც, სხვა ნიშნებთან ერთად, გამოიხატა თანამდგომარეობაში ციფრულ ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარ-ჩვევების ფლობაში. შექმნილმა ვითარებამ ცხადყო, თუ როგორი მნიშვნელოვანი და აუცილებელია ბიბლიოთეკებში თანამდგომარეობაში ტექნოლოგიების დანერგვა, რათა უფრო ეფექტური იყოს მათი სერვისები ნებისმიერი გამოწვევების პირობებში.

**თავდაპირველად, როგორც ყველა, ჩვენც დავიბენით. ჩვენი მუშაობა მიმდინარეობდა სპონტანურად და, რაც შევძელით, პირველად ის გავაკეთეთ - ჩვენი თანამშრომელი კერავდა პირდავებს, რომლებსაც ვურიგებდით მკითხველებს.**

შემდეგ ჩავატარეთ თანამშრომელთა ონლაინ-თათბირი, გავცვალეთ იდეები და შევიმუშავეთ ახალი სამოქმედო გეგმა. თითოეულ განყოფილებას და თანამშრომელს გადავუნანილეთ თავისი

## საშურის ბიბლიოთეკები

# ქანქობის ქონი

პოზიციის შესაბამისი პასუხისმგებლობა ამ გეგმის შესრულების პროცესში. სამუშაო შემდეგნაირად დავგეგმეთ:

**ყველა ის რესურსი და აქტივობა, რაც მიმდინარეობდა ბიბლიოთეკაში პანდემიამდე, შეძლებისდაგვარად გადავიტანეთ ონლაინრეჟიმში.**

დღეს ასეთი ვითარება გვაქვს:

მკითხველებს, მათი მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველვყოფთ ინტერნეტსივრცეში განთავსებული ციფრული რესურსებით. ეს რესურსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მოთხოვნადია სკოლის მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტების მხრიდან. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა მეტად ეფექტური საშუალებაა იმისათვის, რომ არ შევწყვიტოთ ჩვენი მთავარი ფუნქცია, მკითხველების მომსახურება, ასევე მათთან ადამიანური კავშირები, რაც უმნიშვნელოვანესია შექმნილ მდგომარეობაში.

დახურულ ჯგუფში მკითხველები ერთმანეთს უზიარებენ აზრს წაკითხულის შესახებ, რეკომენდაციას უწევენ მათ მიერ მოწონებულ წიგნებს. ურთიერთობის ეს ფორმა კლუბის მუშაობის სტილია. მკითხველები თავისდაუნებურად ითავსებენ ბიბლიოგრაფის ფუნქციასაც, რაც ჩვენთვის ძალიან საინტერესოა.

ონლაინ რეჟიმში ტარდება ინტელექტუალური კონკურსები. ასევე, მთლიანად ონლაინ რეჟიმში გადავიტანეთ უკვე მოქმედი რუბრიკები სხვადასხვა თემებზე, მაგალითად, როგორებიცაა - „გაიგე მეტი“, „იცით თუ არა, რომ...“, „ზღაპრის კლუბი“ და სხვ. გარდა ამისა, გვაქვს ონლაინ ჩართვები ადამიანებთან, რომლებსაც აქვთ საინტერესო გამოცდილება და წარმატებები სხვადასხვა სფეროში. ამ რუბრიკას ჰქვია „ვირტუალური სტუმარი“. წინასწარ ტარდება კვლევა მკითხველებს შორის და სტუმარიც მათი ინტერესისა და გემოვნების შესაბამისად ირჩევა. უკვე შედგა რამდენიმე შეხვედრა, მათ შორის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი, ქალბატონ რუსუდან ასათიანთან. სტუმრების მოწვევა მომავალშიც იგეგმება.



არ ვივინყებთ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებს და მათთვის ჩვენს გვერდზე ვაზიარებთ ინტერნეტსივრცეში გამოტანილი წიგნების აუდიო ვერსიებს. ეს ძალიან კომფორტული აღმოჩნდა არა მარტო შშმ პირებისთვის, არამედ ნებისმიერი მკითხველებისთვისაც, რადგან ამ წიგნებს კითხულობენ პროფესიონალი მსახიობები და მათი მოსმენა ესთეტიურად ძალიან სასიამოვნოა ნებისმიერი ასაკისა და გემოვნების ადამიანებისათვის.

ბიბლიოთეკაში მოქმედებს „ამერიკის კუთხე“ და „ლიტვის კუთხე“, რომლებმაც თავიანთ პროექტების განხორციელება ასევე გადაიტანეს ონლაინ რეჟიმში. ამერიკის კუთხემ განახორციელა პროექტი: „გენდერული თანასწორობა“, რომლის ფარგლებში ჩატარდა ლექციების სერია და კლუბების მუშაობა ონლაინრეჟიმში. ამერიკის კუთხეში გვაქვს რუბრიკა: ჩემი ამერიკული გამოცდილება, სადაც ამერიკის გაცვლითი პროგრამის მონაწილეები კოლეგებს უზიარებენ ამერიკაში მიღებულ გამოცდილებას. ასევე, გვაქვს ონლაინ ჩართვები ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებთან, რომლებიც უზიარებენ ინფორმაციებს ამერიკის საელჩოს მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

პანდემიის პირველივე დღეს მოეწყო საინფორმაციო კამპანია. ლიდერთა კლუბის წევრებმა შექმნეს საინფორმაციო ხასიათის ვიდეოები. გვექონდა ონლაინ გამოწვევა დედამიწის დღესთან დაკავშირებით. სტუმრებმა საინტერესო რეკომენდაციები გაუზიარეს მომხმარებლებს, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ ფსიქოლოგიურ პრობლემებს პანდემიის დროს. სტუმრად აგრეთვე მოწვეული გვყავდა

ფსიქოლოგი, რომელმაც ასევე ჩაატარა სესიები ფსიქოლოგიურ საკითხებზე. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ახლა უმთავრესია გვექონდეს ჯანსაღი კომუნიკაცია და პანდემიისგან შექმნილი პრობლემების მიუხედავად, ყველამ შევძლოთ, სრულფასოვნად გავაგრძელოთ ცხოვრება და საქმიანობა.

მუშაობის ახალმა რეჟიმმა მოგცვა ახალი გამოცდილება. ბიბლიოთეკარებმა პანდემიის პერიოდში შეიძინეს ტექნოლოგიებით სარგებლობის ახალი უნარები: სოციალური მედიის, ზუმის, გუგლ-მიტის და ლაივ ჩართვების უნარ-ჩვევები. ამან დადებითი შედეგები მოიტანა და კიდევ უფრო გაზარდა საბიბლიოთეკო სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა.

**თუ ჩვეულ რეჟიმში მუშაობისას საბიბლიოთეკო სერვისები ნაკლები რაოდენობის მომხმარებლისთვის იყო ხელმისაწვდომი სივრცის სიმცირის გამო, ონლაინ მუშაობისას აუდიტორია საგრძნობლად გაიზარდა. ასე, რომ დისტანციური მუშაობისას ბიბლიოთეკამ შესძლო, შეექმნა განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის გარემო.**

ამავე დროს, მეტად გაიზარდა ჩვენი სოციალური ქსელის მომხმარებელთა - ფეისბუქგვერდის მეგობართა და გამომწერთა რაოდენობა. ადამიანებმა აღმოგვაჩინეს, როგორც ახალი ინფორმაციის ახლებურად მიმწოდებელნი. ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენ მათთვის მუდამ საჭირონი ვართ.



**ირმა კვირიკია**  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი

## ზუგდიდის საბიბლიოთეკო ცხოვრება

# ქანქშიის ქუჩიოქში

დახმარების განწევა ინფორმაციის მოძიებაში და სხვა ტიპის საქმეს ბიბლიოთეკარები უკვე შინიდან ასრულებენ. მაგრამ, საჭირო იყო რაღაც მეტი, ისეთი ღონისძიებები, როგორც ძალიან ხშირად იმართებოდა და, რასაც ბიბლიოთეკის მკითხველი მუდამ სიამოვნებით ესწრებოდა.

**ამ პანდემიის ჟამს წიგნთან ერთად Facebook-გვერდიდან მიენოდა მათ ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები. პირდაპირი ჩართვებით შესაძლებელი გახდა არა მარტო ჩვენი მკითხველებისა და თანაქალაქელების დასწრება ღონისძიებებზე, არამედ სოციალური ქსელის მომხმარებლებიც გახდნენ ამ აქტივობების მონაწილეები.**

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის პირდაპირმა ტრანსლიაციებმა მნახველთა და მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. შეიქმნა რუბრიკები: „პოეზიის საღამო“, „მოდღვრის საათი“, „მხარეთმცოდნეობითი გაკვეთილები“, „შეხვედრა ავტორთან“. ამ რუბრიკების ეგიდით Facebook-მომხმარებლების წინაშე წარდგინდა რაულ ჩილაჩავა, დიკა სალაყაია, ლაშა გვასალია, ნესტან ფიფია, ლაშა ჯიქია, ბელა მოსია, თინათინ მღვდლიაშვილი და სხვები.

„მოდღვრის საათი“ პირველი იყო, რომელიც ჩვენი Facebook-გვერდიდან გავიდა და ტრანსლირებისთანავე დიდი მოწონება და ინტერესი დაიმსახურა. ყოველი კვირის სამუშაოს ნაღვინჯის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის წინამძღვარი-დეკანოზი ანდრია კემულარია სხვადასხვა საინტერესო თემებზე ესაუბრება ბიბლიოთეკის ვირტუალურ მეგობრებს. რუბრიკა საჭირო და აუცილებელი აღმოჩნდა, რადგან უჩვეულო რეჟიმით მცხოვრებ ხალხს სჭირდებოდა რჩევები და გულდია საუბარი პანდემიის პერიოდში ცხოვრების სტილზე. რუბრიკა გახდა ტრადიციული და პირდაპირი ტრანსლირებით გადის კვირაში ერთხელ.

პანდემიის პერიოდში ბიბლიოთეკა შეუერთდა სოციალურ კამპანიას - #დარჩისახლში - ამავე სახელწოდების ფოტოკონკურსით. ამ კონკურსით ბიბლიოთეკა გამოეხმაურა თანამედროვეობის დიდ გამოწვევას და არა მარტო თავის მკითხვე-

თანამედროვეობის უდიდესმა გამოწვევამ - ახალი კორონავირუსის აფეთქებამ ბიბლიოთეკების ყოველდღიურობაც რადიკალურად შეცვალა. სხვა ორგანიზაციებისა თუ დაწესებულებების მსგავსად, ბიბლიოთეკებიც დაიკეტა. თავიდან ძალიან გაჭირდა ადაპტირება ამ შეცვლილ ვითარებასთან. იყო შიში, ბუნდოვანება, საფრთხის მოლოდინი და გაურკვევლობა. ყველაზე მთავარი ინფორმაცია, რაც ბიბლიოთეკარს და მკითხველს სჭირდებოდა და აინტერესებდა, იყო პანდემიასთან დაკავშირებული ამბებები.

დააქუკვე ასპარეზი მთელი დატვირთვით დაეთმო ბიბლიოთეკის სოციალურ ქსელს-Facebook გვერდს - მანამდეც ძალიან აქტიურს და მკითხველებში ცნობადს. ბიბლიოთეკამ დროებით აქ გადმოინაცვლა და მკითხველებსაც აქ მოუხმო. ბიბლიოთეკის მიერ ყოველდღიურად ვრცელდებოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ინფორმაციები, გრძელდებოდა მნიშვნელოვანი თარიღებისა და ცნობილი პირების იუბილეთა აღსანიშნავი ინფორმაციების დადება - გაზიარება. წიგნსმონყურებულ მკითხველს მიენოდა ელექტრონული ბიბლიოთეკების ბმულები და სათანადო ინსტრუქტაჟიც ონლაინ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შესასწავლად.

კვლავ გაგრძელდა ის საბიბლიოთეკო საქმიანობა, რაზეც ადრე მუშაობდნენ თანამშრომლები, შეიცვალა მხოლოდ სამუშაო ადგილი - ელექტრონული კატალოგის რედაქტირება, საოჯახო ფოტოალბომებიდან შემოსული ფოტოების სკანირება-გაციფრება, მკითხველთათვის სათანადო





ლებს, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს მისცა შანსი, ერთი ფოტოთი გაეზიარებინათ თავიანთი ცხოვრება კარანტინის დროს. ყველა შემოსული ფოტო აიტვირთა Facebook-გვერდზე. 22 მაისს Facebook like-ების მეშვეობით გამოვლინდნენ გამარჯვებულები და დაჯილდოვდნენ სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით. ფაქტობრივად, ასე შეიქმნა ერთგვარი მცირე ფოტომატიანე ჩვენი მკითხველების „კარანტინული“ ცხოვრებისა. აღსანიშნავია, რომ ფოტოკონკურსში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ჩვენმა მკითხველებმა, არამედ ჩვენმა კოლეგებმა საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და, ასევე, უცხოეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა.

პანდემიის პერიოდში ინტერნეტპორტალის - [zugdidelebi.ge](http://zugdidelebi.ge)-ს (პოპულარულია ზუგდიდში) გვერდზე, კატეგორია „ლიტდებიუტში“, პერიოდულად იბეჭდებოდა ბიბლიოთეკისა ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდული ცენტრის ერთობლივი პროექტის - „წარმოაჩინე ახალგაზრდა პოეტების“, მონაწილეთა ლექსები. ასე წარდგინდნენ საზოგადოების წინაშე ახალგაზრდა პოეტები: დემეტრე ზარქუა, ნინო ქანთარია, ლილე კვიციანი, მარიამ კუტალია, მარიამ კანკია, დავით ზაუტაშვილი, საბა ხვიჩია, დავით თორდია და ირაკლი ბერიშვილი.

„ამერიკული კუთხის“ Facebook-გვერდზე კვირაში რამდენჯერმე მიმდინარეობდა და ახლაც გრძელდება მონვეული სპეციალისტების, ამერიკის საელჩოს თანამშრომლებისა და „ამერიკული კუთხის“ მოხალისეების საუბრების, მასტერკლასებისა და ვორქშოპების სამუშაო შეხვედრების ონლაინტრანსლიაციები.

მრავალი წელია ბიბლიოთეკის მკითხველები ისმენენ კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტის ონლაინლექციებს. ასევე სარგებლობენ ამ ჩართვებით საჯარო სკოლების უფროსკლასელები და სხვა დაინტერესებული პირები. პროექტში მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოს რამდენიმე ქალაქის ბიბლიოთეკები, უნივერსიტეტები და ახალგაზრდული ცენტრებიც. პანდემიამ ამ ფორმატსაც გარკვეულწილად შეუშალა ხელი. ვინაიდან თავად ლექცია მიმდინარეობდა კავკასიური სახლის თბილისის ოფისში, მთლიანად გადავინაცვლეთ ონლაინფორმატში. შეიქმნა პროექტის ხელმძღვანელთა, კოორდინატორთა და მსმენელ-

თა ჯგუფი. უკვე ონლაინრეჟიმში მსმენელები ისმენენ ლექციათა ჩანაწერებს, უყურებენ კავკასიური სახლის ფილმებს. ამ პროექტის ხელმძღვანელის, ქალბატონ თამარ უჯუხუს იდეას - „კარანტინული ჩანაწერები“, აქტიურად გამოეხმაურნენ ჯგუფის წევრები, მათ შორის ზუგდიდელი მსმენელები. პატარა ვიდეოჩანახატებში მათ მოკლედ, რამდენიმე შტრიხით აღწერეს ის სიტუაცია, რომელშიც ჩვენ, ყველანი სრულიად მოულოდნელად აღმოვჩნდით. ძალიან საინტერესო იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ახალგაზრდების მონათხრობის მოსმენა კარანტინის პერიოდში მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ. კავკასიურმა სახლმა დაგეგმა ამ ჩანაწერების ფილმად აწყობა. საინტერესოა ასევე, ვირტუალური ექსკურსიები, რომლებსაც იღებენ თავად მსმენელები და თანატოლებს ვიდეოების საშუალებით აცნობენ თავიანთი ქალაქების ღირსშესანიშნავ ადგილებს. მაგალითად, ასე გააცნეს ზუგდიდელმა მსმენელებმა თანატოლებს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი და დადიანების შთამომავლების, მიურატების სახლი შატო-ჭკადუაში.

ონლაინ-პლატფორმაზე განხორციელებულ ღონისძიებებში თავად მკითხველებიც ჩაერთნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია აქტივობები: „ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“, „წავიკითხოთ ლექსები“, „ქართული კალიგრაფია“. მათ მიერ მათივე მონაწილეობით გადაღებულმა ვიდეოებმა გაამდიდრა ბიბლიოთეკის ონლაინ ვიდეოთეკა. პანდემიის პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების სულისჩამდგმელი და თაოსანი, ბიბლიოთეკის ძლიერ გუნდთან ერთად, იყო ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის დირექტორი, ქალბატონი მადონა მაქაცარია. აღსანიშნავია აგრეთვე ამ პროექტების ავტორები და განმახორციელებლების - მანანა გვარამიას, ციცო თოლორაიას, მაია ღურწკაიას, მადლენა დამენიას, ირმა კვიციანის, ინგა ქარჩავასა და სოფო კვარაცხელიას როლი.

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის პირდაპირმა ტრანსლიაციებმა დაწყების დღიდანვე დაიმსახურა მნახველთა და მსმენელთა დიდი მოწონება. დღესაც მათ ბევრი მნახველი ჰყავს. გაიზარდა ბიბლიოთეკის ვირტუალური მეგობრებისა და გამომწერების რიცხვი.

პანდემიის პერიოდმა კიდევ მეტად დაანახა ყველას ბიბლიოთეკის ძალა და მასშტაბი.

## ბიბლიოთეკა და საზოგადოება



**ზურაბ ცხონდია**

პუბლიცისტი, მწერალი, ჟურნალისტი

## რედაქციისგან

ზურაბ ცხონდია 60 წელზე მეტი იყო ბიბლიოთეკის მკითხველი. მან თავისი დამოკიდებულება ბიბლიოთეკისადმი შესანიშნავად გადმოსცა ესეიში - „განმანათლებელი კერის მისია“, რომელიც გამოქვეყნებულია მის წიგნში „ზუგდიდური ქრონიკები“.

## სავანმანათლოებლო კვირს პოსტი

ბიბლიოთეკა - ცოდნის, განათლების საცავი და წყარო. ვერცერთი მუზეუმი, სახვითი ხელოვნების გალერეა თუ მემორიალური სახლი ვერ გაუტოლდება თავისი მისიით ამ საოცარ კერას. შეაღებ რა სამკითხველო დარბაზის თუ ფონდ-საცავი განყოფილებების კარებს, უმალ სპეციფიკური სუნი გეცემა: წიგნის სუნი, ცოდნის სუნი. განათლებულ ადამიანს მოარულ ბიბლიოთეკას უწოდებენ. წიგნიც ცოცხალი, მეტყველი, მგრძნობიარე ორგანიზმია. ამ თაროებს მკითხველის მონუსხვა ძალუძთ. ჭეშმარიტი წიგნის მოყვარული მისკენ ისე მიიჩქარის, როგორც შეყვარებული პაემანზე. ფურცლავ სასურველ წიგნს, ირჩევ ნაწარმოებს, მიაშურებ თავისუფალ, მყუდრო ალაგს და გატაცებით მიჰყვები ტექსტის მდინარებას, რომელშიაც ყოველი ფრაზა მომაჯადოებელი კოდის მატარებელია. კითხვისას სისხლძარღვები და თვალის გუგა გიფართოვდება. ეს ის წუთებია, როცა შენს სამშვიდობო ცოდნის ნაპერწკლები, ეგრეთ წოდებული ნათელი მონადები ინთებიან და ემოცია სიამოვნებას განიჭებს. ქართული ენის მაგიამ ზუსტად მიაგნო ამგვარი შთაგონების გამომხატველ კომპოზიტს: „ნათელმხილველს“. დიდება ამ ბიბლიოთეკის დამფუძნებელს, მარად სახსოვარ ინტელიგენტს, ნიკოლოზ ბუკიას. ბედნიერ, ლამაზ და წარმატებულ სიცოცხლეს ვუსურვებ დღეს აქ მოღვაწე, პროფესიაზე შეყვარებულ, ჩუმ და უხმაურო, მაგრამ დიდი და მნიშვნელოვანი საქმის მკეთებელ ადამიანებს.



**საქართველოს ბიბლიოთეკები:  
დაარსების ისტორია და დღევანდელი**

ქეთაიშვილი

**ილია ქავჭავაძის სახელობის  
საჯარო ბიბლიოთეკა**



**რიტა ნაქაძე**

ქუთაისის ილია ქავჭავაძის სახელობის  
საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

ქუთაისის ილია ქავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი წიგნსაცავია. იგი ფლობს მილიონზე მეტ საბიბლიოთეკო დოკუმენტს: წიგნებს, პერიოდულ გამოცემებს, CD-DVD კოლექციებს. ფონდში დაცულია როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა. ბიბლიოთეკის სიმდიდრეა უნიკალური და იშვიათი გამოცემები, რაც ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს.

**ქუთაისის ილია ქავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა 1873 წელს დააარსა ანტონ ლორთქიფანიძემ.**



ანტონ ლორთქიფანიძე

ანტონ ლორთქიფანიძე ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. იგი დაიბადა 1847 წელს ქუთაისის მაზრაში, სოფელ გოჩაჭიხაიშში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1872 წელს დაასრულა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ანტონის თაოსნობით ქუთაისში ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა საზოგადოება და ხშირად იმართებოდა ქართული წარმოდგენები. ანტონი აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის სათავადაზ-

ნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტის საქმიანობაში, რომელსაც თავმჯდომარეობდა მისი მეუღლე ელენე ყიფიანი (დომიტრი ყიფიანის ქალიშვილი). ანტონ ლორთქიფანიძე იყო ქუთაისის საბჭოს ხმოსანი დეპუტატი და ქალაქისთვის მოადგილე. ეროვნული მსოფლმხედველობის გამო, მას მუდმივი თვალთვალისა და დევნის პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, თავისი მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ვალი პირნათლად მოიხადა. გარდაიცვალა 1894 წელს. ანტონ და ელენე ლორთქიფანიძეები დაკრძალული არიან ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიაში, გორაზე.

1873 წლის 6 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში ანტონი კირილე ლორთქიფანიძეს წერდა:

„ძმავ კირილე, ჩვენი ბიბლიოთეკის საქმე როგორც არის გავათავე, სულ ყოველისფერათ მზათ ვარ. კატალოლი უნდა წარვადგინო და გახსნის ნებას იმ დღესვე მომცემენ. წიგნებს გლახას და კარგს ფრანციზულს და რუსულს შეუყარე თავი ოთხი ათასამდის. ბაბლიოვის ბიბლიოთეკის დანარჩენი ვიყიდე, სახლი ვიქირავე, ბიბლიოთეკარებიც მყავს, ჟურნალებიც არის და მებელიც მაქვს; ერთის სიტყვით ყოველისფერათ მზათ ვარ. ახლა თუ დრო გექნება, გაისარჯე და ბიბლიოთეკის პრავილოები (წესდება) გამოგვიგზავნე, აგრეთვე პატარა ბლანკები, რომელიც წიგნების წამლებს მიეცემა; ერთის სიტყვით ყოველივე რაც კი შეეხება ბიბლიოთეკის პრავილოებს გამომიგზავნე საქაროთ. ამ ბიბლიოთეკას ვხსნი ჩემს სახელზედ. არას კაციდგან არაფერს შემწეობას არ ვნახულობ, რადგან ვიცი რომ ბევრი პატრონების ჯოგს ხშირად სჭამს მგლები.“

1873 წლის 16 ნოემბერს გაზეთი „დროება“ (N45) იუნყებოდა:

„ისეთ მიყრუებულს და რკინის გზისგან დაჩაგრულს ქალაქში, როგორც ქუთაისია, მართლა რომ მოვლინებათ ჩაითვლება ა. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკის დაბადება. ა. ლორთქიფანიძემ პირველად დაანახა ქუთაისელებს, რომ შესაძლებელია კაცმა ისეთ საქმესაც მოჰკიდოს ხელი, რომლისგან შემოსავალი კი არა, ცხადი ზარალიც მოელის. მაგრამ საზოგადო სიკეთისთვის კი საჭიროა ამ ნაირი საქმის დაწყება. ჩვენ მადლობით მიულოცავთ ა. ლორთქიფანიძეს ამ მშვენიერი განზრახვისათვის გასჯას და ვისურვებთ, რომ იმერეთის სატახტო ქა-



ლაქმა გამოიყენოს გონების გასაზღვრად ის საშუალებები, რომელსაც მისცემს მას ბიბლიოთეკა“.

**ზ**ახსნის პირველი დღეებიდანვე ბიბლიოთეკა ბიჭვანჭველსა და მთაწმინდის მონასტრის მონაწილეობით დაარსდა. მან თითქმის 20 წელი იარსება, ხოლო 1893 წელს, როცა ქალაქის მმართველობამ გადაწყვიტა, ქალაქში საზოგადო საჯარო ბიბლიოთეკა დაეარსებინა, ანტონ ლორთქიფანიძემ, ყოველგვარი საფასურის გარეშე, საკუთარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გადასცა ქალაქის გამგეობას, რითაც ფაქტობრივად, საძირკველი ჩაუყარა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას:

„... ამის საბუთი ამ დღეებში თავ. ან. ნიკ. ლორთქიფანიძემ დაგვანახვა, რომელმაც მომავალის ბიბლიოთეკისათვის ათას ხუთასიოდე ცალი წიგნი უსასყიდლოდ დაუთმო და სამუდამოდ შესწირა ქალაქს. ეს ისეთი შესანიშნავია, რომ მკვიდრს საძირკველს დაუდებს ბიბლიოთეკას; ამ ათას ხუთას წიგნში, როგორც ნამდვილად ვიცით, ბევრი იშვიათი და თვალსაჩინო წიგნი იპოვება - როგორც რუსულის მწერლობისა, ისე ფრანგულისა. რასაკვირველია, თავ. ან. ნიკ. ლორთქიფანიძე ამ შესანიშნავისთვის დიდის მადლობის ღირსია და, სრული იმედი, ამ ამბავს ქალაქი არ დაივიწყებს (გაზ. „ივერია“, 1893 წ. 7 აპრილი).

საჯარო ბიბლიოთეკისათვის, თავდაპირველად, ქალაქის სამმართველოს შენობაში გამოუყვიათ ორი პატარა ოთახი: ერთი საცავის, მეორე - სამკითხველო დარბაზისათვის. ქუთაისელი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვედრია ამ ფაქტს. ბიბლიოთეკისათვის წიგნები შეუწირავთ კირილე ლორთქიფანიძეს, სერგო ბახტაძეს, რიგით მოქალაქეებს. თუმცა საბიბლიოთეკო საქმიანობაში ბევრი ხარვეზიც ყოფილა. ამის შესახებ 1909 წელს გაზეთი „ფონი“ წერდა: „ნეტავ როდის იქნება, ჩვენი „დუმა“ წიგნის სამკითხველოსთვისაც იფიქრებს და როდის იქნება, ჩვენი საზოგადოება სამკითხველოში ჯდომას ისწავლის“.

1910 წელს ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის გამოძებნეს უკეთესი შენობა ქალაქის სამმართველოს კლუბში, ხოლო 1911 წელს, ქალაქისთვის, ჩიქოვანის მოწვევით, ბიბლიოთეკის გამგედ დაინიშნა პედაგოგი და მწიგნობარი ქალი, პელაგია ლორია. მისი ინიციატივითა და ენერგიული ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა ბიბლიოთეკის მუშაობის გარდასაქმნელად.

1930 წელს ბიბლიოთეკას ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ეწოდა და მის პირველ დირექტორად კოსტა თავბერიძე დაინიშნა.

შენობა, რომელშიც დღეს ბიბლიოთეკა არის განთავსებული, მას 1934 წელს გადაეცა. თავდა-

პირველად ეს შენობა გახლდათ კომერსანტ გიორგი სტეფანეს ძე აკოფოვის საცხოვრებელი სახლი. რამდენადაც ნაგებობა იმდროინდელ ქუთაისში გამოირჩეოდა თავისი არქიტექტურით, ფართით და მოხერხებული მდებარეობით, ამიტომ შემთხვევით არ იყო, რომ 1875 წლის დეკემბერში დაფუძნებულმა ქალაქის თვითმმართველობამ და სათათბირომ სწორედ ამ შენობაში დაიდეს ბინა.

1896 წელს სახლის პატრონმა, გიორგი აკოფოვმა, შენობა დააგირავა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში, საიდანაც ის მოგვიანებით არონ ელიგულაშვილმა შეიძინა.

1909 წელს შენობის მეორე სართულზე მოთავსებული იყო აზოვ-დონის კომერციული ბანკის ქუთაისის განყოფილება, ქვედა სართულზე კი - სხვადასხვა სავაჭრო.

1914-1915 წლებში შენობას, ინჟინერ ე. ფრიკეს პროექტით, დაამატეს მესამე სართული და ასეთივე სახე აქვს დღესაც.

1957 წელს ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის, სახელი მიეკუთვნა.

1974 წელს ქუთაისში, საჯარო ბიბლიოთეკის ბაზაზე, განხორციელდა ქალაქის ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია. დღემდე ყველა საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკა სტრუქტურულად ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას ექვემდებარება.

1997 წელს საჯარო ბიბლიოთეკას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო - უნივერსალური ბიბლიოთეკა, ხოლო საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის დადგენილების საფუძველზე ბიბლიოთეკის სტატუსი შემდგენიარად განისაზღვრა: კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 07 აგვისტოს N876 ბრძანების საფუძველზე ბიბლიოთეკას კვლავ შეეცვალა სახელწოდება და გახდა საჯარო ბიბლიოთეკა.

ამრიგად, დღეისთვის ქუთაისში მოქმედებს ქალაქის თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა 12 ფილიალით: 10 საქალაქო და 2 საბავშვო, ასევე ბიბლიოთეკასთან არსებობს ანდრია სინაურის სახელობის ლიტერატურული სახლი და ამერიკული კუთხე, რომელიც ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით დაფუძნდა 2012 წელს. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა არის სამხარეოსაკოორდინაციო მეთოდური ცენტრი; ამდენად, იგი უფლებამოსილი და ვალდებულია, მეთოდური დახმარება გაუწიოს იმერეთის რეგიონისა და ქალაქის ყველა უწყებისა და ტიპის ბიბლიოთეკებს.

სხვადასხვა დროს ტარდებოდა გარკვეული ლო-



ნისძიებები სტრუქტურის სრულყოფის თვალსაზრისით. ამჟამად ბიბლიოთეკაში 17 განყოფილება მოქმედებს.



სამკითხველო დარბაზი. ფოტო გელა დაჭავასი

ბიბლიოთეკა ემსახურება მკითხველთა ყველა კატეგორიას. სამეცნიერო მუშაობა წარმოადგენს ბიბლიოთეკის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებას. ამიტომ ბიბლიოთეკაში დაფუძნდა სამეცნიერო საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან არა მარტო ბიბლიოთეკის თანამშრომლები, არამედ ქალაქის სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები. საბჭოს უმთავრესი ფუნქციაა, განსაზღვროს ბიბლიოთეკის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებები.

2009 წლიდან ბიბლიოთეკაში ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები:

- ყოველწლიურად ტარდება ქართველოლოგიური და ბიბლიოთეკათმცოდნეობითი მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებები (დასწრებული და დაუსწრებელი მონაწილეებისა) იბეჭდება ბიბლიოთეკის სამეცნიერო კრებულში „წელიწდეული“. უკვე გამოცემულია „წელიწდეულის“ 11 ტომი;
- მუშავდება და გამოიცემა იმერეთის მხარის პერიოდული გამოცემების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიათა კრებულები.
- გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში დაფუძნებულია ორი საავტორო კონკურსი:
- 2013 წელი - საერთაშორისო ფოტოკონკურსი „წიგნი ობიექტივიდან“ (მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკა);
- 2015 წელი - ლიტერატურული კონკურსი „ჭადრის ოქროსფერი ფოთოლი“.

ფონდებისა და თავად ბიბლიოთეკის სიძველის მიუხედავად, დღეს თანამედროვე ბიბლიოთეკაზე საუბარი შეუძლებელია ელექტრონული რესურსების გარეშე. ამიტომ ბიბლიოთეკა გამუდმებით ცდილობს, გამოიყენოს ყველა საშუალება ელექტრონული რესურსების გასავითარებლად. ამისათვის, იგი არა მხოლოდ იძენს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზებს, არამედ თვითონაც ქმნის. მალე დასრულდება ბიბლიოთეკის ქართული ფონ-

დის ელექტრონული კატალოგიზაციის პროცესი, ამჟამად ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში განთავსებულია 231 000 ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა წამდვილად არის ქუთაისელი საზოგადოების თავშესაყარი საყვარელი ადგილი. წლიდან წლამდე აქ უამრავი ღონისძიება იმართება: წიგნის წარდგინებები, საჯარო ლექციები, პოეზიის საღამოები, დისკუსიები აქტუალურ საკითხებზე, შემოქმედებითი საღამოები, იუბილეები, შეხვედრები და სხვა. განსაკუთრებული ხალხმრავლობაა საბიბლიოთეკო კვირეულის დღეებში. საბიბლიოთეკო კვირეული წამდვილი ზეიმია. მთელი კვირის განმავლობაში გრძელდება ღონისძიებები საჯარო ბიბლიოთეკასა და საქალაქო ფილიალებში, რაც ბიბლიოთეკასა და საზოგადოებას კიდევ უფრო აახლოებს ერთმანეთთან.

**ბიბლიოთეკა სამართლიანად ამაყობს უნიკალური და იშვიათი გამოცემების ფონდით. მათ შორის აღსანიშნავია: 1498 წელს გამოცემული ინკუნაბულა დომიციუს კალდერონის „მარციალის ორიოდე კომენტარისათვის“; დიონისე ლამბინის „ჰორაციუსი“ (1595 წ.); „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ (1828 წ.) და სხვა მრავალი.**



იშვიათ გამოცემათ საცავი  
ფოტო გელა დაჭავასი

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრია. ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები არიან: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თსუ, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ა. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი, თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, ამერიკის საელჩო, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო, პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო, პოლონეთის რესპუბლიკის არასამთავრობო ორგანიზაციები: ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ფონდი (FRSI) და ადგილობრივი აქტივობის მხარდაჭერის ცენტრი (GAL), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მრავალი სხვა.

# შეიხსახადონ სხეულობის

## ხაშურის N1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა



**გიორგის დანდურიშვილი**

სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

2019 წლის 23 აპრილს, „ნიგნის ჩუქების დღეს“, ხაშურის N1 საჯარო სკოლაში, წარსულის მქონე მომავლის ბიბლიოთეკა გაიხსნა, რომელსაც ამავე სკოლის ღვანღმოსილი პედაგოგის, მერი ხარაბაძის სახელი მიენიჭა.

ბიბლიოთეკა აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით, მდიდარი წიგნადი ფონდით, უკაბელო ინტერნეტით, კომპიუტერებით, პროექტორით, პრინტერით და სხვა საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით.

ბიბლიოთეკაში, სადაც ნებისმიერი სასწავლო რესურსი, რომელიც სკოლას ამ ეტაპზე გააჩნია, თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასათვის.

მოსწავლეები ხშირად იკრიბებიან წიგნების ერთობლივად წასაკითხად. წაკითხული წიგნების შესახებ იმართება დისკუსიები. ასევე, აქ შეხვდებით პროექტებზე მომუშავე ბავშვებს, რომლებიც ბიბლიოთეკის რესურსს აქტიურად იყენებენ და ერთ სივრცეში მოთავსებული წიგნადი ფონდი და ტექნიკური რესურსები, მათთვის ძალიან კომფორტულია.

ბიბლიოთეკა ხშირად მასპინძლობს უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებს, საზოგადო მოღვაწეებს, წიგნების ავტორებს, რომლებიც მოსწავლეებს ესაუბრებიან მათთვის აქტუალურ საკითხებზე და ეს, ერთგვარი „ცოცხალი ურთიერთობები“ ბიბლიოთეკის გარემოში, დამატებითი მამოტივირებელია ბავშვებისთვის.

ბიბლიოთეკის სივრცეში ხშირად იმართება მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები, მათი შემოქმედებითი საღამოები.

მოსწავლეები ხშირად აღნიშნავენ, რომ მათთვის ბიბლიოთეკა იქცა საგანმანათლებლო რესურსების სივრცედ, რომელიც მათ ეხმარება შესაძლებლობების წარმოჩენაში. დღის განმავლობაში აქაურობას უამრავი ბავშვი სტუმრობს.

დღის მეორე ნახევარში ბიბლიოთეკით სარგებლობენ მასწავლებლები, მოსწავლეთა მშობლები,

საგნობრივი კათედრები. თემატური ჯგუფები, რომლებიც სკოლაში მიმდინარე სწავლა/სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად პერიოდულად იქმნება, სწორედ ბიბლიოთეკას იყენებენ სამუშაოდ, ვინაიდან აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სკოლაში არსებული შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის თუ ტექნიკური საშუალებების გამოყენება სწრაფად და ეფექტურად შეძლონ.

პანდემიის პერიოდშიც არ დაკეტილა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის სარგებლობისთვის განსაზღვრული პროტოკოლის გათვალისწინებით, არაერთი ონლაინ ჩართვის ორგანიზება მოხდა საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებით, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სხვადასხვა თემატური ჯგუფისთვის.

ხაშურის N1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა აღარ არის უბრალო „წიგნების მიღება-ჩაბარების“ ადგილი. ეს სივრცე იქცა სასკოლო საზოგადოების სასურველ და მოსახერხებელ სივრცედ.

პირველი სკოლის ბიბლიოთეკა აღარ იკეტება.





## საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები



# მოლდავეთის ეროვნული ბიბლიოთეკა და COVID-19



Biblioteca Națională  
a Republicii Moldova

ლოლა სანია

**რეზიუმე** სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორი სასარგებლო შეიძლება იყოს საზოგადოებრივის ბიბლიოთეკა კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის დროს. მოლდავეთის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი ქალბატონი ვერა ოსაიანუ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელ ლოლა სანაიასთან საუბარში განმარტავს, რომ დადგა დრო, როცა ბიბლიოთეკარებმა პრაქტიკულად უნდა აჩვენონ, თუ როგორ მუშაობს ბიბლიოთეკა ფორსმაჟორულ სიტუაციაში. სტატია ასახავს, თუ რა საშუალებებით შეიძლება შეიტანოს ბიბლიოთეკარმა თავისი წვლილი საზოგადოების სწორად ინფორმირებაში.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, კომპიუტერული ტექნოლოგიების მოდერნიზაციასა და ინტერნეტის გაუმჯობესებასთან ერთად, ბიბლიოთეკარებმა შეისწავლეს და მრავალი სიახლე შეიმუშავეს საბიბლიოთეკო მეთოდოლოგიების დახვეწისათვის, საზოგადოებისათვის ბიბლიოთეკის სიცოცხლისუნარიანობის ჩვენებისათვის. თავისთავად, ეს პროცესი უწყვეტია.

ყოველი ახალი იდეა თუ კონცეფცია მუშავდება, ვითარდება და რეგულირდება დროის, მოცემულობის და სხვა საჭიროებების შესაბამისად. ბიბლიოთეკარები, სიახლეების მიმართ ძალზედ უშიშარი ადამიანები არიან. ფორსმაჟორულ სიტუაციაშიც კი ისინი ავლენენ, თავიანთი საქმიანობისადმი დიდ პასუხისმგებლობას, ინარჩუნებენ სიმშვიდეს. ყოველდღიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ არორდინალურ სიტუაციაშიც კი, მათ შეძლეს და აჩვენეს, რომ ბიბლიოთეკა შეიძლება სასარგებლო იყოს საზოგადოებისთვის, როგორც სანდო ინსტიტუტი, რაც ბიბლიოთეკის ძირითადი მისიაა.

ბიბლიოთეკარების პროფესიული პრესა მუდ-

მივად ავრცელებს ინფორმაციას საბიბლიოთეკო საქმიანობის სტრატეგიების შესახებ კრიზისულ პირობებში. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა დღევანდელმა ვითარებამ კი ბიბლიოთეკარებს უბიძგა იყვნენ უფრო მეტად უშიშარი, თავდაჯერებული და ადვილად ადაპტირებადი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არსებობს კრიზისის მართვის რეგულაციები, მაგრამ რასაკვირველია, ვერცერთმა პროფესიულმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო პანდემიის პროგნოზირება, რომელიც თითქმის ერთდროულად აისახა ყველა სფეროში, ყველა კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყანაში.

კორონავირუსით გამოწვეულმა გლობალურმა განგაშმა ბევრი კითხვა გაუჩინა ბიბლიოთეკებსაც. მსოფლიო ბიბლიოთეკები, როგორც საზოგადოებისათვის საჭირო და ნდობით აღჭურვილი ინსტიტუტები, ცხოვრების ასეთ რთულ ეტაპზე: განიხილავენ საკუთარი ჩართულობის ახალ მეთოდებს, ცდილობენ დააწესონ თავიანთი ყოფიერების აუცილებლობა ამ რთულ პერიოდშიც კი. ისმის საკითხი - თუ როგორ და რა საშუალებებით უნდა

იმოქმედონ მათ ამგვარ კრიზისულ სიტუაციებში.

მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ბიბლიოთეკას შეუძლია შეასრულოს COVID-19-თან დაკავშირებით არის ის, რომ ისეთი მოქალაქეებისათვის, რომლებიც თავს დაუცველად გრძობენ და/ან უნდობლად არიან განწყობილი რიგი ინსტიტუტების მიმართ, ბიბლიოთეკას შეუძლია გახდეს სწორი ინფორმაციის მიწოდების საიმედო წყარო მძაფრი ეპიდ სიტუაციის პირობებში. მან მუდმივად გადამონმებული და განახლებული სანდო ინფორმაციით უნდა ებრძოდოს ცრუ ამბებს, რათა მოსახლეობაში იყოს ნაკლები დესტაბილიზაცია და შფოთვა.

**გირჩევთ** შეაგროვოთ ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია ზუსტი და სანდო წყაროებიდან; ასწავლეთ საზოგადოების წევრებს ინფორმაციის შეფასება, გადამონმება; სიფრთხილე გამოიჩინეთ დეზინფორმაციის რისკების შემცველი წყაროების გამოყენებისას, როგორცაა სოციალური ქსელები; გადაამოწმეთ სიახლეები სხვადასხვა საშუალებებით; ფრთხილად იყავით გადაუმონმებული შეტყობინებების უნებლიე გადაცემასთან დაკავშირებით. დაეხმარეთ მოქალაქეებს ჯანდაცვის უწყებათა მიერ კორონავირუსთან მიმართებაში გამოყენებული სამედიცინო ტერმინოლოგიის უკეთ გაგებაში. ასევე, ბიბლიოთეკარები მზად უნდა იყვნენ პასუხის გასაცემად ისეთ კითხვებზე, თუ როგორ ხდება წიგნის დეზინფექცია, Covid-19-თან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების შესახებ, იმ საიტების ჩამონათვალის შესახებ, სადაც წიგნების ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა ხდება და მკითხველისთვის საინტერესო სხვა თემების ირგვლივ.

COVID-19, რამაც რამდენიმე თვეში დაარღვია გლობალური ეკონომიკა, შეცვალა ქვეყნების დღის წესრიგი მსოფლიოს მასშტაბით, საბიბლიოთეკო სამყაროც კი, ისევე როგორც სხვა სფეროები, პირველად დააყენა ასეთი მასშტაბური ამოცანის წინაშე.

აღსანიშნავია ფაქტი, რომ პანდემიის დასაწყისში, როდესაც საჯარო დაწესებულებები ერთმანეთის მიყოლებით იხურებოდა, ბიბლიოთეკარებმა განაცხადეს საბიბლიოთეკო ქსელში, რომ სხვა დაწესებულებების საქმიანობის შეწყვეტის გამო, ბიბლიოთეკებში ახალი მომხმარებლების ნაკადმა ერთი-ორად იმატა. ადამიანი სოციალური არსებაა და დიდხანს ვერ დარჩება იზოლირებულად.

ბიბლიოთეკა - მთელი ცხოვრების სწავლების ცენტრია, ბიბლიოთეკა - საზოგადოებრივი და საინფორმაციო ცენტრია.

მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე გამოიკვეთოს ბიბლიოთეკების როლი. ბიბლიოთეკებმა, მათმა ხელმძღვანელობამ, პირველ რიგში, უნდა მოახდინოს სიტუაციის სწორი და სწრაფი შეფასება; მეორე - უნდა განსაზღვროს ბიბლიოთეკის სამუშაო პრიორიტეტები, რათა იგი საზოგადოებისთვის კვლავ და, უფრო მეტადაც საჭირო და სასარგებლო იყოს; მესამე - განსაზღვროს სწორი მენეჯმენტი, გაწეროს სამუშაო გეგმები, შეკრიბოს ახალი იდეების მქონე ადამიანები, მათთან ერთად იფიქროს მკითხველებისათვის სრულიად ინოვაციურ მომსახურებებზე ონლაინ რეჟიმში.

ბოლო ათწლეულების ბიბლიოთეკის მთელი არქიტექტურა ემყარებოდა ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარის სურვილს, რომ იყოს იქ, სადაც არის რეალური და პოტენციური მომხმარებელი. ეს მიზანი უნდა იყოს ჩვენი საქმიანობის ღერძი ეხლაც, გლობალური არეულობის დროსაც.

რითი შეიძლება მოხიბლოს ამ პანდემიის პერიოდში ბიბლიოთეკამ საზოგადოება. ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსები შეიძლება დაეხმაროს ადამიანებს დროის სწორ გადანაწილებაში. ბიბლიოთეკარებს შეუძლიათ დაეხმარონ ვებგვერდებზე ელექტრონული წიგნების, აუდიო წიგნების, ფილმების და სხვა ფაილების განთავსებითა და ჩამოტვირთვის უფლების მიცემით. ახლა სწორედ ის დროა, საგანმანათლებლო დაწესებულებების მეთაურებმა და საჯარო მოხელეებმა გამართონ ვირტუალური შეხვედრები, რასაც ბიბლიოთეკა შესთავაზებს შემდეგ მის მომხმარებელს და დაინტერესებულ ჯგუფს ციფრული სამყაროს მეშვეობით.

„ბიბლიოთეკამ, როგორც სულის სამკურნალო საშუალებამ“, საზოგადოება უფრო უნდა მიიზიდოს თავისკენ, რათა ეს რთული პერიოდი შედარებით ადვილად გადაატანინოს მას.


როგორც ბიბლიოთეკარებს, ჩვენ გვაქვს საზოგადოების ნდობა და იმედი. ახლა მათი ნდობის და იმედების გამართლების შესაფერისი დროა. გისურვებთ წარმატებებს.

მოლდავეთის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ქალბატონი ელენა პინტილეი ჯანმრთელობას და მშვიდობას უსურვებს საქართველოს მოსახლეობას, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს.





**ღირსაუდი მამულიშვილები**



**ელბერდ ბატიაშვილი**

ილიოლოგი, პოლიტოლოგიის პროფესორი

მემკვიდრეობითობა ბუნებისა და საზოგადოების უნივერსალური კანონია და ამ მხრივ თუ ჩვენი ისტორიიდან ყველაზე პოზიტიურ მომენტს გამოვყოფთ, ეს დავით აღმაშენებლის და გიორგი ათონელი-მთანმინდელის „ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვის“ პრინციპია. ქართული კონსერვატიზმის არსიც აქ არის საძიებელი, რამეთუ ყველაზე ზოგადი გააზრებით, კონსერვატიზმი თავისი ბუნებით ორგანულად ერწყმის ეროვნულ ღირებულებებს. პირველად ეს დოკუმენტურად „ქართლის ცხოვრებაში“ აისახა 1103 წლის რუის - ურბნისის კრების „ძეგლისწერით“, დავით აღმაშენებლის რეფორმების საფუძველი რომ გახდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში...

დღეს, 900 წლის შემდეგ, მემკვიდრეობითობის კანონი გვთხოვს, ეს ყველაფერი გავითავისოთ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს იდეა ილია ჭავჭავაძემ არაერთხელ გააჟღერა „ივერიის“ ფურცლებზე, მაგრამ მის ამ პოზიციაზე, სამუხაროდ, არავინ დადგა, გარდა 1904 წელს ჟენევაში დაარსებული „საქართველოს სოციალ-ფედერაციული პარტიისა“. ამ პარტიის დამფუძნებლები - ვარლამ ჩერქეზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, გრიგოლ რობაქიძე, თედო სახოკია, გიორგი (კომანდო) გოგელია, ვალერიან გუნია და მიხეილ (მიხაკო) წერეთელი ილიას ყველაზე ერთგული მიმდევრები იყვნენ. ამიტომ სთხოვეს მას გამხდარიყო პარტიის თავმჯდომარე, ამასთან, ეშუამდგომლა დავით სარაჯიშვილთან, რომ მატერიალურად დახმარებოდა პარტიას...

წინამურამდე ცოტა ხნით ადრე, თედო სახოკიას მოგონებებში - „ჩემი საუკუნის ადამიანიები“, აღწერილი აქვს საგურამოში ილიასთან სტუმრობა: გულთბილად მიგვიღო - ეს საქართველოს მომავლის გზაა, პარტიის მატერიალურ დახმარებასაც

# ილია შალვა

## საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი: ილია და ქართული კონსერვატიზმი

მოვაგვარებ, მთავარია, ამ არეულ დროში ხალხი მოინახოს, ვინც ამ კარგ იდეას საქმედ აქცევსო - უთქვამს ილიას.

„ივერიის“ საპროგრამო წერილებში ილია არაერთხელ აღნიშნავს საზგასმით, რომ „ძნელბედობით“ დაკარგულ ეროვნულ ფესვებს მოძიება სჭირდება ჩვენგან. სტატიაში „დავით აღმაშენებელი“ იგი წერს:

**ს რ ვიცი სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ თავის ისტორიას ივიწყებს...რა არის ისტორია? იგი მთხრობელია მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავაც.**

სტატიათა ციკლში „ცხოვრება და კანონი“ ილიამ მოგვცა „საერთო ნიადაგის“ თეორიის ის საპროგრამო იდეები, რომლებიც XII საუკუნის „ერთნებაობა - თანადგომით ქვეყნის მართვის“ თავისებური განახლება - გამოცოცხლება იყო და რომელიც ივანე ჯავახიშვილმა „საქართველოს მომავლის გამკვლევადა“ შეაფასა. ქართული კონსერვატიზმის ამოცანაც ის არის, რომ ყველაფერი ეს გავითავისოთ სწორი პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისათვის...

„რა შეგვიწინაბავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ... ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რით და როგორ შეგვარჩენდა უცხო თემთა ხარბობა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენი ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა ...

რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა, ამას ხსნის მართო ისტორია და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავე, ჩვენი ცხოვრების ფესვი, ჩვენი ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა - რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი ანემყო, ჩვენი მერმისი?“...

ილიასთვის სახელმწიფო მშენებლობა ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომელიც შეიძლება საუკუნე და მეტიც გაგრძელდეს. კონსერვატიზმის არსიც ის არის, რომ ეს პროცესი თაობიდან თაობას გადავცეთ მემკვიდრეობის იგივე კანონის

ძალით. ესეც ფაქტია - ილია ევროპული, განსაკუთრებით კი, ინგლისური კონსერვატიზმის დიდი პატივისმცემელი და მიმდევარი იყო. ეს ზეწოდა - „ევროპელი კაცი“ ამიტომაც შეარქვეს. „ივერიის“ გვერდები სავსეა შესაბამისი მასალებით, თვით მესამედასელი მარქსისტებიც კი აღიარებდნენ ამ მხრივ მის ურყევ პოზიციას. მათი ერთ-ერთი ლიდერი პეტრე გელეიშვილი 1914 წელს წერდა:

„ილია ჭავჭავაძე ერთი მთლიანი ქვისაგან გამოთლილი კაცი იყო, ქედ-მოუდრეკელი, შეუდრეკელი ... ილიამ არ იცის ყოყმანი და ორჭოფობა. მას კონსერვატორის სახელით ვერ შეაშინებთ. კლასობრივი სიძულვილის და შეურიგებლობის ქარიშხალმა ყველა შეიწირა, მხოლოდ ილიამ გაბედა ამ სტიქიასთან გამკლავება“. „საერთო ნიადაგის“

თეორიასაც იმიტომ ქმნიდა, რომ ერის სულიერი და მატერიალური ძალები მიემართა „ჩვენი დიდებული ოქროვანის ხანის“ მემკვიდრეობის გათავისება - გათანამედროვეობისაკენ. ეს მას ჩვენი ქვეყნის „ბალავრის ქვად“ მიაჩნდა. მხოლოდ მასზე ავაშენებთ მკვიდრად ჩვენს მომავალს. მესამედასელ მარქსისტებთან ბრძოლა აქედან დაიწყო, წინამურამდე რომ მიიყვანა ბოლოს: „ისტორია ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან, ყოველგვარს შევიწროებასთან, რომელთაც ადამიანი პირისპირ შეეყრება ხოლმე... ერთ ბიჭსაც ვერ წავდგავთ წინ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკე გავიწიეთ, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთ. თუ ასეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას?... ამიტომ დიდად სცოდავენ ქვეყანასაც და ხალხსაც ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია გინდა თუ არა განხეთქილება უნდა იყოს, რადგან ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო. განა ევროპა ცოტა დროსა და ღონეს ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის, რომ ეგ განხეთქილება მოსპოს?

მაშ, სადაც ეგ არ არის, რად გვინდა, რომ იყოს? ეს იმას ემგვანება კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისთვის, რომ მერე თქვას - სახლს დაგვა უნდაო. რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან, რა სასარგებლოა? მაგრამ რა - ტვინთხელობა, რომელიც საკუთარ ტვინს მოკლებული, სხვისით სცხოვრობს და

მარტო ბაძით სულდგმულობს, წინათვე ვიცით, კედელი იქნება და რამდენიც გინდათ ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს“...

„ჩვენ რა, ნუთისოფლის ნაბიჭვრები ხომ არ ვართ, სანამ სხვას მივბაძავთ და სხვისკენ გავიხედავთ, ჯერ ჩვენს ისტორიაში ჩავიხედოთ, ჩვენი წინაპრებისკენ გავიხედოთ, იქნებ აქაც ვნახოთ რამე სასარგებლო, - ასე ცდილობდა მოეხედებინა ჩვენი მაშინდელი ვაი-ლიბერალები და ინტერნაციონალისტ-კოსმოპოლიტები ეროვნულობისაკენ. სტატიათა ციკლში - „კერძო და სათემო მინათმფლობელობა“, ილია სიამაყით აღნიშნავს, რომ რუსეთი კი არა, თვით ევროპისაგან განსხვავებითაც კი, „ჩვენმა ისტორიამ უმინაწყო ქართველი გლეხი არ იცის, ხოლო ჩვენში სულ უცნობია ერთგვარი დანაშაული, რასაც „продьяжничество“ ჰქვია, გლეხთა აჯანყებებზე ხომ, აღარაა ლაპარაკი“...



ძველი ქართული „კომლი“, სასოფლო-სათემო მინათმფლობელობა, „ხოდაბუნები“, ასე თუ ისე, სამართლიანად აწესრიგებდნენ მინის ამ დიდ პრობლემას, სანამ „პატრონებობა“ ჩვენთან ბატონყმობით შეიცვლებოდა. „ქართული სამართლის ისტორიაში“ ივანე ჭავჭავაძის მიერ ამ დასკვნამდე მიდის სპეციალურ თავში „პატრონებობა“ - ეს სულ სხვა იერ-სახეს აძლევდა ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ განვითარებასო...

„კონსერვატიზმი“ ილიასთვის მარტო სიტყვა არ იყო. მასში იგი პრაქტიკული მოქმედების სტრატეგიასა და ტაქტიკასაც ხედავდა. „საერთო ნიადაგის“ თეორიაც ხომ კონსერვატიზმის იდეებზე ააგო... მომავალი საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციას რომ ამუშავებდა, იგი უპირველეს ყოვლისა, სოფელს, ქართველ გლეხს და აგრარულ წარმოებას აძლევდა უპირატესობას. მისი დევიზია - „ქართული სოფელი და გონება-გახსნილი ქართველი გლეხი ჩვენი ეროვნული იმედების სული და გულია!“

**მინისა და გუთნის საქართველო** - მეტაფორულად ასე გამოხატავდა ილია საქართველოს აგრარულ-ინდუსტრიული განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიას. ამ სტრატეგიაზე აგებდა იგი მთელი ქვეყნის სამომავლო განვითარებასაც,



**ეროვნული ცხოვრების მაგისტრალურ გზას. აქ მისი გზავნილია - „ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმმართველობაშია!.**

მესამედასელებსაც ამას უკიჟინებდა - ევროპას თუ ვბაძავთ, ამაში მივბაძოთო... „ივერიის“ სპეციალურ რუბრიკაში „თემი და სოფელი“, ხშირად ბეჭდავდა საქართველოს მთისა და ბარის სხვადასხვა მხარეებიდან წერილებს ადგილობრივ პრობლემებზე, ხოლო ლონდონში მცხოვრები ვარლამ ჩერქეზიშვილი სისტემატურად აგზავნიდა სტატიებს ინგლისის თვითმმართველობის საკითხებზე. ინგლისი ამ მხრივ სანიმუშო ქვეყნად მიაჩნდა ორივეს...

**ილიასთვის ერისა და ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის სამი წინაპირობაა აუცილებელი: ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული სახელმწიფო.**

პირველი ეროვნული სულის, მისი ფსიქო-გენეტიკური ფესვების გამოხატულებაა, მეორე მისი არსებობა-განვითარების მატერიალური საფუძველი, მესამე კი - მათი გამაერთიანებელი ძალა. ამიტომ წერდა: „ყველა დიდნი საქმენი და გმირობანი მართო სულის ღონეა და მეტი არაფრის“. დიდგორთან „ძღვევაი საკვირველს“ ამით ხსნიდა და ჩვენც მომავლის ახალი „ძღვევაი საკვირველი“ თუ გვინდა, ამას ილიას მემკვიდრეობის ერთგულებით შევძლებთ მხოლოდ...

დავაკვირდეთ მსოფლიო ისტორიასაც - იდეების და იდეოლოგიის გარეშე წარმატებულ სახელმწიფოს ვერ ვნახავთ. განა აშშ „ამერიკანიზმის“ იდეოლოგიამ არ შვა, დღესაც დროშად რომ ააფრიალა ტრამპმა, ანდა, ისრაელი - „სიონიზმის“ იდეოლოგიამ?! ... დიახ, ყველგან და ყველაფერში „პირველ არს სიტყვა“ და ჩვენთვის ეს სიტყვა დღეს „საერთო ნიადაგის“ თეორია, მისი ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპებია...

ილიას განსაკუთრებულ საფიქრალს და სატკივარს რუსეთის იმპერია, მისი კოლონიური პო-

ლიტიკა წარმოადგენდა. XIX საუკუნის I ნახევრის განუწყვეტელმა აჯანყებებმა დაანახა, რომ „ჰკა მაგას“ პოლიტიკას რუსეთთან პერსპექტივა არა აქვს. რუსეთს ომი უომრად უნდა მოვუგოთ, - ასეთია მისი პოლიტიკური სტრატეგია. ამისათვის შეიმუშავა „აქტიური ლოდინის ტაქტიკა“: იმპერიები იმითომ იქმნებიან, რომ მერე დაინგრენ. მთვარია, მის ნანგრევებში არ მოჰყვე. ამ მხრივ, მისი იდეალი გიორგი ბრწყინვალეა, ხმლის მოუქნევლად რომ მოაშორა ხალხს და ქვეყანას მონღოლთა უღელი სწორედ ამ ტაქტიკით.

ილიას მკვლევლობა ერის ჯანსაღმა ნაწილმა შეაფასა როგორც დიდი ეროვნული ტრაგედია. იმავე დღეს დაწერილ წერილში „ვერ მოჰკლეს!“ ვაჟამ იგი ეროვნული იდეოლოგიის რანგში აიყვანა, აკაკიმ მას „მომავლის ლამპარი“ უწოდა, გალაკტიონმა იგი „დიდი ეპოქის“ დასასრულად აღიქვა, ეპოქის, რომელიც ჩვენგან აღდგენას ელის:

„წინამურთან რომ მოკლეს ილია,  
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“...

ხოლო იაკობ გოგებაშვილმა იწინასწარმეტყველა: „იქნებ მსოფლიოს არცერთ ერს არ დასჭირდეს თავისი დიდი წინაპარი ისე, როგორც ილია ქავჭავაძე ქართველ ერს“.

დღეს, როცა ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ქმნადობის ჟამი დგას, ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია გამოყენებითი პოლიტოლოგიური კვლევის ობიექტი უნდა გახდეს. ეროვნული ბიბლიოთეკის „ილიას დარბაზი“ მუშაობს, რომ ასეთი გამოყენებითი სახე მისცეს ამ თეორიას. ვფიქრობთ, ეს „ილიას დიდი ეპოქის“ აღდგენას შეუწყობს ხელს...

ასევე, ვფიქრობთ, აუცილებელია, ახალ პარლამენტში შეიქმნას ფრაქცია - „ილია მართალი“. მსოფლიო პრაქტიკა აქაც გვეუბნება, რომ სახელმწიფოებრივი მშენებლობა ერთი და ორი თაობის საქმე არ არის და ამ შემთხვევაშიც მთავარია საერთაშორისო გამოცდილებასთან ერთად, არ დაგვავინწყდეს ჩვენი ეროვნული გამოცდილებაც... მხოლოდ ამ ორი ფაქტორის სინთეზით შევქმნით წარმატებულ ქართულ სახელმწიფოს...





ნიკოლოზ სარაჯიშვილი

## დავით სარაჯიშვილი და საზოგადოება

“  
„ყუქუნი“

აღნიშნული საკითხის ფესვები ევროპაში უნდა ვეძიოთ, სადაც დ. სარაჯიშვილმა განათლება და შემდეგ უკვე დოქტორის ხარისხი მიიღო. სწორედ იმ პერიოდში (1860-70-იანი წლები) ევროპა პოლიტიკურ დუღილშია და სოციალურად აქტიური დავითიც ეცნობა მიმდინარე პროცესებს. როგორც ენდრიუ ჰეივუდი შენიშნავს: „ცნობიერად თუ არაცნობიერად, ყველა ადამიანი პოლიტიკურ მრწამსთა და ღირებულებათა გარკვეული ერთობლიობის მიმდევარი ხდება, რომელიც მის ქცევაზე ზემოქმედებს და წარმართავს“ [5].

### სარაჯიშვილის კავშირები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან სწორედ მისი სტუდენტობის პერიოდიდან იწყება. ამ მხრივ გამოსარჩევია მისი ურთიერთობა საზოგადოება „უღელთან“.

მანამდე ორი სიტყვით ვთქვათ, თუ რას წარმოადგენდა ეს საზოგადოება. გიორგი აბზიანიძე წერდა – „ამ საზოგადოების მიზანი ყოფილა საზღვარგარეთ მყოფი მოსწავლე ახალგაზრდობის გაერთიანება, ევროპის სოციალური მოძრაობის და აზროვნების გაცნობა, ერთმანეთისთვის ცოდნის გაზიარება და საერთო ძალებით მშობლიური ლიტერატურის წინ წაწევა...“, მთავარი მიზანი კი – „საქართველოში, საერთოდ კავკასიაში ევროპული სოციალური მოძრაობის პოპულარიზაცია“ [1]. საზოგადოება 1873 წლის გაზაფხულზე დაარსდა და მის წამყვან ძალას ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი წარმოადგენდნენ (თუმცა კი ეს უკანასკნელი თავიდან სკეპტიკურად იყო ამ იდეის მიმართ გამსჭვალული).

იმ პერიოდის შვეიცარიაში თავს იყრიდა სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალური ემიგრაცია, რაც, სავარაუდოდ, განაპირობებდა ქართველი ახალგაზრდობის სწრაფვას სწორედ შვეიცარიისაკენ. იაკობ მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში ნათლად ასახავს ამ დამოკიდებულებას: „ჩვენ აჩქარებულ ახალგაზრდულ გატაცებას საზღვარი არ ჰქონდა. შვეიცარია გვეხატებოდა ჩვენს წარმოდგენაში რაღაც ალტერნატიული ქვეყანად, თავისუფლების დედაბუდე. ჟენევის ნახვას, იქ ცხოვრებას ისე ვნატრობდით, როგორც მართლმორწმუნე მაკმადიანი მექაში წასვლას ქაბის თაყვანისსაცემლად“ [3].

გაზეთ „დროების“ 1873 წლის მეთექვსმეტე ნომ-

XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი მრავალნახნაგოვანი ისტორიული მოვლენებით ბევრ განსახილველ საკითხს იძლევა და მრავალ კითხვას აღძრავს. ამ პერიოდში მოღვაწე ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც გარკვეულ პოლიტიკურ თუ სხვა სახის იდეათა გარშემო ჯგუფდებოდნენ, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. გამონაკლისი, ცხადია, არც დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი იყო. ამ საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიის შესავსებად და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის გასამდიდრებლადაც აუცილებელია მისი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის დასმა და საფუძვლიანად შესწავლა, რის სიძნელესაც, უპირველესად, წყაროთა სიმცირე განაპირობებს. დ. სარაჯიშვილის შესახებ ისედაც მწირ ლიტერატურაში პოლიტიკური კონტექსტი ნაკლებადაა და ხაზი უმეტესად ესმება მის ფილანტროპულ და სამეწარმეო საქმიანობას. ამ მოღვაწის პოლიტიკური თვალთახედვის საკითხი პირველად გურამ ჩიმაკაძემ წამოჭრა ნიგნში – „ცხოვრება და ღვაწლი დავით სარაჯიშვილისა“, თუმცა განსახილველი საკითხი იდეოლოგიური კუთხით არაა წარმოჩენილი და ავტორი მხოლოდ მასთან ქართველი პოლიტიკოსების ურთიერთობის განხილვით კმაყოფილდება.

თანამედროვე მოღვაწეების უმეტესობისაგან განსხვავებით, თავად დ. სარაჯიშვილის ნაწერი, რომელიც მეტ-ნაკლებად ნათლად წარმოგვიჩენდა ავტორის დამოკიდებულებას რიგი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების შესახებ, არ მოგვეპოვება. მკვლევარისთვის პრობლემაა ასეთი პირდაპირი წყაროს არარსებობა, თუმცა სხვა პიროვნებათა მოგონებებიდან შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ამ მიმართულებით.



მერში ვკითხულობთ: „...ციურიხში მოსწავლე ქართველმა ახალგაზრდებმა, ერთს მშვენიერს და ბედნიერს სალამოს მოიყარეს თავი და ბევრი მოლაპარაკების შემდეგ გადასწყვიტეს, რომ კარგი იქნებოდა იმათგან შემდგარიყო ერთი იმისთანა წრე, ვიმეორებ, არც კაცისა და არც ღმერთის მანყინარი, რომელშიაც, როგორც ამ ჟამად აქ მყოფთ მოსწავლე ქართველებს, ისე ახლად მოსულეებსაც და საზოგადოთ საზღვარ გარეთ მყოფთ ყველა ქართველებსაც მიეღოთ მონაწილეობა“ [6]. (აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ „უღელის“ წევრობისათვის არ იყო აუცილებელი მაინცდამაინც შვეიცარიაში ყოფნა - ნ.ს.). გაზეთი „დროება“ საზოგადოების მიზნებსა და განხორციელების გზებს ასე წარმოაჩენს: „1. ერთმანერთისთვის წარდგენა თითოეულისაგან გაცნობილი ან მიღებული ცნობებისა თავის კერძო საგანში (იგულისხმება კონკრეტული საკითხი, მაგალითად საფრანგეთის რევოლუცია, პარიზის კომუნა, ინტერნაციონალი, ქალთა ემანსიპაციის საკითხები, რომელზეც რომელიმე წევრი მუშაობდა, იკვლევდა, წერდა და შემდეგ აქვეყნებდა - ნ. ს.); 2. თანამედროვე ცხოვრებისა და მწერლობისათვის (ლიტერატურისათვის) თვალყურის დევნა ერთმანეთის ხელმძღვანელობით და 3. შეერთებული მწერლობითი შრომა ქართული მწერლობისათვის ევროპის ცხოვრებაზე...“

**რვენის აზრით, ეს ახალგაზრდები ციდამ ვარსკვლავების მოკრეფას არ აპირებენ და უეჭველია, არც ქვეყნის გადაბრუნება აქვსთ სახეში... ჰსურთ შეერთებული სწავლა და შრომა, რომელშიაც უნდა აბეჯითებდესთ ის მაღალი გრძნობა, რომელიც ამ ორიოდე სიტყვით გამოიხატება: „თავის მშობელი ქვეყნის ბედნიერება და წარმატება“ [6].**

ფელეტონი ხელმოწერილია ასო-ბგერა „პ“ -თი, რაც, გ. აბზიანიძის აღნიშვნით, ივანე მესხის ფსევდონიმია.

მიუხედავად ასეთი შემართებისა და მაღალინტელექტუალური მიზნებისა, „უღელმა“ ვერ შეინარჩუნა ერთიანობა და ჟენევისა და ციურიხის საზოგადოებებად დაიყო. უნდა ითქვას, რომ ეს დაყოფა ერთმანეთისგან გათიშვას არ ნიშნავდა. ციურიხის ფრთა ფიქრობდა, რომ „უღელის“ მისია არ უნდა გასცდენოდა საგანმანათლებლო საქმიანობას, ჟენევის ნაწილი კი საზოგადოებას უფრო ფართო მიზნებს უსახავდა.

დავით სარაჯიშვილისა და საზოგადოება „უღელის“ კავშირი პირველად ალექსანდრე სიგუამ წარმოაჩინა ბროშურაში „იშვიათი ბუნების კაცი“. მის წინასიტყვაობაში აკაკი შანიძე წერს: - „...საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალ. სიგუამ ახალი მასალა მოიპოვა დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიის შესახებ, რომელიც დღემდე ჩვენთვის უცნობი იყო. ესაა დავით სარაჯიშვილის მონაწილეობა საზოგადოება „უღელში“, რომელიც 1873 წელს ციურიხში დააარსეს ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა და სერგეი მესხმა“.



დავით სარაჯიშვილი

პროფესორი ა. სიგუა დავითს „უღელის“ წევრად მიიჩნევს: „ეჭვი არ არის, რომ დავით სარაჯიშვილი „უღელის“ პროგრესულ ორგანიზაციას სათანადო დახმარებას უწევდა. „უღელის“ სამოქმედო პროგრამა და მისწრაფება, დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიის უცნობი, საინტერესო ეპიზოდებია მოცემული ამ საზოგადოების ოქმებში“ [4]. გიორგი აბზიანიძე 1959 წელს საკმაოდ დეტალურად განიხილავს აღნიშნული საზოგადოების დაარსებასა და მოღვაწეობას, მის ხედვებსა და მნიშვნელობას თავის ფუნდამენტურ ნაშრომში -

„ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან.“ ამ კვლევაში ის იყენებს ა. სიგუას მიერ დასახელებულ საზოგადოების ოქმებსაც, თუმცა არსად ახსენებს დავით სარაჯიშვილს.

ა. სიგუა იქვე დასძენს: „დავით სარაჯიშვილი წინდახედულობით, ერის სიყვარულით, კონცეფციითა და რწმენით იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც „უღელის“ საზოგადოება, თუ პარიზში გაზეთი „დროშა“ დაარსეს“. ამაში ა. სიგუას უნდა დავეთანხმოთ და აღვნიშნოთ, რომ „უღელის“ თეორიული ნიადაგი და შემდეგში დავით სარაჯიშვილის პრაქტიკული საქმიანობა მართლაც პოულობს მსგავსებას ერთმანეთთან. აღნიშნულ საზოგადოებაზე დიდ გავლენას ახდენდა სოციალიზმის იდეები, დავით სარაჯიშვილიც აქტიურად გულშემატკივრობდა სოციალისტებს.

პროფესორი სიგუა დაეყრდნო ფოტოს, რომელიც 1878 წელს პარიზშია გადაღებული. მასზე აღბეჭდილი არიან: ვანო მაჩაბელი, ოთარ (კონია) და დემუქელიანი, ვასილ მაჩაბელი, პეტრე გრუზინსკი, ვანო ჯორჯაძე, დავით გურამიშვილი, ვასილ გიორგაძე და დავით სარაჯიშვილიც. ეს ფაქტი ალექსანდრე სიგუამ დავით სარაჯიშვილის საზოგადოება „უღელის“ წევრობის დადასტურებად ჩათვალა (გვ. 19), მით უმეტეს, რომ ფოტოს უკნიდან აქვს წარწე-

რა - „უღელის ჯგუფი“. მინანერი ნიკო ნიკოლაძის შვილს, რუსუდან ნიკოლაძეს ეკუთვნის (თუმცა ა. სიგუა თავადვე აღნიშნავს, რომ დავითისა და „უღელის“ ურთიერთკავშირებზე „არც რუსუდან ნიკოლაძეს უამბობია რაიმე და არც სარაჯიშვილის არქივშია დაცული“).



პირველ რიგში ზის დავით გურამიშვილი, მეორე რიგში მარცხნიდან მარჯვნივ - ვანო ჯორჯაძე, ვასილ პეტრიაშვილი და დავით სარაჯიშვილი. მესამე რიგში დგანან - ივანე მაჩაბელი, ოთარ დადეშქელიანი, ვასილ მაჩაბელი, პეტრე გრუზინსკი.

უკანასკნელ პერიოდში აღნიშნულ საკითხს შეეხო ისტორიკოსი დურმიშხან ლაშხი, რომელმაც არ გაიზიარა ა. სიგუას მოსაზრება (ამ მოსაზრებას მე პირადად აბსოლუტურად ვიზიარებ) და სცადა აღნიშნული საკითხის გამოკვლევა. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დაწერილ დისერტაციაში - „ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი)“, ავტორი აღნიშნავს, რომ ფოტო, რომელზეც დავით სარაჯიშვილი „უღელის“ წევრებთანაა აღბეჭდილი, გადაღებულია 1875-76 წლებში (პროფ. რუსუდან ნიკოლაძის ცნობით - ნ.ს.) და დასკვნის სახით დასძენს - „დავით სარაჯიშვილი მხოლოდ 1878 წელს გაემგზავრა საფრანგეთში. ლოგიკურია, რომ 1875-1876 წლებში იგი საფრანგეთში ვერ იქნებოდა.“ [2, გვ. 14]. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლოგიკური საერთოდ არაა, ვინაიდან მოკლევადიანი ვიზიტი სავსებით დასაშვებია. ამასთან ერთად, ორგანიზაციაში ჩვენ ვხვდებით ისეთ წევრებს, რომლებიც „უღელის“ მოღვაწეობის პერიოდში არ იმყოფებოდნენ მაინცდამაინც შენევაში ან ციურისში. მაგალითისთვის საკმარისი იქნება თავად ნიკო ნიკოლაძე (არ დასწრებია საზოგადოება „უღელის“ კონგრესსაც კი, ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ იყო აუცილებელი

შვეიცარიაში ყოფნა საზოგადოების წევრობისათვის.), დავით მიქელაძე, პავლე იზმაილოვი და სერგეი მესხი, რომლებიც 1873 წლის ბოლოსა და 1874 წელს პარიზში არიან და პირველი სამი მათგანი გაზეთ „დროშას“ გამოსცემს.

აღსანიშნავია, რომ შემდეგში [2, გვ. 26], დავით გურამიშვილის ერთ მოგონებაზე დაყრდნობით, დურმიშხან ლაშხი აღმოჩენის სახით ამბობს, რომ სურათი გადაღებულია 1878 წელს, შესაბამისად ზემოთმოყვანილ არგუმენტს თავადვე აქარწყლებს. ჩვენ ვეთანხმებით დურმიშხან ლაშხს იმაში, რომ ა. სიგუას მოსაზრებები და არგუმენტები არაა საკმარისი დავით სარაჯიშვილის საზოგადოება „უღელის“ წევრად მიჩნევისათვის. დისერტაციაში სწორადაა აღნიშნული და ხაზგასმული დავით სარაჯიშვილისა და ნიკოლაძეების ოჯახის სიახლოვეც.

1874 წლის აგვისტოში გაიმართა „უღელის“ საერთო კონგრესი, რომლის შესახებაც თავის მოგონებებში დეტალურად მოგვითხრობს ქართველი ხალხოსანი ივანე ჯაბადარი. ის დამსწრე პირთა რაოდენობად 40 ადამიანს წარმოადგენს და წევრთა შორის დავითის ბიძაშვილს, ალექსანდრე სარაჯიშვილს ასახელებს როგორც სხდომის მდივან-მომხსენებელს. ივანე ჯაბადარის მოგონებებში ვკითხულობთ - „Секретаремъ-дакладчикомъ нынѣ кажется А. Сараджевъ“ [7]. ალექსანდრე სარაჯიშვილზე საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა კი არის სხვა წყაროებიც, რომლებიც ადასტურებს მის წევრობას „უღელში“.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით გადაჭრით და ცალსახად ვერ ვიტყვი, რომ დავით სარაჯიშვილი საზოგადოება „უღელის“ წევრი იყო. თუმცა ეს არ გამორიცხავს მის მჭიდრო კავშირებს საზოგადოების წევრებთან. ზოგადად, ევროპაში მყოფი ქართველი ახალგაზრდები ცდილობდნენ ერთმანეთთან აქტიურ კონტაქტში ყოფილიყვნენ და შეთანხმებულად ემოქმედათ. ამ სტუდენტობის ნაწილი იყო დავით სარაჯიშვილიც.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბზიანიძე, გიორგი. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. - თბ.: საბჭ. საქართველო, 1959.
2. ლაშხი, დურმიშხან. ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედნი და მეცენატნი): სადოქტ. ნაშრომი ... - თბ., 2016.
3. მანსვეტაშვილი, იაკობ. მოგონებანი: ნახული და გაგონილი. - ტფ., 1936.
4. სიგუა, ალექსანდრე. იშვიათი ბუნების კაცი. - თბ.: საბჭ. საქართველო, 1985.
5. ჰეივუდი, ენდრიუ. პოლიტიკური იდეოლოგიები. - თბ.: ლოგოს პრესი, 2004.
6. დროება [გაზეთი]. - 1873. - N16.
7. Былое [ჟურნალი]. - 1907. - N 9/21.

# გრიგოლ ტატიშვილი

## პირველი ქართველი გრავიორ-ქსილოგრაფი



### ნანა ფირცხალავა

ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის  
მკვლევარ-ბიბლიოგრაფი

გრიგოლ ტატიშვილი იმ ქართველ მოღვაწეთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ საზოგადოებაში ქართული წიგნის გამოცემებისადმი ინტერესის გაცხოველება განიზრახეს. სწორედ ამ პერიოდში ბეჭდვითი საქმის განვითარებასთან ერთად დასურათებულ გამოცემათათვის მხატვრული ილუსტრაციების შექმნის მოთხოვნილება დადგა.

ილუსტრაციას დიდი ხნის ისტორია აქვს. ის ლათინური სიტყვაა და გაშუქება-განმარტებას, თვალსაჩინო გამოსახულებას ნიშნავს. ის არის ხელოვნების დარგი, რომელიც დაკავშირებულია ლიტერატურული და სამეცნიერო ნაწარმოების გამოსახვით განმარტებასთან. თავდაპირველად ხელნაწერების ილუსტრირება მინიატურებით ხდებოდა, წიგნის ბეჭდვისა და ქსილოგრაფიის გამოგონების შემდეგ კი ის გრაფიკის ძირითად შემადგენელ ნაწილად იქცა. ქსილოგრაფიული ილუსტრაცია VI-VII საუკუნეებში გაჩნდა ჩინეთში. XVII საუკუნეში წიგნის გრაფიკა აღმოცენდა იაპონიაში, რამაც განვითარების უმაღლეს საფეხურს XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში მიაღწია. ევროპაში ქსილოგრაფიული ილუსტრაცია XV საუკუნეში ჩაისახა. თავდაპირველად იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მინიატურასთან. XVI საუკუნიდან მხატვრები ცდილობდნენ გადმოეცათ სივრცე და ამ გზით მიეღწიათ ფერწერული ეფექტებისათვის. ევროპის საუკეთესო ქსილოგრაფები იყვნენ: ა. დიურერი, ჰ. ბალდუნგ გრინი, ჰ. ჰოლბაინ უმცროსი, ლ. კრანახ უფროსი - გერმანიაში; უ. გრაფი - შვეიცარიაში; ი. სვარტი, ლ. ლეიდენელი - ნიდერლანდებში; ბ. სალომონი, ჟ. დიუვე - საფრანგეთში...

საქართველოში ილუსტრაციები ხელნაწერის გაფორმებასთან იყო დაკავშირებული. ადრინდელი ილუსტრაციები გამოირჩეოდა ფაქიზი კოლორით, ხაზგასმული დეკორატიულობითა და

შესრულების მაღალი დონით. ქსილოგრაფიული ხელოვნების ნიმუშები კი უშუალოდ პირველი ქართული სტამბის დაარსებასთანაა დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც ვახტანგ მეექვსემ საქართველოში საკუთარი ეროვნული სტამბა მოაწყო, ქართული ხელნაწერი წიგნების მრავალსაუკუნოვანი კულტურა ახალი გზით წარიმართა.

ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების კლიშეები ქსილოგრაფიული წესითაა დამზადებული. მათგან მხოლოდ ორი ცალია შემორჩენილი: ერთზე ვახტანგ მეექვსის პორტრეტი ამოკვეთილი, ხოლო მეორეზე - კომპოზიცია „სულიწმიდის მოფენა“. ორივე კლიშე საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმშია დაცული. ისინი ხის ბოჭკოების პარალელურად გადახერხილ ბზის ნაჭრებზეა ამოკვეთილი. ვახტანგ მეექვსის სტამბის ქსილოგრაფებმა საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ქსილოგრაფიულ ხელოვნებას და ამით კი ნაბეჭდი წიგნების ილუსტრირებისა და გაფორმების საქმეს. სწორედ ამიტომ, საქართველოში ქსილოგრაფიული ხელოვნების განვითარების დასაწყისად მე-18 საუკუნის პირველი ათწლეული უნდა ჩაითვალოს.

მე-19 საუკუნეში ქსილოგრაფია მხატვრულ გამოცემათა დასურათებისა და ილუსტრირების ერთადერთ საშუალებად იქცა და სწორედ ერთადერთი ადამიანი, გრიგოლ ტატიშვილი ითვლება პირველ და უკანასკნელ გრავიორ-ქსილოგრაფად იმ პერიოდის თბილისსა და, ზოგადად, საქართველოში, ფოტოციკლოგრაფიის დაარსებამდე. გრიგოლ ტატიშვილი დაიბადა ქ. გორში 1848 წლის 21 თებერვალს. პატარა გიგამ დაწყებითი განათლება გორის სასწავლებელში მიიღო. 1862 წელს ტატიშვილების ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. ხელმოკლეობის გამო მოზარდი სკოლის გარეთ დარჩა იმ მცირე ცოდნით, რომელიც გორის სასწავლებელში მიიღო... შემდეგ იგი თამამშევის ქარვასლაში აღმოჩნდა ვაჭრის შეგირდად, ქარვასლის ეზოში არსებული ოპერის თეატრის მსახიობებს, მუსიკოსებს, მხატვრებსა და დეკორატორებს გაეცნო და თეატრის მოღვაწეებსა და გასტროლოგორებს დაუახლოვდა. ნიჭიერმა ბავშვმა ადვილად აითვისა იტალიური ენა, რომელზეც თავისუფლად ლაპარაკობდა... შეისწავლა დეკორატიურობა, პიროტექნიკა, ჯამბაზობა და ქსილო-გრავიურაც, რაც შემდეგ სპეციალობად გაიხადა.

გრიგოლ ტატიშვილმა ქსილოგრაფიაზე სისტემატური მუშაობა 1882 წელს დაიწყო, 34 წლის ასაკში. ეს ის დრო იყო, როცა ქართველებში და,

საერთოდ, კავკასიის სხვა ხალხებში ეროვნულმა გრძნობებმა გაიღვიძა, რამაც ეროვნული კულტურის აღორძინებას დაუდო სათავე, გაჩნდა ისტორიული წარსულის შესწავლის ინტერესი და დაიწყო ბრძოლა ეროვნული კულტურის, ეროვნული მომავლის შესაქმნელად. სწორედ ამ ახალ მოძრაობას მოჰყვა ბევრი რამ, რაც წინათ საქართველოში არ არსებობდა. გაჩნდა გაზეთები, ჟურნალები, ქართული სახელმძღვანელოები, დაარსდა ქართული თეატრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება... 1890 წელს თბილისში გაიხსნა სათავადაზნაურო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილება. ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ... ამ ეროვნულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, ვაჟა-ფშაველასთან, ნიკო ნიკოლაძესთან, ალექსანდრე ყაზბეგთან... ერთად. ასპარეზზე გამოჩნდნენ პირველი საბავშვო მწერლები - შიო მღვიმელი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი, ნინო ნაკაშიძე... გამოქვეყნდა საბავშვო ჟურნალების „ნაკადული-სა“ და „ჭეჭილის“ პირველი ნომრები... გაჩნდნენ მესტამბეები, გამომცემლები... წიგნებისა და ჟურნალების გამოცემას დასჭირდა დასურათება, საჭირო გახდა კლიშეების დამზადება - ქსილოგრაფია. სწორედ ამ საქმეს შეეჭიდა გრიგოლ ტატიშვილი და დიდი წარმატებითაც.

სად და ვისგან ისწავლა გრიგოლ ტატიშვილმა ეს ხელობა? ამ კითხვაზე ის ასე პასუხობდა: დავაკვირდი ოქროს მჭედელ გრავიორების მუშაობას, ნახატებს წიგნებში, ზოგი რამ იტალიელ მხატვრებს გამოვკითხე, ზოგი რამ წიგნებში წავიკითხე, მოვისაზრე, მივხვდი, შრომა დავდე და მოვახერხეო. მართლაც, მას არ შეეძლო ვინმესგან ესწავლა ეს საქმე, რადგან ამ ხელობის კაცი ჩვენში არ იყო, სხვაგან კი იგი არსად წასულა, სამშობლოს არ გასცილებია - წერენ მისი ბიოგრაფები. თავდაპირველად, რაკი საჭირო იარაღი არ მოუპოვებოდა, გრიგოლი უბრალო დანით მუშაობდა უბრალო ფიცარზე. მისი პირველი ნამუშევარი დანით ფიცარზე შესრულებული იმ წარმოდგენის აფიშა იყო, რომელშიც თავად მონაწილეობდა თავისსავე განვრთნილ ძაღლთან ერთად. ეს იყო 1863 წელს. ამ აფიშას, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, რაიმე მხატვრული ღირებულება არ ჰქონია, იგი უხეში ნამუშევარი ყოფილა, მაგრამ მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ქსილოგრაფიული ნამუშევარი იყო საქართველოში და პირველი ნამუშევარი გრიგოლ ტატიშვილისა.

... და გრიგოლ ტატიშვილს აღარ აკმაყოფილებს თავისი ნამუშევრები. იგი დარწმუნდა, რომ სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად საჭირო იყო სპეციალური საგრაფიორო იარაღები - შტიხელები. ამ იარაღების შექმნა იმ დროს მხოლოდ ევროპასა და რუსეთში შეიძლებოდა.

... და მან ახალგაცნობილ, პეტერბურგში სასწავ-

ლებლად მიმავალ ახალგაზრდა დავით გიორგის ძე ერისთავს სთხოვა, მისთვის ამ საკვეთი იარაღების ჩამოტანა.



... დავით ერისთავი - ქართველი მწერალი, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წ. ქართველიშვილისეული გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი, ქართული დრამატული საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, შემდეგში ფრანგი დრამატურგის ვ. სარდუს სიუჟეტზე შექმნილი პიესა „სამშობლო“ ავტორი, რომლის სიუჟეტი ბრწყინვალედ მიუსადაგა ქართულ სინამდვილეს, პიესას ეროვნული ხასიათი შესძინა და ქვეყნისთვის თავდადება მაგალითად დაუსახა იმდროინდელ ქართველობას. ქართულ თეატრში 1882 წლის 20 იანვარს „სამშობლო“ წარმოდგენამ ეროვნული მანიფესტაციის სახე მიიღო.



გრიგოლ ტატიშვილი

აი, რას წერდა დავით ერისთავზე მე-19 საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზ. ჭიჭინაძე თავის ნაშრომში „დავით ერისთავი“, რომელიც 1892 წელს გამოქვეყნდა თბილისში სერიით „სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები“: „მთელს ამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, ქართველს მკითხველზე იმდენი ზედ გავლენა არც ერთს ქართულს პიესას არ აღმოუჩენია, რამდენიც დ. ერისთავის „სამშობლომ“. ამ დრამამ ბევრს გადაბირებულს ქართველს ამცნო ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ჩვენ ქართველები საქართველოში ვცხოვრობთ, რომ ჩვენი სამშობლო საქართველო არის, ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, ჩვენ ყველანი ერთ ტაფაში ვიმყოფებით და ერთ ასპარეზზე. და ამიტომ ჩვენ აღარ შეგვფე-






რის ის, რომ მე თავადი ვარო, ვიძახო, ის აზნაური და ეს გლეხიო. ჩვენ ყველანი ქართველები ვართ და ამიტომ ერთის ჰაზრითაც უნდა ვიყოთ გამსჭვალული. როცა ამას გავიგებთ, როცა „სამშობლოსავე“ ვიცნავთ ჩვენს თავებს და მის საჭიროებას, აი, მხოლოდ მაშინ შეიძლება, რომ ჩვენის შეერთებულის ძალით ჩვენს თავს უშველოთ. მწერლობა გავაჩაღოთ, სკოლები გავამრავლოთ, თეატრი გაფართოვდეს, მას ნამდვილი პედაგოგიური მიმართვა მიეცეს... ჩვენი ყოველი თვითნებური ქართველი ისე უნდა უმზერდეს სხვის საქმეს, როგორც თავისას, როგორც თავის საკუთარს საქმეს და გაჭირებას. რა დაგვანინაურებს ჩვენ თუ არ ასეთი საქციელი. რითი გავკაცდებით, თუ არ ამით. აი, ამიტომ და ამისთვის არის დავით ერისთავის დრამა საყურადღებო“.

... დავით ერისთავი დაჰპირდა გრიგოლ ტატიშვილს საგრაგვირო იარაღების ჩამოტანას და დაპირება პირნათლად შეასრულა. სწორედ ამის შემდეგ გრიგოლ ტატიშვილმა მთლიანად მიუძღვნა თავი ამ ხელობას და აქედან იწყება მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. გრიგოლ ტატიშვილის მიერ დასურათებული პირველი წიგნი იყო „ყარამანიანი“, შემდეგ საყმანვილო ჟურნალ „კრებულის“ გა-

რეკანი გააფორმა - გადაბმული ქართული ასოებით გამოიყვანა ჟურნალის სახელწოდება - „კრებული“, რომელიც შემდეგ გადაამუშავა, ასოები დახვეწა, დამხმარე ხვეულებით შეავსო და მონოგრამა უფრო ფაქიზი გახადა.

გრიგოლ ტატიშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ილუსტრირების საქმეში. გოგებაშვილის პირველი ილუსტრირებული სახელმძღვანელო, რომელიც ტატიშვილის დაულალავი შრომის შედეგად





გაფორმდა, „დედა ენა“ იყო, მას მოჰყვა „ბუნების კარი“ და „რუსკოე სლოვო“. იაკობ გოგებაშვილთან მუშაობისას ტატიშვილი ისე გაიტაცა მშობლიური ენის სიყვარულმა, იმ იდეებმა, რომლებიც ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ასულდგმულეებდა, რომ გადაწყვიტა თვითონაც გამოეცა მხატვრულად გაფორმებული წიგნები და გამოსცა კიდევ „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი“, „კუნწულა“, „კონა“... მხატვრულად გააფორმა თავი ასოები მოთხოვები-სა: „კოკორი“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „თავდადებულნი ქართველნი“... ამ მოთხოვებისათვის მან ხეზე გამოკვეთა ო. შმერლინგის მიერ შესრულებული სურათები. გრიგოლ ტატიშვილი მონაწილეობდა იაკობ გოგებაშვილის თითქმის ყველა გამოცემაში როგორც ილუსტრატორი, წიგნების მხატვრული გამაფორმებელი თუ ქსილოგრაფი.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გრიგოლ ტატიშვილმა ხელი მოჰკიდა ჟურნალ-გაზეთების გაფორმების საქმეს. მის მიერ გაფორმებული პირველი ჟურნალი იყო „ნობათი“, რომლის პირველი ნომერი 1883 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა. ჟურნალის გარეკანი ხეზეა ამოკვეთილი - ასოები ერთმანეთში შერწყმული ფოთლოვანი ჩუქურთმებითაა შედგენილი და ლამაზი თავი ასოებით, სურათებითა და ბოლოსამკაულებითაა


გაფორმებული. ყოველკვირეული ლიტერატურულ-მხატვრული გაზეთის „თეატრის“ სათაურიც გრ. ტატიშვილს დაუმზადებია - შავი ასოებით შედგენილი სათაური „თეატრი“ კამარისებურადაა შემორტყმული ყდის ზედა ნაწილზე. სიტყვის პირველი და ბოლო ასოები ფოთლოვანი ხვეულებითაა შემკული.

გრიგოლ ტატიშვილის მონაწილეობითაა გაფორმებული საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნებული თითქმის ყველა პერიოდული გამოცემა. გაზეთები: „ივერია“, „დროება“, „კვალი“, „ბრძოლა“, „გლეხი“, „მინა“, „დრო“, „ფასკუნჯი“, თბილისში გამომავალი ფრანგულენოვანი ჟურნალი „la Caucase illustre“, ჟურნალი „მოამბე“, სომხური ჟურნალ-გაზეთები „მშაკი“, „ალბიური“, „ტარაზი“... სწორედ მის მიერ შედგენილი და ხეზე ამოკვეთილი სურათებით, თავი ასოებით, თავსამკაულებითა და აშიებითაა შემკული.

1885 წელს გრიგოლ ტატიშვილმა გააფორმა თავის დროზე პროგრესული იდეების მქადაგებლის, საზოგადო მოღვაწისა და ნიჭიერი პოეტის ცახელის (პარმენ თვალჭრელიძის) პოემა „შალვას თავგადასავალი“, რომელშიც ოცდათერთმეტი სურათია - ზოგი თავსამკაულად, ზოგი ბოლოსამკაულად და ზოგი კი ტექსტში ჩართული.




ყველაზე ძვირფასი გამოცემა, რომელიც მე-19 საუკუნეში საქართველოში გამოქვეყნდა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იყო. 1888 წელს „ვეფხისტყაოსნის“ სანიმუშოდ გამოცემა იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა ი. მეუნარგიამ, ი. მაჩაბელმა, ალ. სარაჯიშვილმა, პ. უმიკაშვილმა, გ. თუმანიშვილმა, გ. ქართველიშვილმა, გრ. ტატიშვილმა... გადაწყვიტეს ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, რათა ნათელეყოთ ქართველი ხალხის კულტურული დონის სიძლიერე.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა დიდმა პატრიოტმა და ქველმოქმედმა, კომერსანტმა გიორგი ქართველიშვილმა ითავა, ბრწყინვალედ დაასურათა სახელგანთქმულმა უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩმა, წიგნის მხატვრული გაფორმებისათვის საჭირო ესკიზების დამზადება კი იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილ ქსილოგრაფს გრიგოლ ტატიშვილს



მიანდეს. საგამომცემლო კომისიის თავმჯდომარემ ილია ჭავჭავაძემ, ვისი წინადადებითაც იყო გრიგოლი მიწვეული, ქართული სათავადაზნაურო ბანკის (ახლანდელი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის) შენობაში სამუშაოდ უსასყიდლოდ დაუთმო ოთხი ოთახი, ხოლო გიორგი ქართველიშვილმა მატერიალურად უზრუნველყო იგი.

ილია ჭავჭავაძის ჩაგონებით გრიგოლ ტატიშვილი დარწმუნდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესამკობად ჩვეულებრივი მორთულობა არ გამოდგებოდა, რომ საჭირო იყო ახალი შესამკობელი მასალის გამონახვა, რაც, მისი აზრით, ქართული მონუმენტური არქიტექტურის ძეგლებში მოიპოვებოდა... და სწორედ ძველი მონასტრებისა და ციხეების: მცხეთის, უფლისციხის, ბეთანიის, გელათის, ქუთაისის, საფარის, ახტალის, სამთავისის, ატენის... ჩუქურთმები გამოიყენა საჭირო მასალად, შემდეგ ეს მასა-




ლა წიგნის მორთულობად გარდაქმნა, პოემას მიუსადაგა და ეროვნული ჩუქურთმების გამოყენებით „ვეფხისტყაოსნისთვის“ შესაფერიის გრაფიკული ორნამენტაცია შექმნა. „ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ თავი ასოები, ბოლოსამკაულები და აშიები ნაწარმოების შინაარსისადმი ორნამენტის შერჩევითი პრინციპის გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშად გვევლინება“ - წერს მურმან ურუშაძე მონოგრაფიაში „პირველი ქართველი გრაფიკორი გრიგოლ ტატიშვილი“, რომელიც 1958 წელს გამომცემლობა „ხელოვნებაში“ გამოსცა.

„ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეულმა გამოცემამ ევროპის კულტურული ცენტრების ყურადღება მიიქცია. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ახალგამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსანი“ გერმანიაში, ქ. მაინცში, გუტენბერგის საიუბილეო გამოფენაზე გაგზავნა, საიდანაც აღფრთოვანებული წერილები მიიღო. გრიგოლ ტატიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ მორთულობანი 1900 წელს ცალკე ალბომად გამოსცა ( L'art decoratif au Caucase = ქართული ჩუქურთმა). ეს გამოცემა პარიზის მსოფლიო გამოფენაზე გაიგზავნა. გამოფენის ორგანიზატორებმა ამ ნაშრომისთვის გრიგოლ ტატიშვილი ქების სიგელითა და დიდი ვერცხლის მედლით დააჯილდოვეს. პარიზის გამოფენამდე, 1889 წელს თბილისში მოწყობილ „კავკასიის გამოფენაზე“, როგორც ოსტატი ქსილოგრაფი და შემოქმედი მხატვარი, გრიგოლ ტატიშვილი დიდი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

1891 წლის მარტში გამოქვეყნდა შიო მღვიმელის საბავშვო ლექსების პირველი კრებული „ცვარი“, რომლის კლიშეები და ილუსტრაციები გრიგოლ ტატიშვილის მიერ იყო დამზადებული. მანვე

გააფორმა და იმავე წელს გამოსცა თავისივე დასურათებული ორი წიგნი - „ძუნწი“ და „სამი ცელქი“, ლადო აღნიაშვილის სერიული გამოცემა საერთო სათაურით „ახალი ანბანი“ და „უბის ლექსიკონი“.

1893 წელს საეკლესიო გამომცემლობამ მ. შარაძის, რ. ბარამიძისა და სხვათა თაოსნობით რელიგიურ თემებზე პატარ-პატარა ბროშურების გამოცემა დაიწყო, რომლებშიც ქრისტიანობასთან დაკავშირებული სიუჟეტები იყო მოთხრობილი. წიგნაკების ილუსტრაციათა უმრავლესობა და გაფორმების ელემენტები შეადგინა და ხეზე ამოჭრა გრიგოლ ტატიშვილმა.



გაგზიდება შემდეგ ნომეხში.



საქართველოს ისტორია

# ზაქარია ჭიჭინაძის პუბლიკაცია ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის პირველ ნაბიჯებზე საქართველოში

სტაგია ეძღვნება გერმანული კოლონიების  
საქართველოში დაახსების 200 წლისთავს



**ნუზხარ პაკუაშვილი**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ეკლესიის ისტორიის პროფესორი


მნივნობარმა და ბიბლიოფილმა, საზოგადო მოღვაწემ და ისტორიკოსმა ზაქარია ჭიჭინაძემ (1854-1931) თვალსაჩინო სიტყვა ეკლესიის ისტორიის განხრითაც თქვა. მკითხველთა ფართო წრისათვის კარგად უნდა იყოს ცნობილი მისი დამსახურება საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიების ისტორიის შესწავლის საქმეში, მაგრამ ცოტას თუ მოეხსენება ის ფაქტი, რომ მან (და

მხოლოდ მან) შემოგვინახა უნიკალური ცნობა იმის შესახებ, თუ სად და როდის გაეცვენ ქართველები პირველად ქრისტიანული ეკლესიის დიდი რეფორმატორის, გერმანულენოვანი კულტურის უდიდესი წარმომადგენლის, ბიბლიის მთარგმნელისა და კომენტატორის მარტინ ლუთერის (1483-1546) იდეებს. ეს ცნობა საფუძვლად უდევს მის წიგნს, რომლის სატიტულო გვერდზე ვკითხულობთ: «ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში, ისტორიული მიმოხილვა, ზ, ჭ, გამოცემული ვლადიმერ შატბერაშვილის მიერ, გადმობეჭდილი 1904 წლის გაზ. „სამშობლოდამ“, თბილისი, საქართველოს მთავრობის სტამბა, 1918» (16 გვ.).

ეს გამოცემა დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა (შდრ.: ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, ტ. 1, თბ., 1941, გვ. 424), რის გამოც ის წიგნთმცოდნეობითი თვალსაზრისითაც იმსახურებს ინტერესს. მაგრამ უფრო დიდ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებს მისი შინაარსი, რომელიც სათაურშივე არის გაცხადებული. ეს სათაური ახალი და სენსაციური ინფორმაციის მიღების იმედს უნერგავს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს: ისტორიკოსებს, რელიგიათმცოდნეებს, ბიბლიოგრაფებს. არაა გასაკვირი, რომ ამ წიგნმა უკვე მიიქცია გერმანულ-ქართულ ურთიერთობათა მკვლევრების ყურადღება, რომელიც გაძლიერდა 2017 წელს, როდესაც ზემოთ აღინიშნებოდა გერმანული ლუთერანი ევანგელისტების საქართველოში ჩამოსახლებისა და აქ მათი კოლონიების (დასახლებების) დაარსების 200 წლისთავი. ეს იუბილე დაემთხვა მეორე დიდ, მსოფლიო მასშტაბის იუბილეს - ლუთერანული ეკლესიის, პირველი რეფორმატორული ეკლესიის, დაარსების 500 წლისთავს. ამ ფაქტმა ქართულ-გერმანული ურთიერთობის საკითხს საერთაშორისო რეზონანსი შესძინა.


ვიდრე ხსენებული წიგნის შინაარსსა და მასში გამოთქმული თვალსაზრისის ანალიზს შევუდგებით, სასურველია, პასუხი გავცეს ორ კითხვას: 1) როდის გაიგეს ქართველებმა, რომ დასავლეთ ევროპაში საეკლესიო ცხოვრების რეფორმაცია დაიწყო და 2) რას ნიშნავს ეკლესიის ევანგელური რეფორმაცია?

მოვლენას, რომელიც ცნობილია დასავლეთ ევროპის საეკლესიო რეფორმაციის სახელით, წინ უძღოდა მომამზადებელი ეტაპი XIII-XIV საუკუნეებ-





ში. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სათანადო ცნობებმა საქართველოში ამ ეტაპის პირველსავე საფეხურზე შემოაღწია. ჩვენი დაკვირვებით შესაბამის ცნობას შეიცავს პაპ გრიგოლ IX-ის წერილი, რომელიც მან მეფე რუსუდანსა და მხედართმთავარ იოანე მხარგრძელს 1240 წელს გამოუგზავნა. პაპი აღნიშნავს, რომ არა მარტო საქართველოს ეკლესია დგას პრობლემების წინაშე, არამედ რომის ეკლესიაც, რადგან ამ ეკლესიას როგორც მუსლიმები, ისე შინაური მტრები ებრძვიან. პაპი გარკვევით წერს: „ჯერ არს, რომ თქვენც ჩვენ შეგვიბრალოთ, რადგან სარწმუნოების მტერი ჩვენც ძრიერ გვდევნის. გარდა ამისა, რომ სარკინოზები ისპანეთსა და სირიაში სდევნიან კათოლიკე სარწმუნოებას, ზოგიერთნი ქრისტეს სარწმუნოებისაგან განდგომილნი წინ აღგვიდგენენ. (...) უნდათ ახალი მწვალებლობის დამყარება და ცდილობენ მოსპონ ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელმაც უნდა დაიხსნას და აცხოვნოს ადამის ნათესავი“ (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 15). მართალია, ამ დოკუმენტში არ არის მკაფიოდ ნათქვამი, თუ ვინ იგულისხმება „შინაურ მტრებში“, მაგრამ არაფერი გვიშლის ხელს ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია პროტესტანტულ-რეფორმატორული მოძრაობის ჩანასახებზე და წანამძღვრებზე. დასავლეთ ევროპის საეკლესიო სივრცეში სწორედ XIII საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება მოწოდებები საეკლესიო ცხოვრების ევანგელური პრინციპების კვალობაზე გარდაქმნისა და განახლების შესახებ. ასეთ პრინციპებსა და მოწოდებებს აყალიბებდნენ იმდროინდელ რელიგიურ აქტივისტთა ჯგუფები, რომლებიც ისტორიაში შესული არიან კათარებისა და ვალდელების სახელით.



ზაქარია ჭიჭინაძე

ეჭვი არ არის, რომ კითხვას, თუ ვის გულისხმობს რომის პაპი „შინაურ მტრებში“, იმდროინდელი ქართველებიც დასვამდნენ და პასუხად, დიდი ალბათობით, მოისმენდნენ ინფორმაციას მაშინდელ ევროპაში პროტესტანტული იდეების ჩასახვის შე-

სახებ. შეუძლებელია, რომ საქართველოს მაშინდელი საზოგადოების თუნდაც პატარა ნაწილში არ გაჩენილიყო სურვილი, მეტი მოესმინათ და გაეგოთ რომის ეკლესიის „შინაური მტრების“ შესახებ. ამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება შეეძლოთ როგორც კათოლიკე მისიონერებს, ისე სხვადასხვა წოდების, პროფესიისა და მრწამსის ადამიანებს, - კათოლიკეებსაც და არაკათოლიკეებსაც, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპიდან საქართველოში სხვადასხვა მისიით შემოდიოდნენ. მათი მეშვეობით XIII-XV საუკუნეების ქართველებიც გაიგებდნენ, რომ რომის კათოლიკური ეკლესიის არა ერთი და ორი წარმომადგენელი უფრო და უფრო ღიად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ამ ეკლესიის ზოგიერთი დოგმატისა და რიტუალის გამო; იმის გამო, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში ისეთი რიტუალები შემოიღეს, ისეთი წესები მოიგონეს და გარეგანი მხარის მიმართ ყურადღება იმ ზომამდე გაამახვილეს, რომ ქრისტესა და მისი სახარებისათვის ადგილი აღარ დარჩა. ამიტომ მიიჩნევდნენ, რომ საჭიროა ჩატარდეს საღვთისმსახურო რეფორმები და გადაისინჯოს ზოგიერთი წესი.

ასე ჩამოყალიბდა ახალი ქრისტიანული აღმსარებლობა ანუ კონფესია, რომლის მამამთავრად მოგვევლინა ზემოთ ხსენებული პიროვნება - მარტინ ლუთერი. ის გახლდათ აკადემიური ცოდნით აღჭურვილი ბერი, ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორი და თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, რომლის მიმართ კათოლიკური ეკლესიის იერარქია დიდ იმედს ამყარებდა, მაგრამ ეს იმედი დაიმსხვრა. მან მალე ასეთი კითხვები დასვა: რა საერთო აქვს ეკლესიების ფუფუნებას, სამღვდელთა თეატრალურ ჟესტებს, მათ მდიდრულ ანაფორებსა და პაპის ინდულგენციებს (ცოდვათა შენდობის სიგელებს) იესო ქრისტესთან? მისი პასუხი იყო კატეგორიული: არავითარი! უფრო კონკრეტულად და მკაფიოდ საკუთარი პოზიცია მან ჩამოაყალიბა 95 თეზისში, რომლის ტექსტი 1517 წლის 31 ოქტომბერს ვიტენბერგის კათედრალური ტაძრის კარიბჭეზე გააკრეს. ასე დაიწყო პროტესტანტული ანუ იგივე რეფორმატორული მოძრაობის აღზევება გერმანულენოვან კათოლიკეებს შორის. მარტინ ლუთერმა უარი თქვა სამონაზვნო წესზე, პოზიციები არ დათმო და ერთი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით, რომელიც სულიერი სიმტკიცისა და პრინციპთა ერთგულების სიმბოლოდ იქცა: “Ich stehe hier und versuche es nicht anders [აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს]“. პაპმა ლეონ X-მ გამოსცა ბულა (ღია წერილი), რითაც მან სულიერ შვილს სინანულისაკენ მოუწოდა, მაგრამ ადრესატმა ეს ბულა დაწვა კათოლიკური აღმსარებლობის სხვა ტექსტებთან ერთად. ამის შემდეგ პაპმა ლეონმა მარტინ ლუთერი და მისი თანამოაზრეები 1521 წლის 3 იანვარს კათოლიკე ეკლესიისაგან განკვეთილად გამოაცხადა ანუ ანათემირებულ ჰყო. პერიოდი 1517 წლის 31 ოქტომბრიდან 1521 წლის 3 იანვრამდე ის-



ტორიაში ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის დაბადების დღედ შევიდა.

ამჯერად ასეთი კითხვა დაისმის: როდის გაიგეს ქართველებმა პირველად ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის დაარსების ამბავი?

**სწავლულები ფიქრობდნენ, რომ მარტინ ლუთერის იდეები საქართველოში პირველად იმ გერმანელმა ევანგელისტებმა, კერძოდ კი შვაბიის მხარეში, ვიუტემბერგში, მცხოვრებმა პიეტისტებმა (თავისებური წესის ლუთერანმა ევანგელისტებმა), შემოიტანეს, რომლებიც 1817 წლიდან 1819 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში ჯგუფ-ჯგუფად შემოვიდნენ და ქვემო ქართლის სხვადასხვა რეგიონში თავიანთი კოლონიები დააარსეს. ბოლო დრომდე საქართველოს ისტორიის სპეციალისტებს ვერც კი წარმოედგინათ, თუ რა გზით შეიძლებოდა შემოენიო საქართველოში მეცხრამეტე საუკუნემდე ამ იდეებს, რადგან არც ერთი შესაბამისი დოკუმენტი მათთვის ცნობილი არ იყო.**

და, აი, 1918 წელს გამოჩნდა ზაქარია ჭიჭინაძის აღნიშნული წიგნი, რომელმაც მკითხველთა ფართო წრეს ერთობ სენსაციური თეორია წარუდგინა: მარტინ ლუთერის მოძღვრებამ საქართველოში, სამცხე-საათაბაგოში, ლუთერის სიცოცხლეშივე შემოაღწია და ეს მაშინ მოხდა, როდესაც ხსენებულ მხარეს (საფეოდალოს) ათაბაგი მზეჭაბუკი განაგებდაო (დას. წიგნი. გვ. 15-16).

რის საფუძველზე გააკეთა მკვლევარმა ასეთი თამამი განაცხადი? \_ იმ წერილობითი დოკუმენტის ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე, რომელიც მან, თურმე, უფრო სწორად, - თითქოს 1881 თუ 1882 წელს, მესხეთსა და ჯავახეთში მოგზაურობის დროს, აღმოსავლური წესის კათოლიკე მღვდლის, ცნობილი არქეოგრაფისა და ეთნოგრაფის ივანე გვარამაძის ბინაში, სოფელ ხიზაბავრაში, ნახა. ამ დოკუმენტს ის ასე მოიხსენიებს: „ლათინის წესის ქართველ კათოლიკეთა მისიონერ-პატრის ერთი დღიური“ (გვ. 3, 14).

ამ დოკუმენტის შეძლებისგვარად განხილვამ ზაქარია ჭიჭინაძეს ასეთი ისტორიული ექსკურსის შემოთავაზების შესაძლებლობა მისცა: ახალციხის ფეოდალმა მზეჭაბუკ ჯაყელმა, რომელიც, მისივე მითითებითაც, 1516 წელს გარდაიცვალა, კონსტანტინოპოლში გაიწყო კათოლიკე და ლუთერანი მისიონერები და ისინი მან თავის სამფლობელოში წამოიყვანა. ამ ათაბაგმა მეტი ყურადღება და სიმპათია პირველად ლუთერის მოძღვრებისა და საეკლესიო წესების მიმართ გამოიჩინა, მერე კი უფრო კათოლიკობისაკენ გადაიხარა. მკვლევრის თქმით, „საქმე ისე მოეწყო, რომ [მან] ლიუტერის სარწმუნოებას კი მიიღო. ეს იყო პირველი მაგალითი ქართველის კაცისაგან, ლიუტერის სჯულის მიღებისა. (...) მას როცა ლიუტერის სწავლა გაუცვნია, მასში

ქართველობის სამტრო არაფერი ძალა არ დაუნახავს, მას იგი უცვნია სახარების მშვიდობიან სწავლათ“ (გვ. 7-8). სამცხის განმგებლის ასეთ პოზიციას ახალციხეში ლუთერანთა ეკლესიის დაარსება მიჰყოლია: ლუთერანებს იქ „სამლოცველო სახლი“ აუშენებიათ და ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულებას შედგომიან. მათ კარგი ურთიერთობა კათოლიკეებთან მას შემდეგაც შეუნარჩუნებიათ, როდესაც, ამავე ექსკურსის თანახმად, ათაბაგმა მზეჭაბუკმა გარდაცვალების წინ თავი კათოლიკედ გამოაცხადა და „ლათინის წესის პატრისაგან ეზიარა კიდევ“ (გვ. 14-15).

სანდობის ყველაზე მეტი ხარისხი ამ ექსკურსის იმ ნაწილს ახლავს, რომლის თანახმად დასახელებულ „დღიურში“ ნახსენები ყოფილან და ორიოდე სიტყვით, ბიოგრაფიული ელემენტის თანხლებით, დახასიათებულნი ის მისიონერი პასტორები, რომლებსაც საქართველოს ამ მხარეში უმოღვაწიანთ: იაკობი, ანდრია, ანტონი, გელარხი, სელვეცერი, მარტენი. ექსკურსის ფინალი ასეთია: მას შემდეგ, რაც პასტორების ახალციხეში შემოსვლა შეუძლებელი გახდა, ლუთერანთა ახალციხის სამრევლომ არსებობა შეწყვიტა და ეს მრევლი კათოლიკურ ეკლესიას შეუერთდა (გვ. 16).

ვიდრე ამ ინფორმაციისა და თვალსაზრისის განხილვას შევუდგებით, უნდა გავითვალისწინოთ აკადემიური წრეების აზრი ზაქარია ჭიჭინაძის კვლევითი სტილისა და მეთოდის შესახებ. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერს: ზაქარია ჭიჭინაძის ნაწერთა „ხელში ალება შესაძლებელია მხოლოდ პრინციპული წინასწარი უნდობლობით მათადმი“. ჩვენც გვქონდა შემთხვევა და შესაძლებლობა, აღნიშნულ სტილსა და მეთოდს დავკვირვებოდით, რის შედეგად ასეთი დასკვნა გამოვიტანეთ: მართალია, ზაქარია ჭიჭინაძის ნაწერებში, თითქმის როგორც წესი, ერთმანეთში არის არეული რეალობა (ფაქტი) და ფანტაზია (წარმოსახვა), მაგრამ ტყუილისა და მართლის ამ სიმბიოზის მკაცრი და შრომატევადი ანალიზის შემდეგ ქვშმარიტებაში გარკვევა მაინც ხერხდება (ნ. პაპუაშვილი, კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ „დროების“ მასალების მიხედვით, თბ., 2008, გვ. 19-31). ამ შემთხვევაშიც რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ: წყარო, რომელსაც ზ. ჭიჭინაძე ასახელებს (მისიონერი მღვდლის „ერთი დღიური“) და დასძენს, უკვე დაკარგულიაო (გვ. 16), ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის. არც ის ვიცით, 1881 თუ 1882 წელს ნანახი დოკუმენტის შინაარსს მკვლევარი 1918 წელს მხოლოდ საკუთარ მეხსიერებაზე დაყრდნობით გადმოსცემს, თუ იმ ამონაწერების დახმარებითაც, რაც მას, როგორც ჟურნალისტსა და მკვლევარს, უნდა გაეკეთებინა და შეენახა. მეტი ალბათობით, რაზეც უკვე მივანიშნეთ ზემოთ, მას „დღიურიდან“ რაღაც მასალა უნდა ამოეწერა (პასტორების სახელები მაინც), მაგრამ საკითხავია: რამდენად ზუსტად და პროფე-

სიულად? ჩვენ ჯერჯერობით მითითებული გამოცემის სათაურში მოყვანილი ბიბლიოგრაფიული ცნობის, - „გადმობეჭდილი 1904 წლის გაზ. «სამშობლოდამ», - იდენტიფიკაციაც ვერ შევძელით: ეს გაზეთი გამოდიოდა არა 1904, არამედ 1915-1917 წლებში (შდრ, გ. ბაქრაძე, ქართული ჟურნალისტიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945); თბ., 1947, გვ. 48,222), მაგრამ არც ამ წლების კატალოგებში დასტურდება მსგავსი შინაარსის სტატია. შესაძლებელია, ეს სტატია სხვა სათაურითა და ფსევდონიმით გამოქვეყნდა, რაც გასარკვევია.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ წყაროებისა და გამოყენებული ლიტერატურის არააკადემიურად დასახელების გამო ზაქარია ჭიჭინაძისეული ინფორმაციების შემონგება ხშირ შემთხვევაში ძალზე რთულია. თუმცა, ვიმეორებთ, ამ ინფორმაციების კრიტიკულ განხილვას არც თუ იშვიათად პოზიტიურ შედეგებამდე მივყავართ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ასეთი სამუშაოს ჩატარების შემდეგ ბუნდობლად და უცნაური ფორმით მოწოდებულ ინფორმაციებში ტყუილისა და სიმართლის ერთმანეთისაგან გაცალკევება მეტწილად ხერხდება.

ამ შემთხვევაშიც სასიამოვნო ფაქტის წინაშე ვდგავართ. ზაქარია ჭიჭინაძის ზემოთ მოყვანილი ექსკურსის მეცნიერული განხილვა ადასტურებს, რომ ეს ექსკურსი მთლად უსაფუძვლო და სრული ფანტაზია არ არის. მეტიც: ირკვევა, რომ ხსენებული ექსკურსის მთავარი სათქმელი და ცენტრალური ასპექტი სინამდვილეს შეესაბამება.



სამცხე-საათაბაგოს ისტორია ორ ჯაყელ მზეჭაბუკს იცნობს. მათგან პირველი XVI საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა, მეორე კი იმავე საუკუნის მეორე ნახევარში. უკვე მივანიშნეთ, რომ ზაქარია ჭიჭინაძე გულისხმობს მზეჭაბუკ პირველს (+1516), რომლის სახე ისტორიაში ერთობ მონუმენტურად აღიბეჭდა. წერილობითი ძეგლები მას მზეჭაბუკ დიდად მოიხსენიებს. იგი ღრმადმორწმუნე და ზნეკეთილ ქრისტიანად გამოიყურება; ამკობს საამო გარეგნობა და ძალგულოვნება (იყო ბეჭდაუდებელი ფალავანი), რომელმაც ქალწულება შეინარჩუნა და სიცოცხლის ბოლო წელი მონასტერში გაატარა იაკობის სახელით. ცნობილია მისი

კონფლიქტი ქართლის მეფესა და კათალიკოსთან, რაც წყაროებში „სჯულის საქმის“ გამო ატეხილ დავად არის მოხსენიებული, თუმცა არ ჩანს, რომ ამ დავას აღმსარებლობასთან და, მით უმეტეს, პროტესტანტულ ევანგელიზმთან კავშირი ჰქონოდა. ამის გამო დაბეჭდებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვალსაზრისი ამ პიროვნებისა და მისი თანამედროვე თანამემამულეების, თუნდაც მცირე ნაწილისა და თუნდაც დროებით, ლუთერანად გახდომის შესახებ მოკლებულია საფუძველს. თვალში საცემია უხეში ანაქრონიზმი: ლუთერის თეზისები, რის საფუძველზე ლუთერანობა ცალკე კონფესიად ჩამოყალიბდა, 1517 წელს გამოქვეყნდა, მზეჭაბუკ პირველი კი 1516 წელს გარდაიცვალა. გარდა ამისა: ისტორია არ იცნობს მის ვიზიტს კონსტანტინოპოლში. სამაგიეროდ ისტორია იცნობს სხვა ათაბაგების ვიზიტებს კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) და მათ კონტაქტებს იქ მყოფ ლუთერანებთან.



დოკუმენტური ინფორმაცია - რამდენიმე ლათინურენოვანი და, განსაკუთრებით, გერმანულენოვანი წყარო - ასეთი ვიზიტებისა და კონტაქტების შესახებ ქართული ისტორიოგრაფიაში მხოლოდ ბოლო ათწლეულებში გახდა ცნობილი ილია ტაბალუას, ბეჟან ჯავახიასა და ტატიანა კოპალეიშვილის ნაშრომებით. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, შეგვეკრიბა ამ ნაშრომებში მითითებული წყაროები და მათი რიცხვი კიდევ გაგვზარდა. ჩვენს მონოგრაფიაში „ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიიდან საქართველოში (წინაისტორია და ისტორია)“, რომელიც ქართულ და გერმანულ ენებზე (ცალცალკე) 2018 წელს თბილისში გამოიცა და საქართველოში გერმანელების ჩამოსახლების 200 წლის იუბილეს მიეძღვნა, კრიტიკულადაა განხილული ზაქარია ჭიჭინაძის ზემოთ წარმოდგენილი ექსკურსი და გაერთიანებულია იმ ავტორების ტექსტები, რომლებიც ათაბაგების აღნიშნულ ვიზიტსა და კონტაქტებზე გვანოდებენ ინფორმაციებს. საკითხით დაინტერესებულ მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ამ ტექსტების სრულ ვერსიებს და იქვე იხილონ მათი ქართული თარგმანები, ასევე - თარგმანები თანამედროვე გერმანულზე (მონოგრაფიის გერმანულ ვარიანტში).

იქვე შეჯამებულია ის სამუშაო, რაც მეცნიერებაში ამ მიმართულებით დღემდე ჩატარდა (გამოცემის ქართული ვარიანტი: გვ. 17-85, გერმანული ვარიანტი გვ. 18-103).

ავტორები, რომლებიც ჩვენს თემაზე პირველხარისხოვან ინფორმაციებს გვანოდებენ, არიან: დავით ხიტრეუსი (1530-1600), სტეფან გერლახი (1546-1612), სოლომონ შვაიგერი (1551-1622), ვენცესლავ ბუდოვეცი (1551-1621) და მარტინ კრუსიუსი (1526-1607). მათი მეშვეობით ცნობილი ხდება შემდეგი: საქართველოს სამხრეთის პროვინციაში, ახალციხის რეგიონში, ლუთერანთა სარწმუნოების გავრცელების მცდელობას ნამდვილად ჰქონია ადგილი, მაგრამ ეს XVI ს-ის 70-80-იან წლებში მომხდარა. ამ პროცესში ჩართული ყოფილან ლუთერანი მისიონერები და დიპლომატები კონსტანტინოპოლში. მათ გაუცვნიათ სულთანის კარზე მყოფი ათაბაგები მანუჩარი და ყვარყვარე. პირველს იქ ისლამი უღიარებია, მეორე კი ქრისტეს რჯულის ერთგული დარჩენილა. ხსენებულ მისიონერებს მისთვის გადაუციათ ლუთერანთა მოძღვრების ერთ-ერთი პირველწყაროს – აუგსტურგის აღსარების (*Confessio Augustana*) – ტექსტი, რომელიც ყვარყვარეს მაშინვე ქართულად („იბერიულ ენაზე“) უთარგმნინებია და თავის ქვეყანაში წაუღია. ამ ვიზიტს ქართული კულტურისათვის პირველ რიგში იმით ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ამ დროს სოლომონ შვაიგერს ყვარყვარეს ამაღლის ერთ-ერთმა ნევრმა, ბერმა იოსებმა, უბის წიგნაკში 1579 წლის 25 ივნისს ჩაუწერა ქართული ანბანი (ნუსხახუცური) და ფსალმუნის ქართული თარგმანის ფრაგმენტი. ეს ჩანაწერები შევიდა შვაიგერის წიგნში, რომელიც 1608 წელს გამოქვეყნდა ნიურნბერგში. ასე ეზიარა პირველად ქართული ანბანი სტამბას.

ასე რომ, ზაქარია ჭიჭინაძის ინფორმაცია ახალციხის საათაბაგოში მარტინ ლუთერის საეკლესიო ტრადიციის შემოტანის მცდელობისა და „კათოლიკეთა მისიონერ-პატრის ერთი დღიურის“ არსებობის შესახებ, დეტალებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, უსაფუძვლო არ არის.

განსახილველი წიგნის პირველივე სტრიქონებიდან თვალშისაცემია ავტორის პოლიტიკური მიზანდასახულობა. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბიზანტიის ქრისტიანული იმპერიის დამხობის შემდეგ ქრისტიანული საქართველო ისლამური სამყაროს წინაშე დაუცველი აღმოჩნდა. ეს სამყარო კი იდეოლოგიური თვალსაზრისით მისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, რის გამოც ქრისტიანმა ქართველებმა ძლიერი მოკავშირის ძებნა დაიწყეს. მათ კათოლიკურ ევროპასაც მიმართეს და მართლმადიდებლურ რუსეთსაც, მაგრამ არც ერთმა გზამ არ გაამართლა. წიგნში სტრიქონსა და სტრიქონს შორის, ყოველ ნაბიჯზე, გამოკრთის ავტორის მთავარი სათქმელი, რომელიც შეგვიძლია ასე ჩამოვავალიბოთ: ქართველების თვითმყოფადობასა და ეროვნულ-სარწმუნოებრივ ინტერესებს საფრთხეს უქმნის როგორც ისლამი, ისე სომხური წესის კათოლიკობა; რუსობასა და სომხობაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს; დიდ იმედს არც რომაული კათოლიკობა გვთავაზობს; საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებს ვერც მართლმადიდებლობა და მართლმადიდებელი ეკლესია უმართავს ხელს (არც ერთი მართლმადიდებელი ქვეყანა არ აღმოჩნდა საქართველოს მხსნელი: არც ბიზანტია და არც რუსეთი). ბუნებრივად დაისმის კითხვა: მაინც რომელი სარწმუნოებრივ-პოლიტიკური სამყარო გამოადგება საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს? პასუხი, ვიმეორებთ, - სტრიქონსა და სტრიქონს შორის, თითქოს ასეთია: ლუთერანული ევანგელიზმი და მისი სამშობლო - გერმანია. ეს პოზიცია კი სრულ თანხვედრაშია იმდროინდელი, 1918 წლის, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ხედვასა და ორიენტაციასთან. ალბათ არც ის ფაქტია შემთხვევითი, რომ ნაშრომი სწორედ 1918 წელს, - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა წელსა და ამ ქვეყანაში გერმანული ლუთერანების ჩამოსახლების 100 წლის იუბილეზე, - სწორედ „საქართველოს მთავრობის სტამბაში“ დაიბეჭდა.







**ქართული მწერლობა**

მაია მიქაბერიძე

# ტერენტი გრანელის ერთი მინიატურის გამო

ტერენტი გრანელის მინიატურა „სიკვდილის შემდეგ“ პოეტის სიცოცხლეში სულ ორჯერ დაიბეჭდა: პირველად 1923 წელს გაზეთ „ლომისში“ (N32), მეორედ კი 1926 წელს გამოცემულ მისი ლექსების კრებულში. ამის შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა და მხოლოდ 1961 წელს გამოვიდა ტერენტი გრანელის ნაწარმოებთა მორიგი წიგნი, რომელშიც ასევე შევიდა დასახელებული მინიატურა. ეს იყო მესამე გამოცემა, სადაც პოეტის მიერ შეთხზული ტექსტი სრულად და შეურყვნელად დაიბეჭდა. 1972 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქათველომ“ კიდევ ერთხელ გამოსცა ტერენტი გრანელის ლექსები „ლირიკა“, მაგრამ იქ მინიატურას შეცვლილი სახე ჰქონდა: ტექსტის შუა ნაწილიდან, სავარაუდოდ, ტექნიკური მიზეზით ამოვარდა ერთი წინადადება: „დასაფლავებიდან სამი დღის შემდეგ თეთრად დაიფარება ჩემი სამარე“.

იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, რაც კი გამოცემულა გრანელის თხზულებები, ყველგან, ორი გამონაკლისის გარდა, იმავე ხარვეზს ვხვდებით. გამომცემლებისა და გამომცემლობების ყურადღების მიღმა დარჩა ეს ნაკლი. ჩანს, რომ ისინი, უმეტესწილად, ეყრდნობიან წინა წლების გამოცემებს და არა თვით პოეტის სიცოცხლეში დაბეჭდილ ტექსტს.

ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, ბატონი ლერი ალიმონაკი, მინიატურას „სიკვდილის შემდეგ“ პოეტურ ქმნილებად მიიჩნევს. ნებისმიერი შემოქმედისათვის და, განსაკუთრებით, პოეტისთვის ლექსის თითოეულ სიტყვასა თუ ფრაზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მათში აქსოვს იგი თავის ფიქრებსა და განცდებს.

ვფიქრობთ, რომ ამ პატარა ლექს-მინიატურაში ერთი წინადადების დაკარგვით ირღვევა მისი მთლიანობა, მნიშვნელოვნად ზიანდება ავტორის პოეტური ჩანაფიქრი.

ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან საზოგადოებას წარვუდგინოთ ტერენტი გრანელის მინიატურის - „სიკვდილის შემდეგ“ სრული, დაუზიანებელი ტექსტი. აქვე შევთავაზოთ მისი ფრანგული თარგმანი, რომელიც შეასრულა საფრანგეთში მცხოვრებმა ემიგრანტმა ქალბატონმა - ეთერ გავაშელმა. ტერენტი გრანელის მინიატურა დაიბეჭდა ფრანგულ ლიტერატურულ კრებულში „CAFÉ - Collecte Aléatoire des Fragments Étrangers“ (2020) [„უცხოური ფრაგმენტების შემთხვევითი კრებული“]. ამ კრებულის მიზანია ფრანგი მკითხველისთვის უცხოური ლიტერატურის გაცნობა. კრებულის შემდგენლები უპირატესობას ანიჭებენ, ეგრეთ წოდებულ იშვიათ, ფართო საზოგადოებისთვის უცნობ ენებს, როგორებიცაა ქართული, სპარსული, ფინური, ტიბეტური, ბრეტონული და კიდევ სხვა მრავალი.

ეთერ გავაშელი დაიბადა 1977 წლის 4 ივნისს, თბილისში. დაამთავრა თბილისის 107-ე საშუალო სკოლა, 2000 წელს კი - ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფრანგული ენის სპეციალობით. 2001 წელს გაემგზავრა საფრანგეთში და სწავლა გააგრძელა ფრანგული ენის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამჟამად მოღვაწეობს ტურისტულ სფეროში.

ტერენტი გრანელის „სიკვდილის შემდეგ“ ეთერ გავაშელის პირველი თარგმანია. გვინდა, წარმატებები ვუსურვოთ მას მთარგმნელობით საქმიანობაში.



ნახატი ირაკლი თოიძისა

# ტერენტი ვრანელი

## სიკვდილის შემდეგ

დადგება ზამთარი...  
 მოკვდები ღამით გათენებისას, როდესაც გარეთ იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვა. სიკვდილის წინ მომაგონდება თბილისის ღამეები და ჩემი უნაზესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავდა მე ყოველთვის.  
 ასე გათავდება სინათლე, გაქრებიან მოგონებების წამები.  
 გადავეცემი სიკვდილის მდუმარე ხელებს. ჩემი წამებული სხეული შეუერთდება მსოფლიო ელემენტებს.  
 და მე ვიგრძნობ უმაღლეს მოსვენებას. ჩემი კუბო იქნება სადა. და პროცესია უცრემლო.  
 მე დამასაფლავებენ შუადღის 2 საათზე თბილისის ახლო.  
 ჩემი დაკრძალვის დღეს აიშლებიან ფერადი ღრუბლები და ამოვარდება შორეული გრიგალი.  
 ბალდახინი, რომელიც წაიღებს ჩემს ცხედარს, იქნება თეთრი და მოძველებული. პანაშვიდს გადამიხდის ვინმე უბრალო მღვდელი, რომელსაც არ ექნება ნაკითხული ჩემი სისხლიანი წიგნი „Memento mori“. არ შევცოდები მღვდელს, რომელსაც არ ეცოდინება ჩემი დაფერფილი სულის ისტორია. მხოლოდ ცხედართან მდგომ პოეტებს მოაგონდებათ ჩემს დანისლულ ლექსებიდან: სტრიქონები.  
 მოვა უიმედობა.  
 პანაშვიდი გათავდება ქარში. ჩემს ცხედარს ნელა ჩაუშვებენ სამარეში. და პირველ მიწას სახეში მომაცურის ვინმე უხეში მესაფლავე.  
 კუბოს ფიცარზე შეწყდება უკანასკნელი გუგუნი მიწის და ქვების.  
 პროცესია დაიშლება. მე და სიჩუმე დავრჩებით მარტო. გზაში ისაუბრებენ ჩემზე. დალამდება...  
 მე შემეშინდება მარტო სასაფლაოზე ღამით. დავტოვებ კუბოს, და ტანშიშველი გამოვიქცევი სამარიდან:  
 და გიჟივით ვიკვილებ, რომ მომეშველონ, რომ დამიფარონ.

არავინ იქნება ჩემი მხსნელი, ისევ დავეცემი, - თავს ვიგრძნობ სამარეში, და კვლავ მივეცემი ძილს დაუსრულებელს.  
 ნათელივით თავზე დამადგება ჩემი განუყრელი და - სიჩუმე.  
 დასაფლავებიდან სამი დღის შემდეგ თოვლით დაიფარება ჩემი სამარე.  
 თეთრად დასუდრული იქნება მთელი ქვეყანა. ის სოფელი, სადაც მე დავიბადე, დაემზგავსება უდაბნოს.  
 გაივლის ზამთარი წვიმით და ქარებით. დადგებიან გაზაფხულის დღეები. შეიფოთლება სასაფლაო.  
 კვირა დილით, როდესაც ყველა მლოცველისთვის გაიღება ეკლესიის კარები, ჩემ საფლავთან დაფიქრებული მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს, მოიგონებს ჩემს წამებას და შევეცოდები.  
 ასე გაივლიან საუკუნეები.  
 ჩემ საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის. ჩემ მიერ უხილავ საღამოს ბინდი დაფარავს მიწისებულ ლოდებს და ჩემი საფლავიც შეიმოსება სიბნელით.  
 წამოვა წვიმა, ქარიშხალი, და მოწყენილ საფლავზე დამაცურის ყვითელ ფოთლებს. ასე დროთა შავ წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე, ზედ წამოიზრდება ბალახი.  
 ზაფხულში საღამო დროს ჩემ საფლავს ჩაუვლიან თეთრად გამონყობილი ქალები, შორს სარკესთან უცნობი თითები დაუკრავენ როიალს.  
 დილა ადრეიან უიმედოთ იკვილებენ ორთქმავალები. მოვა კვირა დღე, და ჩემს ახლო დარეკავენ ზარებს, აანთებენ სანთლებს.  
 დაიღლებიან ხელაპყრობილი მლოცველები. წირვა გათავდება.  
 საყდარს დაკეტავენ, ხატები დამწყვდეულ ტუსალებივით დარჩებიან შიგ. და სასაფლაოს ჩხავილით გადაუფრენს ყვავი.  
 გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით.  
 და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი იქნება ჩემი უნაზესი და - სიჩუმე.



თერ გვავაშული

## « Après la mort »

### Terenti Graneli

Ce sera l'hiver...

Je mourrai la nuit, à l'aube, quand il y aura dehors la froide lune de l'hiver et le gel. Avant de mourir je me souviendrai des nuits de Tbilissi et de ma sœur la plus douce : ces deux feux réunis qui me consumaient sans cesse.

Ainsi s'achèvera la lumière, disparaîtra chaque seconde des souvenirs.

Je serai remis aux mains silencieuses de la mort.

Mon corps martyrisé rejoindra les éléments de l'univers.

Et je sentirai le repos suprême.

Mon cercueil sera sobre

et a procession sans larmes.

On m'entertera à quatorze heures près de Tbilissi.

Le jour de mon enterrement des nuages colorés s'amoncelleront et un vent violent se lèvera.

Le chariot qui emportera mon cadavre sera blanc et vieillot. Un simple prêtre qui n'aura pas lu mon sanglant recueil « Memento Mori », célébrera la messe de mes funérailles.

Le prêtre ne connaîtra pas l'histoire de mon âme réduite en cendres et n'aura pas pitié de moi.

Seuls les poètes debout auprès de ma dépouille se souviendront des vers de mes nébuleux poèmes.

Le désespoir arrivera.

La messe de mes funérailles s'achèvera dans le vent.

On descendra lentement ma dépouille dans la fosse.

Et c'est un fossoyeur brutal qui me jettera la première poignée de terre au visage.

Sur les planches du cercueil cessera l'ultime écho de la terre et des pierres.

La procession se dispersera.

Moi et le silence nous resterons seuls.

Ils parleront de moi sur le chemin du retour.

La nuit tombera...

J'aurai peur seul dans le cimetière, la nuit. J'abandonnerai le cercueil et m'enfuirai nu de ma tombe. Et je hurlerai comme un fou, pour que l'on m'aide, pour que l'on me protège.

Il n'y aura pas de sauveur. Je tomberai à nouveau, je me retrouverai dans la tombe et je m'abandonnerai au sommeil éternel.

Telle une lumière s'installera au-dessus de ma tête mon inséparable sœur – le silence.

Trois jours après l'enterrement, ma tombe sera couverte de neige.

Le pays entier sera drapé d'un linceul blanc.

Le village où je suis né ressemblera à un désert.

L'hiver et la pluie et les vents s'achèveront.

Les jours du printemps viendront.

De feuilles les arbres du cimetière se couvriront.

Un dimanche matin, quand la porte de l'église s'ouvrira à tous les fidèles, une femme songeuse s'approchera de ma tombe. Elle se souviendra de mon visage éprouvé, elle se souviendra de mon martyr et elle aura pitié de moi.

Ainsi défilèrent les siècles.

Le soleil des jours lointains se lèvera sur ma tombe.

Un soir que je ne verrai pas, le crépuscule enveloppera les grosses pierres oubliées et ma tombe se vêtira d'obscurité.

La pluie tombera, la tempête répandra des feuilles jaunes sur ma tombe. Ainsi les gouttes noires du temps couvriront ma tombe de mousse, l'herbe y poussera.

En été, le soir venu, les femmes habillées en blanc passeront à côté de ma tombe. Loin, devant un miroir, des doigts inconnus joueront sur le piano à queue.

A l'aube les trains à vapeur siffleront désespérément. Dimanche viendra et on sonnera les cloches près de moi, on allumera des bougies.

Les fidèles, les bras tendus vers le ciel, se fatigueront.

La messe se terminera.

On fermera l'église, les icônes resteront enfermées à l'intérieur comme des prisonniers. Et un corbeau survolera le cimetière en croassant.

Disparaîtront les yeux sous les lourdes nuits de pierre de Tbilissi.

Et le gardien éternel de ma tombe sera ma sœur la plus douce - le silence.



**ქართული ჟიურია**



**მარიამ მარჯანიშვილი**  
ფილოლოგიის დოქტორი

სიყვარული ადამიანთა მოდგმის უპირველესი ინსტიქტების უკეთილშობილესი სახეა. და, ნამდვილ ადამიანს სატრფოც ნამდვილი ადამიანი უნდა ჰყავდეს, რადგან ერთმანეთში ადამიანური ღირსების ურთიერთპატივისცემა ჰქმნის თანასწორობას, თანასწორობა კი - თავისუფლებისადმი ლტოლვასა და თავყვანისცემას.

მარტა ლეკულტრის სიყვარული ლეოსადმი იყო ყოველთვის მკვიდრი, ყოველთვის ნათელი და მშვიდი. როდესაც ეცნობი ლეო კერესელიძის ცხოვრება-მოღვაწეობას, კითხულობ მის ნაწერებს, ნაშრომებს ისტორიაში, კვლევებს იურისპრუდენციაში, თარგმანებს, პუბლიკაციებს, გიჩნდება სიამაყის გრძნობა, რომ არსებობენ პიროვნებანი, რომელნიც სწირავდნენ თავს სამშობლოს მომავლისათვის. ლეო კერესელიძის ასეთ თავგანწირვაში ლომის წილი მარტა ლეკულტრსაც ედო.

**როდესაც მე მსოფლიო ისტორიას ვკითხულობ და რომელიმე საგმირო საქმე ან მოვლენა მაოცებს, მე განწყობილი ვარ ზოგიერთ მათგანში ვიპოვო ქალი, როგორც ფარული მამოძრავებელი ძალა. ქალები მართავენ ქვეყნიერებას. ისინი ადგენენ ისტორიას. თუმცა ისტორიკოსმა მხოლოდ მამაკაცის სახელები იცის,- სამართლიანად აღნიშნავდა ჰაინრიხ ჰაინე.**

ამ ქეშმარიტებაზე დაყრდნობითა და დინების საწინააღმდეგოდ, ლეოს ჩრდილიდან დიდ ქართულ საქმეში მარტა ლეკულტრის თანამონაწილეობა მეტად თვალსაჩინოა.

ადამიანები მუდმივად ბედნიერებისკენ მიისწრაფვიან. ზოგს უმართლებს და პოულობს მზის სხივებს. ზოგს კი ხელიდან მაშინ უსხლტება, როცა ჰგონია, რომ მისგან მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებს. 1943 წელს ლეო კერესელიძე ბერლინის

# ქ/ხ/პ/ქ/ი ქ/ე/ო/ს კ/ვ/ე/ო

## კერესელიძეთა ეპისტოლეებში

დაბომბვისას ტრაგიკულად დაიღუპა და იქედან მოყოლებული სიცოცხლის სიხარულის მდინარე მარტასათვის ჭაობად იქცა. ნოსტალგია, ერთდროული სევდა და მონატრება, ოდესღაც დაკარგულზე უმძაფრებდა მას ვნებებს. იგი ათეული წელი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგა, რომელსაც თან სდევდა გრძნობა სისუსტისა და უძლურებისა.

ფსიქიკის სიღრმეში მოქცეული მისი რომანტიკული სული და მებრძოლი განწყობილება სევდის ზღვაში ჩაიძირა. ქალი წარსულის მირაჟებში ეძებდა ცხენთა ჭიხვინის ხმაზე ამხედრებულ ლეო კერესელიძეს.

„... რატომ არაფერს არ იწერები დედის სურათის შესახებ? ალბათ ძალიან შეიცვალა. დიახ! საწყალი დედა, მანამ მამა ცოცხალი იყო, ახალგაზრდა იყურებოდა მიუხედავად ამისა, რომ დედაჩვენი ჩვენი გულისათვის მეტად იმუშავა და იწვალა. მამა რომ მოკვდა, უცბათ დაბერდა და თუ კი არ მომკვდარა თითონ სევდით, ეს იმიტომ იცოდა, რომ მარტო მე სადღაც დავიკარგებოდი. მაგრამ დედის ცხოვრება ამის შემდეგ, ნამდვილი ჯოჯოხეთია... თუმცა მუდამ ხალხს შეხდება ღიმილით, მე მხოლოდ ვიცი როგორ იტანჯება... დედა ბიძა გოგიას სთხოვა ბევრჯერ მამის ახალგაზრდობის დროს სურათი, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ მივიღეთ. ომის დროს ის სურათი დავკარგეთ, მაგრამ სხვა გვაქვს გადაღებული, როცა ბავშვი ვიყავი“ (მარიამ კერესელიძე, 21.4.57 პერუ).

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მარტასა და მარიამ კერესელიძეს ცხოვრება გაუჭირდათ. ისინი ღვთის ანაბარად დარჩნენ: „ქუჩაში ვძინავდით... ჩემმა ბიძამ, (დედის მხრივ) ნაგიყვანა 1948 წელს შვაიცარიაში, უნივერსიტეტში ვსწავლობდი, თანაც ენებს ვასწავლიდი სკოლებში, მერე დავიწყე უნო-ში მუშაობა მთარგმნელათ და მანამდე კარგი ფული ვიგებდი... შენმა წერილმა მამის სურათით ვერ წარმოიდგენ თუ როგორ იმოქმედა ჩემზე! თანაც მეჩქარებოდა, მინდოდა მალე დავბრუნე მანკორაში (ტალარიდან მოშორებულია 80 კილომეტრით) რომ დედას სურათი ჩამებარა. რომ იცოდე თუ რა მადლობელია, დედისთვის და ჩემთვისაც ყველაზე ძვირფასი არის მამის სურათი“ (მარიამ კერესელიძე, 30.7.57 პერუ).

შორეულ სამხრეთ ამერიკაში სამშობლოს განშორებული მარტა ლეკულტრი მთელ თავის სიცოცხლეში ტიროდა. სძაგდა სიტყვა „უსამშობლო



ადამიანი“. იგი უმამულოდ და ეულად დარჩენილი მეუღლის მაგივრადაც ტიროდა. ახლაც ყურში ჩაესმოდა ლეოს სიტყვები: „**არ არსებობს ბედნიერება, მარტა, სამშობლოს გარეშე...**“

„მამა ჩემმა სულ ამბობდა: „მე ვერ ვეღირსები საქართველოში დაბრუნება, მაგრამ თქვენ კი დაბრუნდებითო!“ არ ვიცი როგორ მოხდება, მაგრამ გული მეუბნება, რომ მოხდება, რომ მე და დედა დავბრუნდებით და რომ შევხვდებით ერთმანეთს! 22 ნოვემბერს 1943 წელს მამილომ გვითხრა, რომ სიზმარში ნახო თავის თავი თეთრად ჩაცმული და მთელი ნათესავები დედ-მამა, რომელიც მოკვდენ შავი ტანისამოსით და გვითხრა „ცუდია, მალე მოვკვდებითო!“ 23-ში დაიღუპა“ **(მარიამ კერესელიძე, 30.8.56 პერუ).**

მარტა ლეკულტრი სევდის გავლენით საკუთარ სამყაროში ჩაიკეტა და გარემოს სინამდვილეს მოშორდა. საერთოდ, სევდის მიერ შექმნილი სულიერი განწყობილება თავისი ხასიათით მარცხის კომპლექსს უკავშირდება, რაც ადამიანს წარმატების მიღწევის ყველა საშუალებას ართმევს და ამით ბრძოლისათვის გამოუსადეგრად ხდის.

„ძალიან ღმად იმოქმედა დედაზე, ნოდარმა ჩემი მამის სახელი რომ დაარქვა უმცროს ვაჟიშვილს... გთხოვ, ჩვენზე არ იდარდო ჩემო კარგო, არ გვიჭირს, მაგრამ არ გეგონო რო არ ვიცი თუ რა არის გაჭირვება! 6 წლისა ვიყავი, როცა დავინახე საწყალი დედა, როგორ წაიქცა უგროშოთ შიმშილის გამო. მამა მაშინ ძალიან ავად იყო... შემდეგ რამოდენიმე წელიწადი უკან, მე და დედა დიდი ხანი გარეთ დავიძინეთ და ლუკმა პურიც კი არა გვქონდა. ეხლა არაფერი არ გვიჭირს“ **(მარიამ კერესელიძე, 13.12.56 მანკორა).**

აღიარებულია, რომ სევდა უფრო მავნეა, ვიდრე ტკივილი, რადგანაც იგი ადამიანის მიერ თავისად მიჩნეულია. და სევდა სრულყოფილი ნეგატიური ქცევაა. იგი იმთავითვე სიკვდილისა და არარაობის მიღებაა. მარტას თავისუფლებადაკარგული, ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოსა და მეუღლის ტრაგიკულმა ხვედრმა სიცოცხლის ყოველგვარი ხალისი დაუხშო, რომელსაც ზედ დაერთო ევროპიდან დევნილობა და შორეულ პერუში გადახვეწა.

ახლობლები ნუხდნენ მარტასა და მარიამის ცხოვრების მძიმე ხვედრზე: „მართასა და მუმუნის (მარიამი) წერილი დიდი ხანია არ მომსვლია. მეც ვერ ვწერდი ამ ბოლო დროს, ვიცი უჭირთ და მე კი, სამწუხაროდ, არ ძალმიძს დავეხმარო“ **(გიორგი კერესელიძე, 20 მკათათვე, 1956, ვებინე).** „დიდი ხანია მართასი და მარიამის ცნობა არ მქონდა. იმ დღეს, როცა შენი წერილი მივიღე, იმათი წერილიც მომივიდა. ფიზიკურად კარგად არიან, მატერიალურად კი გაჭირვებაში **(გიორგი კერესელიძე, 6 მარტი 1959 ვებინე).** „არც მართასი და მარიამის პასუხი



დედა-შვილი მარიამ კერესელიძე და მართა ლეკულტრი-კერესელიძისა

მაქვს, აგერ ორ თვეზე მეტია. რა მოუვიდათ“ **(გიორგი კერესელიძე, 9 ქრისტობობისთვე, 1959, ვებინე).**

„მარტასი და მარიამის არა ვიცი რა... ვშიშობ, რომ მარიამის თეატრის პიესას დიდი გამოძახილი არა ჰქონდა, თორემ მახარებდნენ. რა მოელით იმ საწყლებს - ალლაჰ ბილურ! იმედი დიდი მქონდა: ჩემს საქმეს ისე მოვანყო, ვფიქრობდი, რომ გასაჭირიდან გამოვიყვან-მეთქი. სამწუხაროთ სულ სხვანაირად დატრიალდა ჩემი ბედის ჩარხი. **(გიორგი კერესელიძე, 8 ღვინობისთვე, 1958, ვებინე).**

ცნობილია, რომ მარიამ კერესელიძემ პერუში ცხოვრებისა და მოღვაწეობისას, 38 წლისამ, ესპანურ ენაზე დანერა პიესა „მაიტა“, რომლის შესახებ იგი მამიდას, ელენე გლურჯიძეს, თბილისში წერდა: „სექტემბრის თვეში აქ პირველ თეატრში დგამენ ჩემს პირველ პიესას - დრამას ესპანურად დაწერილს. გიგზავნი გაზეთს, სადაც იწერება, რომ ქართველი ვარ. ჩემი პსევდონიმია - ლეო კერელი!... ეს დრამა პერუს ცხოვრებიდან არის აღებული. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი პიესა „მაიტა“ მიიღებენ თბილისშიც და მოსკოვშიც და ეს იქნება დიდი საშუალება ჩვენი შეხვედრისა“ **(მარიამ კერესელიძე 03.07.1960 პერუ).**

დედა-შვილი, როგორც წყალწაღებული ხავს, ისე ეჭიდებოდენ იმედს, რომ ამ პიესების საშუალებით მოხვდებოდნენ საქართველოში, რითაც აღასრულებდენ ლეო კერესელიძის უკანასკნელ ანდერძსა თუ თხოვნას: „მე და დედის ოცნება ეს არის, რომ დავბრუნდეთ საქართველოში, რას იტყვი? ამ იმედით, ამ ოცნებით, მინდა როგორმე ფული მოვიგო, და იმედია, მოვახერხებ კიდევაც“ **(მარიამ კერესელიძე 30.07.57 პერუ).**

ახლობლები მარიამ კერესელიძის წერილე-



ბიდან აშკარად გრძნობდნენ, რომ მართას სევდის გამო ხელი ყველაფერზე ალებული ჰქონდა და მისი სასოწარკვეთაც აქედან მომდინარეობდა. „რა კეთილი და მგრძობიარე ადამიანი ხარ, ჩემო კარგო, რომ იშოვე მამის სურათი და გვიგზავნე. დედასთვის სიცოცხლეა. უკანასკნელი სურათი ნესტორთან რა კარგია! და ისიც რომელიც ბიძა გოგიას გაგიგზავნია, ძალიან ლამაზია! როცა ფული მექნება გადავიღებ დედასთან ერთად სურათს და გაგიგზავნებ. რომ იცოდე რა სიყვარულით დედა მესაუბრება სულ მუდამ შენზე და სხვა ნათესავებზე, ვერ წარმოიდგენ...“ **(მარიამ კერესელიძე 25.9.1957 პერუ).**

დედა-შვილი თავდაპირველად პერუს სხვადასხვა სოფელში ცხოვრობდა. ბოლოს დედაქალაქში იპოვეს თავშესაფარი. „მშვენიერ პენსიონში მოვანყეთ თავს, ორი ოთახი გვაქვს და საკუთარი აბანო, კვება კარგია. და შედარებით ყველაფერი იაფია“ **(მარიამ კერესელიძე 23.8.1957 პერუ).**

„საწყალი დედაჩემი ცუდად გახდა, როცა მიიღო ამბავი ბიძა გოგიას სიკვდილისა. იგი ძლიერ უყვარდა, რადგან მამის ძმა იყო და მონმე იმისი ბედნიერების მამასთან ერთად... საწყალი ბიძა გოგია, იმანაც სამშობლოს სიტკბო არ ეღირსა კიდეც და ისევ დაიღუპა საზღვარგარეთ, როგორც მამა, როგორც ბევრი ქართველი ადამიანი“ **(მარიამ კერესელიძე 1.10.1960 პერუ).**

„შენ ვერ წარმოიდგენ რას ნიშნავს ჩემთვის და დედისთვის შენი ამბის გაგება. მე სიმართლე გითხრა, რომ დედა არა მყოლიყო იქნებ თავს მოვიკლა ვდი 10 წლის უკან. აქ არაფრისი გემო არ მაქვს, მკვდარივით დავდივარ, ჩემი გული და ოცნება კი მანდ არის, თქვენთან, მაგრამ ეხლა ჩემი ცხოვრება შეიცვალა, მე რაღაც იმედი მაქვს და ამ იმედით ვცოცხლობ“ **(მარიამ კერესელიძე 16.10.1956 პერუ).**

„დედა უნდოდა მიგიწერია და დაიწყე, მაგრამ ამდენათ დაგლოვებული იყო, რომ ვერ შეძლო და 24 საათი თავის ტკივილით იწვა. დედის ნერვები ძალიან შეუშინდა იმის აქეთ რაც ძვირფასი მამილო დაიკარგა, თუმცა ვერ შეატყობ ვერავინ ვინაითგან მაგარი ნებისყოფიანი ადამიანია, მაგრამ ყველაფერი, რასაც მამა შეეხება ძლიერ მოქმედებს იმაზე, მით უმეტეს შენს შესახებ. შენ ხომ იცი თუ როგორ უყვარხარ“ **(მარიამ კერესელიძე 19.9.1956 პერუ).**

თავისუფლებისმოყვარე მშვენიერი შვეიცარიელი ქალის, მარტა ლეკულტრის ცხოვრების კარუსელი შორეულ პერუში გაჩერდა: „დედა ძალიან ცუდათ იყო გულით, კინალამ მოკვდა... მაგრამ ეხლა კარგად არის და გამოკეთდა. მეც, ეხლა, კარგად ვარ. 5 წელიწადი ვიმუშავე უნივერსიტეტში როგორ ფროფესორი, ეხლა კულტურულ საქმეში ვმუშაობ“ **(მარიამ კერესელიძე 27.1.74 ტოლერმო).**

ნერილის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, 1975

წელს, მარტა ლეკულტრი პერუში გარდაიცვალა. იგი ლამაზ ოცნებასა და სასტიკ სინამდვილეს შორის უფსკრულში აღმოჩნდა. ვერც ოცნებად ქცეულ საქართველოს ხილვას ეღირსა და ვერც მის თავისუფლებას. თუმცა საქართველოს სიყვარულმა აუნთო გულში წმინდა სანთელი. ლეოსა და მარტას თანაცხოვრება თითქმის 30 წელს გაგრძელდა და ამდენივე წელს იყო იგი ქვრივი. მარტას ცხოვრება ჰგავდა მწარე სიზმარს, რომლიდანაც გამოსვლა, გამოფხიზლება ბევრი წვალეების მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო.

**ყველა ადამიანი მონაწილეობს ისტორიის შექმნაში. მარტა ლეკულტრი იყო ის თავისუფალი ევროპელი ქალი, რომელიც დამოუკიდებლად აზროვნებდა და ერთი რამ ღრმად სწამდა, რომ მთელი სიცოცხლე და მთელი ძალები უნდა შესწირო სამყაროში ყველაზე მშვენიერი ბრძოლისათვის, რომელსაც კაცობრიობის განთავისუფლება ჰქვია.**

რამდენად გამოუვიდა საქართველოს მაგალითზე პირადად მას ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენა, ეს არც თუ ისე ძნელი დასადასტურებელია, რადგან ემიგრაციამ, ასე თუ ისე, მაინც წინ წასწია ჩვენი ქვეყნის საქმე, რითაც თავიანთ მიზანმიმართულ და შინაარსიან სიცოცხლეზე სამარადისო ხსოვნა დატოვეს.

მარტასა და ლეოს სიყვარულმა, კიდეც ერთხელ ცხადყო, რომ ადამიანთა ბუნება ყველგან ერთია. ამბობენ, რომ ქართველი ქალივით ერთგული ცოლი არსად არ მოიპოვება, მაგრამ ამ სიყვარულის ისტორიამ სულ სხვა რამ გვითხრა. მარტა ლეკულტრისათვის ლეო იყო მისი სიცოცხლის სიცოცხლე. იგი მთლიანად ქმრის მოვლა-პატრონობით, მისი საქმიანობისა თუ მოღვაწეობის თანადგომით იყო გატაცებული. ყოველ მის ქმედებაში ლეო კერესელიძის გაღმერთება იგრძნობა. როცა მის ქცევასა თუ ხასიათზე, თავდადებასა თუ ერთგულებაზე წერილებში კითხულობ, ყოველი შტრიხი ერთ რამეში აშკარად გარწმუნებს: თუ ქალის სიყვარულს წინ არაფერი ელობება, იგი უეჭველად გაღმერთებაში გადაიზრდება. მაგრამ იქ, სადაც ბატონობს მერკანტილური ურთიერთობა და ცხოვრების ამოება, გულწრფელი სიყვარული ქრება და ქალის ბუნება უმაღლეს სრულყოფილ ნეტარებამდე ვერ ადის.

მარტა ლეკულტრმა უსაზღვრო მარტობაში უკვდავყო ლეო კერესელიძის სიყვარული და მის ღრმა დუმილში შენახული ერთგულება. მათი დრამატული განცდების სამყარო სიყვარულის ანაბანაზე არა მარტო ერთი მშვენიერი წიგნია, არამედ მათ ურთიერთობაში ბევრი ისტორიული მოვლენაცაა წარმოჩენილი.

დასასრული. დასაწყისი იხ.

“საქართველოს ბიბლიოთეკა”, 2020, N2.



**რაცნაზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები**



**ქეთი გახოვია**  
ხელოვნებათმცოდნე

წარმოსახვას მაგიური ძალა აქვს, გონება მარ-  
ნუხებში გამოიმწყვდიოს და გამოგონილი სამყა-  
როს რეალობაში დაარწმუნოს. და ის, რაც წარმო-  
სახვითია, ყოველთვის გაცილებით ნამდვილია,  
ვიდრე თავად სინამდვილე და ალბათ ამიტომ ხდე-  
ბა, რომ გამოგონილი პერსონაჟებიც იმაზე დიდხანს  
ცოცხლობენ, ვიდრე რეალური ადამიანები.

ასეა თუ ისე, როგორც ამერიკელი იმაჟისტი პო-  
ეტი უილიამ კარლოს უილიამსი იტყოდა, ცოცხ-  
ლობ მანამ, ვიდრე ცოცხლობს წარმოსახვა და  
კვდები მაშინ, როცა ისიც კვდება. და ჩვენც ვცოცხ-  
ლობთ მაშინ, როცა საკუთარი სურვილების ბადეში  
გახლართულნი, წარმოსახვით სამყაროში ამ სურ-  
ვილების ჩრდილებისა და აჩრდილების დევნას  
ვინყებთ, მერე თამაშის საკუთარ წესებს ვქმნით და  
ჩვენს ყველა მოქმედებას გამოგონილი სამყაროს  
კანონებს ვუმორჩილებთ.

**მაგრამ წარმოსახვა, რომელიც ყველა შესაძ-  
ლებლობის, ყველა ზღვარს მიღმა დგას, ისე-  
თივე სახიფათო და საშიშია, როგორც ნებისმიერი  
რამ, რაც თავისი არსით ზღვარდაუდებელია და  
განსაკუთრებით სახიფათოა მაშინ, როცა საქმე  
სიყვარულს ეხება.**

გასაგებია. შეყვარებული იყო, წინასწარ გვაფ-  
რთხილებს ჰენრი ჯეიმზის ნოველის, მარნუხების  
პირველი უსახელო მთხრობელი, რომელიც ბუხარ-  
თან მჭდომი, შობის დადგომამდე, მოჩვენებების  
ამბებს ისმენს და ამბის მეორე, ჩარჩო მთხობელს,  
დაგლასს გვაცნობს, რომელმაც, თავის მხრივ,  
ხელნაწერის ფურცლებში გამოკეტილი და სიტყვე-  
ბად დანაკუნებული ამბავი უნდა წაგვიკითხოს იმ  
მოჩვენებადქცეული ქალისა, რომელიც ოდესღაც

*მარნუხები მქსეული ვანუბა*

წამოსახვით სამყაროში საკუთარ აჩრდილებსა და  
მოჩვენებებს აედევნა.

ცხოვრება აჩრდილებისგან შედგება და ყოველი  
დღე წარმოსახვით მოჩვენებებთან ბრძოლაა...

წარმოსახვას ებრძოდა მის მარნუხებში გამო-  
მწყვდეული მთავარი ამბის უსახელო მთხრობე-  
ლიც, სოფლიდან სამსახურის საშოვნელად ლონ-  
დონში ჩამოსული, ღარიბი პასტორის ოცი წლის  
ქალიშვილი, რომელიც ჰარლეი სტრიტზე თავის  
მომავალ ბატონს, ახალგაზრდა, დახვეწილ, საოც-  
რად გალანტურ და მდიდარ ინგლისელ კაცს შეხვ-  
და და სადღაც კონკიას აჩრდილიც გაკრთა.

მიუწვდომლობა ვნებას სილამაზეს ანიჭებს და  
კაცმა, რომელიც მხოლოდ ორჯერ ჰყავდა ნანახი,  
პროვინციელი, გულუბრყვილო გოგოს ყველა ფიქ-  
რი შეავსო და გაუსურვილდა.

ბლასის მამულში, კაცის ობოლი ძმიშვილების  
გუვერნანტად, ორი მცირეწლოვანი ბავშვის აღმ-  
ზრდელად განწესებულმა ცხოვრებაში პირველად  
იგრძნო ძალაუფლების გემო, სიმდიდრის ხიბლი,  
საკუთარი გამოსახულება კედლის სარკეში თავი-  
დან ბოლომდე პირველად შეათვალიერა და თავი  
ზღაპრულ ციხესიმაგრეში მცხოვრებ პრინცესად  
წარმოედგინა, ზღაპრებში აღწერილი სამყაროს ნა-  
წილად.

და ნოველაში არკადიის, ბედნიერი სოფლის  
ხატი გაკრთა. ...

**წარმოსახვას აქვს თავისებურება - მისი სიმ-  
დაფრე და სინამდვილე სხეულში ემოციებად  
მიედინება და კანზე გამოყრილი ხორკლებივით  
იგრძნობა.**

და გოგონა, რომელიც ბლასის მამულში, თავისი  
ბატონისგან გამანძილებული, ბატონზე ფიქრითა  
და წარმოსახვით ცხოვრობს, მის ერთადერთ კა-  
ნონს ემორჩილება: „დამქირავებელი არასდროს  
უნდა შეეწუხებინა, არასდროს - აღარასოდეს: არც  
რჩევისთვის მიემართა, არც საჩივრელად, არავი-  
თარი მიზეზით არ უნდა მიეწერა; ყველა საკითხის  
გადაწყვეტა თავის თავზე უნდა აედო, სანდო პი-  
რისგან მიღებული ფული სათანადოდ უნდა გაენა-  
წილებინა და დამქირავებლისთვის თავი დაენებე-  
ბინა“.

ემორჩილება, მაგრამ საღამოობით, როცა თავისუფლების, ჰაერის, სივრცის, ზაფხულის მუსიკისა და ბუნების ხმებს გრძნობს, წარმოსახვით ისევ ჰარლეი სტრიტზე მცხოვრებ ჯენმეტლმენს დასტ-



რიალებს, მისი სურვილის აღმსრულებელს თავი ღირსეულ, გამორჩეულ ქალად წარმოუდგენია და ერთადერთს ნატრობს: „რა იქნებოდა, ერთხელ მაინც ეფიქრა ჩემზე!“

და ახალგაზრდა, გამოუცდელ ქალს, რომელსაც უზომოდ უნდა ყურადღება მიიპყროს; ახალგაზრდა, რომანტიკოს ქალს, რომელიც კონკიას როლზე ოცნებობს, უნდა რაღაც საგმირო საქმე ჩაიდინოს, სამყარო კაცის გამო შეაწრაფლოს, მის საყრდენად, იმედად იქცეს, მის თვალში მნიშვნელობა შეიძინოს და მისი წილი ყურადღების ნაკუნს დახარბებული დასწვდეს. კაცი კი დუმს და ქალის სხეულში გამომწყვდეულ სიტყვებსაც ახშობს.

და ქალი, რომელიც ბატონის ნახვაზე ოცნებობს, ბლაის მამულში, ხეობაში ჩამოცვენილ ფოთლებსა და ტბის სიღრმეებში, სახლის ქონგურენიან კედლებსა და სალამოს ბინდში ხის აცახცახებულ ჩრდილებს შორის, ქვეცნობიერად იმ სახიფათო ამბავს დაეძებს, რომელიც კაცთან წერილის მისაწერად უბიძგებს...

**წარმოსახვა გონების ძალაუფლებაა, ქაოსი შექმნას სრულიად მოწესრიგებულ სამყაროში და ეს სამყარო საკუთარი გონების წესებით მართოს.**

და რომანტიკოსმა გოგონამ, რომელსაც ძალიან ბევრი წაუკითხავს და რომელიც ალბათ ფილდინგის, რიჩარდსონის, ჯეინ ოსტინისა და ჯეინ ეარის რომანებით გაიზარდა, სამყაროს კეთილი საწყისების, ამბის ბედნიერი დასასრულის იწამა და საკუთარ მდიდარ ფანტაზიას მიენდო.

წარმოსახვა სურვილების ნაყოფია, და ყველაფერი რაც წარმოსახვითია, ნამდვილიაო უთქვამს პიკასოს. ასე აღმოცენდა გოგონას ქვეცნობიერი სურვილებიდან მოჩვენებების გოთიკური ამბავი, მერე ყლორტები ამოყარა, გაიტოტა, გაიშალა, გონება მარნუხებში მოაქცია და თავისი სიმძაფრითა და მნიშვნელობით ერთადერთ, ნამდვილ რეალობად იქცა. იმ რეალობად, რომლის გამხელაც ბატონისთვის ესურვილებოდა...


ასე დაიწყო... კაცისადმი წერილის მიწერისა და საკუთარი მნიშვნელობის გაუცნობიერებელმა სურვილმა წარმოსახვა დააბა, განწყობა შექმნა და ახალგაზრდა გუვერნანტმა გონებით გამოგონილი ამბის სინამდვილე იწამა: სოფლის მამულის ბნელ კედლებში გამოკეტილი აჩრდილები დაინახა, განთიადის რუხი სინათლის ფონზე მათ სხეულებს აედევნა, მათ სილუეტებს ჩაუსაფრდა, ხიფათი იგრძნო, ბავშვების გადარჩენის გზების ძიება დაიწყო და საკუთარ თავს ამბავი გამოუგონა.

მაგრამ, წარმოსახვა რომელიც მისი მძაფრი ცხოვრების წყარო გახდა, სხვისთვის სატანჯველად და შიშად იქცა. აჩრდილები არასდროს უნა-



ჰენრი ჯეიმზი

ხავს სახლის მსახურსა და ბავშვების მეგობარს, უკვე ხანშიშესულ, მსუქან, უნიგნურ, მაგრამ გულკეთილ მისის გროუზს, რომელიც მხოლოდ მასზე განათლებული გუვერნანტის წარმოდგენებსა და სიტყვებს ენდობა. მაგრამ ვერ ხედავს, ვერ გრძნობს



მარნუხებში





და მისი გაოგნებული მზერა, რომელიც ტექსტში გოგონას მოსმენისას ჩნდება, ამბის სინამდვილეს ეჭვქვეშ აყენებს. „რა გემართებათ, როგორ შეიცვალეთ!“-ეუბნება ტბასთან ყოფნისას, როცა გუვერნანტი საკუთარი დამახინჯებული წარმოსახვის მარწუხებში მომწყვდეული, პატარა აღსაზრდელს აშინებს და მკვდარი, მანკიერი ადამიანების აჩრდილთა მხარდაჭერაში ადანაშაულებს.

ზეგავლენა დიდი... შოკი უფრო დიდი... და ბავშვის სათუთი, ნაზი სხეული სიცხისა და შიშისგან ვარვარებს...

და თუ წერილს ვერ მისწერს, მაშინ კაცთან სიცხით გათანგულს ბავშვს გაგზავნის, „აქედან შორს, ყველაფრისგან შორს, პირდაპირ ბიძამისთან“, მხოლოდ იმისთვის რომ მასზე შესჩივლოს... მხოლოდ იმისთვის, რომ ამბის მოყოლის საშუალება მიეცეს, თავი შეახსენოს, მის დახშულ ფიქრებში შეაღწიოს და ხმა გააგონოს...

თავად კი მარტო რჩება მეორე აღსაზრდელთან, სკოლის ასაკის ბიჭუნასთან, რომლის ორაზროვანი სიტყვების მიღმა ყოველთვის საკუთარი, გამოგონილი ამბის არგუმენტებს პოულობს; ფაქტებს ამახინჯებს იქ, სადაც ბავშვური გულბრყვილობა და სინწრფელეა; მოჩვენებების მოკავშირეობაში ადანაშაულებს ბიჭს (მაილზს), რომელიც ღამით ეზოში მხოლოდ წიგნის საკითხავადაა გასული; ბატონისადმი მიწერილი წერილის მოპარვაში ავსულისაგან დაუფლებული ადამიანის ქმედებას ხედავს და არა შეშინებული ბავშვის ინტერესს, გაიგონ რას წერენ მასზე; მაილზის პიანინოზე დაკვრა მისთვის ეშმაკისეულ აჩრდილთა კიდევ ერთი

ხაფანგია, რომელიც ბიჭის სულს დაჰპატრონებია. არადა, ყველაფერი დღესავით ნათელი და მზესავით კაშკაშაა. წარმოსახვა თრთის და მის აჩრდილქვეშ გამოგონილი მოჩვენებები დაეხეტებიან...

მაგრამ დამახინჯებული წარმოსახვა, უძირო სურვილზე კონცენტრირებული გონება, რომელიც განსხვავებულ რეალობას ჰქმნის, საშიში და დამლუპველია. ამიტომაც ეწირება გუვერნანტის წარმოდგენებს მაილზის სიცოცხლე, შიშით ათრთოლებული პატარა გული, რომელსაც ღამით, დიდ, ცარიელ მამულში ყოფნისას, მასწავლებელი მოჩვენებებს „აჩვენებს“ და მათ სიახლოვეში არწმუნებს...

და სამყაროში იქნებ არც არაფერია რეალური და ჩვენც ყველანი ჩვენს გამოგონილ მოჩვენებებს დავდევთ?

და ხელნაწერად ქცეულ ამ უსათაურო, გოთიკურ ამბავს, რომელიც წლების შემდეგ „მეტისმეტად მძიმე ტვირთი გახდება“, გოგონა სიტყვებად დაანაწილებს, ბგერებად დაშლის და დაგლასს აღსარებასავით ჩააბარებს; კაცს, რომელიც ამბის ჩარჩო მთხრობელად იქცევა და შობის წინა დღეებში, ბუხრის წინ, სალამოს ბინდში ხელნაწერის კითხვას დაიწყებს.

მაშ ასე: „ამ ამბის დასაწყისს ვიხსენებ, როგორც.....“

ჰოდა, დროა გავიხსენოთ ჰენრი ჯეიმზის შესანიშნავი ნოველა „მარწუხებში“, რომელიც ქართულად ეკატერინე სუმბათაშვილმა თარგმნა და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობით დაიბეჭდა.



# „ჩანი უართ ახლა“



ალექსანდრე ლორია

„მე ერთი მოქალაქე, ქართველი, ვცხოვრობ ჩემს ქალაქში და აქედან, არა მარტო ჩემი თვალთ, არამედ აქაური მოქალაქის თვალთ ვუცქერ ჩემს ქალაქს, ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ყოფას, და არა მარტო აქედან, მთელი საქართველოს ყოველი მხრიდან, ყოველი რეგიონიდან, მთიდან თუ ბარიდან, რაიონიდან თუ სოფლიდან, უბნიდან თუ ქუჩიდან“... - ეს სიტყვები ეკუთვნის ქალბატონ გულნარა სტურუას - პროფესიონალ ჟურნალისტს, ბიბლიოთეკომცოდნე-მეთოდისტსა და პოლიტიკური თვალსაზრისით განმონასწორებულ მოქალაქეს. მისი სიტყვები ნათლად გვიჩვენებს თავის დამოკიდებულებას ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობის მიმართ, იმას, თუ რა წარმოადგენს მის მოწოდებას, რისთვის იღვწის, როგორი სიღრმისეულად ხედავს რეალობას.

გულნარა სტურუა ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული ჟურნალისტია, რომელსაც არა აქვს ვინროდ შემოზღუდული თემატიკა. იგი ეხება ჩვენს ახალგაზრდობას, მათი აღზრდის საკითხებს, სასკოლო პრობლემებს, ქვეყნის წარსულსა და ახლანდელს, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, მოქალაქეობრიობას, ჩვენს მომავალს, ჩვენს ენას, თავისუფლებას, სამოქალაქო უფლებებს, ზნეობრივ და ესთეტიკურ საკითხებს, ჩვენს კულტურასა და განათლებას... და ყოველივე ეს გამსჭვალულია პატრიოტული განცდებით.

ათეული წლებია, რაც ქალბატონი გულნარა ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა. საქართველოს მრავალ გაზეთსა და ჟურნალში იბეჭდება მისი სტატიები, რომლებიც ყოველთვის გამოირჩევა საქმის ღრმა ცოდნით, აქტუალობით, საინტერესო შენიშვნებითა და დასკვნებით. მისი ხელწერა დაახლოებულია ხალხის მოთხოვნილებებსა და პუბლიცისტურ ნორმებთან, ყველასათვის გასაგები, მისაღები, მოქნილი და ტრადიციული. ამავდროს გამოირჩევა ინდივიდუალური თავისებურებებითა და სიახლის მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

დიდი ხანი არაა, რაც გამომცემლობა „სვეტმა“ გამოაქვეყნა გულნარა სტურუას პუბლიცისტური

წერილებისა და ნარკვევების კრებული ერთ წიგნად, მეტად დამაფიქრებელი სათაურით - „ჩანი ვართ ახლა“.

ძალიან ძნელია ერთ კრებულში თავმოყრილი ასეთი მრავალთემატური მასალის სრულყოფილად შეფასება, ერთიანი კრიტიკული ანალიზის გაკეთება, მით უმეტეს - ამგვარი უხვევრდიანი წიგნისა (382 გვ.), და ეს არც მაქვს მიზნად დასახული. მსურს აღვნიშნო, საერთოდ, ამ ფაქტის უაღრესად დიდი მნიშვნელობა, მით უფრო, რომ ავტორი აქ იძლევა მრავალ საინტერესო შეხედულებას, გვიზიარებს თავის მოსაზრებებს, მოვლენების შეფასებებს და, რაც მთავარია, ჩაგვაფიქრებს ჩვენი ცხოვრების ავკარგზე.

თვალსაჩინო ქალბატონი გულნარა საბიბლიოთეკო დარგის თვლსაჩინო მოღვაწეა და, ცხადია, მისი შეხედულებები ამ მიმართულებით განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი პროფესიონალი მკითხველისათვის. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ორი სტატია: „სულ სხვა ძალითა და ხიბლით“ და „ხანგრძლივი სიცოცხლე - საქართველოს ბიბლიოთეკას“. ეს სტატიები ეხება ჩვენს ჟურნალს, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრიცაა თვითონ.

მინდა მადლიერების გრძნობით აღვნიშნო ქალბატონ გულნარას დიდი ღვაწლი, როგორც ავტორისა და მეთოდოლოგის. ვულოცავ მას მშვენიერი კრებულის გამოცემას. დიდი ინტერესით მოველი მის შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.





**ხედოვნება**



**ზაურ მირიანაშვილი**  
კინომცოდნე

თითქმის ყველა ქვეყნის კულტურის ისტორიაში, რომელსაც კინემატოგრაფიის ტრადიცია აქვს, მოიძებნება პიროვნება ხელოვნების ამ დარგის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების სასიკეთოდ შემცვლელი. ჩვენი ხალხი „უპოვართა მუზად“ მოიხსენიებდა ახალ გასართობს, ქართულ კინოში ნატო ვაჩნაძის გამოჩენამდე. მაშინ სულაც არ ითვლებოდა კარგ ტონად კინოსუენაზე დასწრება. ნატო ვაჩნაძე ერთმანეთის მიყოლებით დაამტკიცეს როლებზე ფილმებში: „მამის მკვლეელი“ და „არსენა ყაჩალი“. ამ ფილმების ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, ხალხის რაოდენობამ იმატა თბილისსა და საბჭოეთის სხვა ქალაქებში არსებულ კინოთეატრებში, „სამი სიცოცხლის“ ჩვენებიდან, ანშლაგებით მიმდინარეობდა საბჭოთა კინორეჟისორების ფილმები ლეგენდადქცეული ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით. ამის გამო, მსახიობის სახელსა და გვარს უფრო მსხვილი შრიფტით წერდნენ აფიშებზე, ვიდრე ფილმის სათაურს. ნატო ვაჩნაძემ ჰოლივუდური დიდება მოიპოვა კარიერის მწვერვალზე. 1920-30-იან წლებში ის საბჭოთა კინოს მეგავარსკვლავი გახდა. ნატოს სამსახიობო კარიერა კი ასე დაიწყო: 1922 წელს თბილისში, ცნობილი ფოტოგრაფის, შიხმანის, ფოტოატელიეს ვიტრინაში ნანახმა სურათმა მოხიბლა ამო ბეკ-ნაზაროვი, ფილმ „მამის მკვლელის“ რეჟისორი. მისი დავალებით, მეორე რეჟისორმა, შაქრო ბერიშვილმა, გაიგო ნატოს მისამართი, სურათიანად ჩავიდა გურჯაანში, კითხვა-კითხვით მიაგნო მის მშობლიურ სახლს და 19 წლის გოგონას ფილმში თამაში შესთავაზა.

იმხანად ნატო გათხოვილი იყო სოფელ კოლაგში, მერაბ ვაჩნაძეზე. მაშინდელი ახალგაზრდა გოგონების ერთ-ერთ გასართობს მატარებლის სადგურზე გასეირნება წარმოადგენდა. ლამაზად გამოწყობილნი ხვდებოდნენ ხოლმე ბაქანზე ჩამომდგარ მატარებელს, როგორც ახალი ამბების

# ეკუნებს მიღმა ასე

## ისტორიული კახური მამული, სადაც თავად ნატო ვაჩნაძე გიმასპინძლებთ

გასაგებად, ისე ახალი მეგობრების შესაძენად. სწორედ ასე გაიცნო გურჯაანში სასიამოვნო გარეგნობის მერაბ ვაჩნაძე ნატომ, ერთ-ერთ ზაფხულს, მშობლებთან დასასვენებლად ჩასულმა. მალე ცოლად გაჰყვა ვაჩნაძეს ნატო ანდრონიკაშვილი და მთელი სიცოცხლის განმავლობაში ატარა ქმრის გვარი. თუმცა ახალდაქორწინებულები ძირითად დროს თბილისში ატარებდნენ, სოფლის ყველაზე ლამაზ რძალად მიიჩნეოდა ნატო, რომლის გარეგნობამა მალე საყოველთაო აღიარებაც მოიპოვა.



ნატო ვაჩნაძე

პირველი რესპუბლიკის პერიოდში ვაჩნაძეებს განსაკუთრებით გაუჭირდათ. ნატო შრომას არ თაკილობდა, მუშაობდა ასანთის საცხისა და საბურავების ფაბრიკაში, მაგრამ ფიზიკურმა შრომამ და ქიმიურმა ნივთიერებებმა მის ჯანრთელობაზე იმოქმედა და მეუღლესთან ერთად დასასვენებ-

ლად და ძალების აღსადგენად კახეთში გაემგზავრა. გურჯაანში, დედასთან სტუმრად იმყოფებოდა იმ საღამოს, როცა მათ სახლთან უცნობი კაცი გამოჩნდა. რამდენიმე წუთიანი საუბრის შემდეგ ნატომ ფილმში გადაღების შეთავაზება მიიღო. იმის მიუხედავად, რომ კინოში სულ ერთხელ იყო ნამყოფი და „ახალი ხელოვნების“ არაფერი გაეგებოდა, მცირე ხნის ფიქრის შემდეგ, მან თანხმობა განაცხადა წინადადებაზე.

მომავალმა მსახიობმა და კინოსტუდიის მიერ წარგზავნილმა რეჟისორმა ძლივს, მაგრამ შეძლეს ნატოს დედამთილ-მამამთილის დათანხმება, რომ ამ „უხეირო სინემაში“ ეთამაშა. ნატო მეუღლესთან ერთად თბილისში გამოემგზავრა. რა იცოდა მაშინ, რომ მალე კინოვარსკვლავი გახდებოდა და მხოლოდ ტრადიციების მიმდევარ დედამთილ-მამამთილს კი არა, მთელს საქართველოს შეაცვლევინებდა წარმოდგენას კინოზე.

გურჯაანის, მშობლიური სახლის სიყვარული არასდროს განელებია ნატოს. მუნჯი კინოს უკვე სახელგანთქმული ვარსკვლავი თავის წიგნში - „მოგონებები და შეხვედრები“ მოგვიანებით წერდა:

**ჩვენს თვალწინ ალაზნის ველი იშლებოდა. იქ, როგორც ზღაპრულ მოელვარე ზღვაში, ყვითელი, ნარინჯისფერი, მწვანე ფერები ლივლივებდა.. ზღაპარივით მაგონდება კახეთის მთვარიანი ღამეები, კუტკალიების ჭრიჭინი მთელს სივრცეს ავსებდა. თან ისეთი სინათლე იყო, წიგნის კითხვაც კი შეიძლებოდა. კახეთი მე მიყვარს როგორც მშობელი დედა, ან ღვიძლი შვილი. ეს არის მშობლიური მიწის, მისი ბუნებისა და ადამიანისადმი სპეტაკი, კეთილშობილური სიყვარული, რადგან „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის.“**

ანდრონიკაშვილების საგვარეულო სახლი მე-18 საუკუნეში აუშენებია ნატო ვაჩნაძის დიდ პაპას, პაატა ანდრონიკაშვილს. ტრადიციული ქართული აივნით დამშვენებული შენობა არქიტექტურულად მიმზიდველია, უნიკალურია მისი ხნოვანების გამოც და შესანიშნავი არა მხოლოდ. გურჯაანის მასშტაბით, არამედ მთელ რეგიონში.

მუზეუმის გახსნის ინიციატორები და სულისჩამდგმელები ძმები შენგელაიები, ნატო ვაჩნაძის შვილები არიან. რეჟისორის თვალითა და გემოვნებითაა შერჩეული ფოტოები კინოლეგენდის სხვადასხვა როლებიდან, რომელსაც მუზეუმის 2 საექსპოზიციო დარბაზი უკავია. აქვე გაიგებთ, რომ ანდრონიკაშვილების გვარის ისტორიის გძელი ლაბირინთი დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფესთან იღებს სათავეს და ბიზანტიის იმპერატორებთანაც მიდის. ნახავთ ფორტეპიანოს, რომელზე დაკვარასაც ნატო ვაჩნაძე მეზობლის ბავშვებს ასწავლიდა სხვადასხვა მარცვლეულის სანაცვლოდ. აქვეა ქართული კინოს სარეკლამო კოლაჟი



ნატო ვაჩნაძე და მისი  
აღმომჩენი შაქრო ბეროშვილი

- ნატოს პორტრეტი ლოყაზე ვარდითა და მარგალიტის ცრემლით. აღნიშნული კოლაჟი, რომელიც სერგო ფარაჯანოვმა შექმნა, 1988 წელს „ბომბურში“ მოწყობილ ასი ქართული ფილმის რეტროსპექტივის დაწყებას ამცნობდა ფრანგ კინომოყვარულებს.

ბევრმა არ იცის, რომ გიორგი შენგელაიამ „ხარება და გოგიას“ ერთი სცენა, რომელიც აივანზე ვითარდება, სწორედ დედისეულ სახლში გადაიღო. ამ მუზეუმის ექსპონატებს, მისი წინაპრების პორტრეტებს კი ვხვდებით რეჟისორის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევარში - „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“.

ამგვარად, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი ერთგვარი „კინოსახლია“, რომლის თვალისშევლებაც სხვადასხვა კონოფილმთა კადრებს გახსენებს და, რაზეც უნდა ფიქრობდე, თვალწინ იმ ქალის ხატება გიტრიალებს, რომელმაც ქართველ მაყურებელს შეაყვარა კინო.



ნატო ვაჩნაძის მუზეუმი



## ეკვილიბრიუმის ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ განაგრძობს ბიბლიოთეკების მხარდაჭერას, უახლესი ლიტერატურით მომარაგებას. მოძრაობის დამფუძნებელი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე ახალგაზრდებთან შეხვედრებსაც მართავს და წიგნიერების მნიშვნელობაზე ესაუბრება.



### 21 აგვისტო

„ეკვილიბრიუმი“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის ოთხ სოფელს - პირველ და მეორე დილისკას, პტენასა და ჩუნჩხას ეწვია.

„რვა წელია ასე დავდივართ საქართველოში. 1200 სოფლის კარზე დავაკაკუნეთ და ბიბლიოთეკა მოვანყვეთ. აი, ახალქალაქში კი 43 სოფელი მოვიარეთ და დანარჩენსაც ვეწვევით“,- განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

### 1 სექტემბერი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ ეწვია მარნეულის სოფლებს ხოჯორნის, დიოკნისის და დაშტაფას, სადაც მოეწყო ძალზედ საინტერესო შეხვედრა ადგილობრივ მოსწავლე-ახალგაზრდობასთან. „ეკვილიბრიუმმა“ მათ საჩუქრად გადასცა ახალი წიგნები.

### 3 სექტემბერი

„ეკვილიბრიუმი“ ეწვია გურიას, კერძოდ კი, ჩოხატაურის სოფლებს - კოხნარსა და ზოტს და ამ სოფლების ბიბლიოთეკებს ახალი წიგნები ჩაუტანა საჩუქრად.



### 5 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ ხულოს მუნიციპალიტეტს ეწვია, სადაც ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ შეხვედრები გამართა. იგი მოზარდებს ესაუბრა წიგნიერებისა და განათლების მნიშვნელობაზე.

„ჩვენი საერთაშორისო პარტნიორის - გაეროს მოსახლეობის ფონდის, თანადგომით ხულოს ბიბლიოთეკაში ახალგაზრდული ბიბლიოთეკა და თანასწორობის კუთხე მოვანყვეთ. „ეკვილიბრიუმი“ ხომ სწორედ წონასწორობას და ამ წონასწორობით თანასწორობას გულისხმობს“ - განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

### 20 სექტემბერი

მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ მოიარა ახალქალაქის რვა სოფელი: დიდი სამსარი, პატარა სამსარი, კარნახი, სულდა, ბოზალი, დადეშ, მერენია, ისტილა, რომელთა სკოლებშიც მოაწყო მცირე ქართული ბიბლიოთეკები.

### 22 სექტემბერი

„ეკვილიბრიუმი“ ეწვია გორის სოფელ თორტიზას და მოაწყო მცირე ბიბლიოთეკა. „ამჯერად გორი - ჯერ სოფელი თორტიზა, რომელიც 2008 წელს ოკუპაციურმა ჯარმა დაბომბა და ამ სკოლის მოსწავლე, შესანიშნავი ბიჭი შეიწირა. იქ მცირე ბიბლიოთეკა მოვანყვეთ. შემდეგ მემორანდუმი გორის უნივერსიტეტთან - იგეგმება სოფელ დიცში, ოკუპაციის გამყოფ ხაზთან, ლიტერატურული ფესტივალის დაფუძნება“ - განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

მოდრაობა „ეკვილიბრიუმის“ მხარდამჭეხია კომპანია „გადფი“

საქართველოს  
ბიბლიოთეკის  
ეკვილიბრიუმი

**საბიბლიოთეკო ცხოვრება**

**მოვლენები, ფაქტები**

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა**

**3 ივლისი**

ჩატარდა ონლაინ ფორუმი საბიბლიოთეკო ფონდებიდან დოკუმენტების გარიცხვისა და ჩამონერის თემაზე, რომელიც გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით. ფორუმს უძღვებოდა საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი – რუსუდან ასათიანი.

ფორუმის მთავარი მომხსენებელი გახლდათ საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თინათინ ლომჯარია, მოხსენებები წარადგინეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა თეო ყაველაშვილმა და ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ რიტა ნაქაძე.

ონლაინ ღონისძიებას ესწრებოდა 250-ზე მეტი მონაწილე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

ონლაინ ფორუმის ჩანაწერი შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ოფიციალურ Facebook გვერდზე: <https://www.facebook.com/GeorgianLibraryAssociation2000>

**29 ივლისი**

ა(ა)იპ განათლებისა და კულტურის მულტიფუნქციურმა ცენტრმა, რომელიც შეიქმნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პარტნიორობით, მოაწყო თავისი პირველი გაცნობითი ხასიათის შეხვედრა მცხეთის ლადო ასათიანის სახელობის ახალგაზრდულ ბიბლიოთეკაში. ცენტრის დამფუძნებელმა წევრმა ნინო პატაშურმა, პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად, ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 100-ზე მეტი დასახელების წიგნი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა, ლოლა სანაიამ, საზოგადოებას გაუზიარა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის და საზღვარგარეთის ბიბლიოთეკების მუშაობის პრინციპები კოვიდ19-ის პირობებში.

**7 აგვისტო**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და ცენტრის დირექტორმა ავთანდილ მიქანაძემ.

თანამშრომლობის მიზანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა და პენიტენციურ დაწესებულებებში საბიბლიოთე-




კო მომსახურების გაუმჯობესება, უკვე არსებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შევსება და განახლება. ბიბლიოთეკების მუშაობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების ჩატარება.

**14 აგვისტო**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა უნიკალური ქართული ძველნაბეჭდი გამოცემები, მათ შორის, ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემა. ძველნაბეჭდ გამოცემებს შორისაა ასევე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ჟურნალები.

უნიკალური გამოცემები ეროვნულ ბიბლიოთეკას თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ გადასცა, რომელსაც, თავის მხრივ, ეს უიშვიათესი ბიბლიოგრაფია კერძო პირმა საკუთარი კოლექციიდან ჩააბარა. უნიკალურ გამოცემებს უახლოეს მომავალში ჩაუტარდება რესტავრაცია და ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაიდებს ბინას.



ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული გამოცემების ეროვნული ბიბლიოთეკისთვის გადაცემა შესაძლებელი გახდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატის, განათლების, მეცნიერებისა და კულ-

ტურის კომიტეტის წევრის, სიმონ ნოზაძის ძალისხმევით, რისთვისაც ეროვნული ბიბლიოთეკა მადლობას უხდის მას.



**ბენიამინ (ბენია)  
ჩხიკვიშვილი**  
**BENIAMIN (BENIA)  
CHKHIKVISHVILI**  
1880-1924

**20 აგვისტო**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მკითხველს შესთავაზა კიდევ ერთი ახალი გამოცემა - „ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი“.

მემორიალური ალბომი, რომელიც შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით გამოიცა, გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება. ალბომში შესულია ბიოგრაფიული ცნობები, ფოტოები, დოკუმენტები, წერილები. გამოცემა განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის მკვლევრებისა და დაინტერესებული პირებისთვის. წიგნის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი იქნება ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე: [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)

**27 აგვისტო**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გაავრცელა ინფორმაცია 1 სექტემბრისათვის სამკითხველო დარბაზების გახსნათან დაკავშირებით. ამას გარდა, ბიბლიოთეკის საიტზე და სოციალური ქსელის გვერდზე დაიდო ვიდეო

სამკითხველო დარბაზების მუშაობის წესებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ.

**14 სექტემბერი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს საჩუქრად გადასცა 300 წიგნი.

წიგნები გადანაწილდება N2 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვან ბრალდებულთა ბიბლიოთეკას და N8 პენიტენციური (სამკურნალო) დაწესებულების ბიბლიოთეკებს შორის.

აქცია ჩატარდა ეროვნულ ბიბლიოთეკასა და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს შორის 7 აგვისტოს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. თანამშრომლობის მიზანია, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და პენიტენციურ დაწესებულებებში საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესება, უკვე არსებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შევსება და განახლება.



**24 სექტემბერი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და სადაზღვეო კომპანია ალდაგის ერთობლივი თანამშრომლობით შეიქმნა პლაკატების (პოსტერების) ციფრული საცავი. აქ თავმოყრილია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული XX საუკუნის უნიკალური, ცნობილი და უცნობი პოსტერები - პოლიტიკური პლაკატები, აფიშები, რეკლამები, რომელთა თემებია სოციალური პროპაგანდა, ჯანდაცვა და სხვა.

კოლექცია ხელმისაწვდომია ციფრული გალერეის სახით და ის უნიკალურ ინფორმაციას იძლევა ეპოქალური მოვლენების, ტენდენციების, დამოკიდებულებების და კლიშეების უკეთ გასაცნობად და გასააზრებლად.

პროექტი განხორციელდა „აღდაგის“ 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

29 ივლისი, 2020

ა(ა)იპ განათლებისა და კულტურის მულტიფუნქციური ცენტრის საჩუქარი



100-ზე მეტი დასახულების წიგნი



ჩვენი საქმე საბრძოლველია.  
მტერი ბანად ბუჩქნა და  
ბაჰაჩქება ჩვენ ლაზარჩება!

**30 საქმიანობა**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მკითხველებს შესთავაზა საერთაშორისო დიგიტალური ბიბლიოთეკის „Adam Matthew Digital“-ის სრულ კოლექციის უახლესი გზამკვლევიტ სარგებლობის შესაძლებლობა 2020 წლის დეკემბრამდე.

დამატებითი ინფორმაცია მკითხველებს შეუძლიათ მიიღონ მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკულ სამკითხველო დარბაზის გვერდზე. შესაძლებელია აგრეთვე მკითხველების გაგზავნა ელექტრონულ ფოსტაზე მისამართით: [maiasimonishvils@gmail.com](mailto:maiasimonishvils@gmail.com).



**რეგიონალური ბიბლიოთეკები**

**აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა**

**4 ივლისი**

„ამერიკის კუთხეში“ გაიმართა ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო - „სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“.

**9 ივლისი**

გაიმართა პოეზიის ვირტუალური საღამო.

**21 ივლისი**

საბავშვო ახალგაზრდობის განყოფილებამ მოაწყო ახალი წიგნების ვირტუალური წარდგენა.

**29 ივლისი**

მოეწყო შემეცნებითი ვიდეო საუბარი „საფოსტო მარკა ქვეყნის სავიზიტო ბარათია“, რომელიც მიეძღვნა პირველი მარკის გამოშვებიდან 180 წელს.

**13 აგვისტო**

მოეწყო შეხვედრა ბადრი თევზაძესთან (დაბადებიდან 65 წელთან დაკავშირებით) - „და მოდის სიტყვა, როგორც ვებირი, რომელიც სათქმელს ვერაფრით მალავს“.

**21 აგვისტო**

გაიმართა ვიდეო საუბარი მწერალზე, კრიტიკოსზე, ფოლკლორისტსა და მთარგმნელზე ვახუშტი კოტეტიშვილზე (დაბადებიდან 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით).





**11 სექტემბერი**

„ამერიკული კუთხეში“ გაიმართა ეროვნული უსაფრთხოების ფონდის ანალიტიკოსის, ჟანა სირბილაძის ონლაინ ლექცია, რომლის თემა იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში 2011 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტი.

**18 სექტემბერი**

საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებამ მოაწყო ახალი საბავშვო წიგნების ვიდეო წარდგენა.

**25 სექტემბერი**

გაიმართა ნინო ხარატიშვილის წიგნის „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ ვიდეო წარდგენა.

ძირითადი კორპუსის უცხოურმა განყოფილებამ მოაწყო ღონისძიება - „ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“ უცხოურ ენებზე“.

**30 სექტემბერი**

მოეწყო ანა მჭავანაძის საქმიანობის ვიდეო წარდგენა სახელწოდებით „ჩემი სამუშაო წელი“.

**ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება**

**13 ივლისი** - შედგა ვიდეო ჩართვა ქართველი მწერლის, მთარგმნელის, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის, გიორგი მთანმინდელის მოღვაწეობის შესახებ.

**8 აგვისტო** - გაიმართა ღონისძიება აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ხსოვნის მემორიალთან.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

ყოველი კვირის სამშაბათს ტარდება ონლაინ-კონკურსი - „ჩემი ლიტერატურული IQ“. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა წიგნომანს. კონკურსის მიმდინარეობისას ბიბლიოთეკის ფეისბუქგვერდზე თავსდება დაუსრულებელი ფრაზები ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, შეკითხვები მწერლებისა თუ პერსონაჟების ცხოვრებიდან და ა.შ.

კონკურსის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ გამოვლინდა პირველი გამარჯვებული, ბიბლიოთეკის მკითხველი და ფეისბუქგვერდის მომხმარებელი, თამარ ნინიძე. მას კონკურსის პრიზი - ბიბლიოთეკის საპატიო მკითხველის ბარათი - გადასცა ბიბლიოთეკის დირექტორმა გია ქობალიანმა.

**მცხეთის შოთა რუსთველის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა**

ბიბლიოთეკამ პანდემიის პირობებში ჩატარა ონლაინ ღონისძიება „მცხეთელი პოეტების პოეზიის ხუთი წუთი“.

ამ პროექტის ფარგლებში საკუთარი ლექსები წაიკითხა:

6 ივლისს ილია ელიზბარაშვილმა,

7 ივლისს - ნიკა ჭიკაიძე

9 სექტემბერი - შუქურა დალაქიშვილი

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი**

**3 ივლისი**

დაიწყო შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების სასწავლო პრაქტიკა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამ ღონისძიების ფარგლებში მათ ერთი თვის მანძილზე მიიღეს შრომითი გამოცდილება ზუგდიდის ბიბლიოთეკაში.

**17 ივლისი**

დაიწყო პროექტი „ღია ბიბლიოთეკა-ზუგდიდი“. პროექტის ფარგლებში ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ერთი თვის მანძილზე ემსახურებოდა ზუგდიდელ მკითხველებს ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ.

**23 ივლისი**

რუბრიკით „შეხვედრა ავტორთან“ მკითხველის წინაშე წარდგა ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი გელა მამფორია თემით „უცხო თემი და მიწები“.



# 2021 წლის ღირსსახსოვარ დღეთა

## მწიურ კალენდარი

### იანვარი

- 14 იანვარი - ქართული თეატრის დღე.
- 20 იანვარი - 150 წლის წინ დაიბადა მოსე თოიძე (1871-1953) - ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი.
- 24 იანვარი - განათლების საერთაშორისო დღე.

### თებერვალი

- 6 თებერვალი - 100 წლის წინ დაიბადა მიხეილ თუმანიშვილი (1921-1996) - ქართველი რეჟისორი
- 10 თებერვალი - 80 წლის წინ, 1941 წელს, დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

### მარტი

- 5 მარტი - 90 წლის წინათ დაიბადა თამაზ ჭილაძე (1931-2018) - ქართველი მწერალი, პოეტი და დრამატურგი,
- 14 მარტი - 80 წლის წინ, 1941 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა
- 21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე.
- 19 მარტი - 120 წლის წინ დაიბადა შოთა მანაგაძე (1901-1977) - ქართველი რეჟისორი.
- 21 მარტი - ტყის დაცვის საერთაშორისო დღე
- 22 მარტი წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე.

### აპრილი

- 2 აპრილი - საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.
- 5 აპრილი - 120 წლის წინ დაიბადა ელენე ახვლედიანი (1901-1975) - ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი.
- 9 აპრილი - საქართველოს ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.
- 14 აპრილი - ქართული ენის დღე.
- 18 აპრილი - ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე.
- 23 აპრილი - 145 წლის წინ დაიბადა ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) - დიდი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე
- 23 აპრილი - წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე
- 30 აპრილი - საქართველოს ბიბლიოთეკარის დღე.

### მაისი

- 3 მაისი - 80 წლის წინ, 1941 წელს დაიბადა ნონა გაფრინდაშვილი - ქართველი მოჭადრაკე, თავისი თაობის მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალი.
- 8 მაისი - წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო დღე.
- 9 მაისი - ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე.
- 15 მაისი - 130 წლის წინ დაიბადა კონსტანტინე გამსახურდია (1891- 1975) - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.
- 12 მაისი-80 წლის წინ დაიბადა მედე ჩახავა (1921-2009 ) - ქართველი მსახიობი
- 15 მაისი - შოთა რუსთაველის დღე
- 26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.
- 27 მაისი - 70 წლის წინ, 1951 წელს საგურამოში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახლ - მუზეუმი.

### ივნისი

- 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.
- 5 ივნისი - გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.
- 12 ივნისი -160 წლის წინ დაიბადა პეტრე გიორგის ძე ჭარაია (1861-1919) - ქართველი პედაგოგი, ლიტერატორი და ეთნოგრაფი. (ფსევდონიმი პ. გიორგაძე).
- 16 ივნისი - 170 წლის წინ დაიბადა ეკატერინე რევაზის ასული თარხნიშვილი-გაბაშვილი (1851-1938) -ქართველი მწერალი, ფემინისტი და საზოგადო მოღვაწე
- ივლისის პირველი კვირა - საქართველოს საზღვაო ფლოტის დღეა.

### ივლისი

- 10 ივლისი - 100 წლის წინ დაიბადა რევაზ ლალიძე (1921-1981) - გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი.
- 20 ივლისი - 170 წლის წინ დაიბადა სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925) - სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი, ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.
- 25 ივლისი - სტატისტიკის დღე
- 26 ივლისი - 160 წლის წინ დაიბადა ვაჟა-ფშავე-



ლა (1861-1915) - ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, პოეტი და მწერალი.

**აგვისტო**

8 აგვისტო - 120 წლის წინ დაიბადა ნიკოლოზ შენგელაია (1901-1943) - კინორეჟისორი, კინოდრამატურგი.

12 აგვისტო - 900 წლის წინ, 1121 წელს დიდგორის ველზე ქართველთა ლაშქარმა დავით აღმაშენებლის სარდლობით სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი.

16 აგვისტო - 150 წლის წინ დაიბადა ზაქარია ფალიაშვილი(1871-1933) - ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

24 აგვისტო - საქართველოს კონსტიტუციის დღე.

25 აგვისტო - 120 წლის წინ დაიბადა მარიამ (მარო) მაყაშვილი (1901-1921) - საქართველოს ეროვნული გმირი.

26 აგვისტო- 120 წლის წინ დაიბადა კალისტრატე (კალე) ზოსიმეს ძე სალია (1901-1986) - ქართველი მეცნიერი.

**სექტემბერი**

5 სექტემბერი - 100 წლის წინ დაიბადა მელიტონ ქანთარია (1921-1993) - მეორე მსოფლიო ომის გმირი, რომელმაც 1945 წელს გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე

11 სექტემბერი - 160 წლის წინ დაიბადა დავით კლდიაშვილი (1861-1931) - საქართველოს სახალხო მწერალი.

12 სექტემბერი - 130 წლის წინ დაიბადა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაჟბუქ-მელიქიანი (ბაჟბუქ-მელიქოვი) (1891-1966) - სომეხი ქართველი ფერმწერი. ცხოვრობდა საქართველოში. საქართველოს დამსახურებული მხატვარი

16 სექტემბერი - 100 წელი ქართველი მეცნიერი-სა და საზოგადო მოღვაწის, მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან (1858-1911)

24 სექტემბერი - 70 წლის წინ, 1951 წელს დაიბადა გურამ ოდიშარია, ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

**ოქტომბერი**

5 ოქტომბერი - მასწავლებლის საერთაშორისო დღე

13 ოქტომბერი - 120 წლის წინ დაიბადა თამარ შავერზაშვილი (1901-1955) - ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი.

14 ოქტომბერი - 160 წლის წინ დაიბადა რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავა (1861-1928), ქართველი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. ლიტერატურული ფსევდონიმი — ხომლელი.

17 ოქტომბერი - 190 წლის წინ დაიბადა ივანე გვარამაძე (1831-1912) - ქართველი კათოლიკე სასულიერო პირი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. - ვინმე მესხი (ფსევდონიმი)

21 ოქტომბერი - პოლიგრაფისტიის დღე.

**ნოემბერი**

10 ნოემბერი- საქართველოს პოლიციის დღე.

17 ნოემბერი- 130 წლის წინ დაიბადა გალაკტიონ ტაბიძე (1901-1956) - ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

18 ნოემბერი - 100 წლის წინ დაიბადა ქაბუა ამირეჯიბი (1921-2013) - ქართველი მწერალი.

19 ნოემბერი- 90 წლის წინ დაიბადა ჯანსუღ ჩარკვიანი (1931-2017) - ქართველი პოეტი.

21 ნოემბერი- 120 წლის წინ დაიბადა ილია აბულაძე (1901-1968) - მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, რუსთველოლოგი.

25 ნოემბერი - 150 წლის წინ დაიბადა ელისაბედ ორბელიანი (1871 -1942)- მთარგმნელი, პოეტი

30 ნოემბერი- საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების დღე.

**დეკემბერი**

10 დეკემბერი - საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის დღე.

10 დეკემბერი - 170 წლის წინ, 1851 წელს დაიბადა მელვილ დიუი, მსოფლიოში ცნობილი „ათწილადი კლასიფიკაციის“ შემქმნელი, აშშ-ს საბიბლიოთეკო საქმის უდიდესი მოღვაწე

